ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების მუშაობის ეფექტიანობის კვლევა

კვლევა განხორციელდა პროექტის ფარგლებში ,,სოციალური და საგანმანათლებლო ინიციატივები- მომავალი თაობის კეთილდღეობისათვის''
ორგანიზაცია Brot für die Welt-ის ფინანსური მხარდაჭერით
პროექტის დირექტორი მარინა თოფურია

2016

Brot für die Welt
Bread for the World – Protestant Development Service

გამოიცემა Brot Für die Welt-ის ფინანსური მხარდაჭერით

ქალაქი ოზურგეთი
გაბრიელ ეპისკოპოსის 3
ტელ: +496 27 34 64
მობ: +995 557 60 21 83
„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“
ინტერნეტ გვერდი: www.apk.ge
E-mail: ypuozurgeti@yahoo.com
Facebook გვერდი: https://www.facebook.com/apk.ge

შესავალი

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა“ 2015 წელს ჩაატარა საქართველოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების მუშაობის ეფექტიანობის კვლევა. კვლევა განხორციელდა პროექტის „სოციალური და საგანმანათლებლო ინიციატივები – მომავალი თაობის კეთილდღეობისათვის“ ფარგლებში ორგანიზაცია Brot für die Welt-ის ფინანსური მხარდაჭერით.

2015 წლის დასაწყისში შეიქმნა კვლევის ჯგუფი მარინა თოფურიას (ხელმძღვანელი), იაგო კაჭკაჭიშვილის (სოციოლოგი), ნელი აკობიას (სოციალური მუშაკი) და გიორგი მშვენიერაძის (იურისტი) შემადგენლობით.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების მუშაობის ეფექტიანობის დადგენის მიზნით, ჯგუფის მიერ განისაზღვრა მიზანი და მეთოდოლოგია, კერძოდ:

1) **მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების პრაქტიკის კვლევა**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების გამოწვევების ანალიზი და იმ შესაძლებლობების იდენტიფიკაცია, რომლებიც ხელს შეუწყობს რეგიონული საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი სოციალური კვლევის მეთოდის – ფოკუს-ჯგუფის (ჯგუფური დისკუსიების) – გამოყენებით.

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობდნენ დაინტერესებული მხარეები, ე.წ. „სტეიკ-ჰოლდერები“, რომელთა საქმიანობა ინსტიტუციურად, უშუალოდ ან ირიბად, უკავშირდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონულ საბჭოებს.

სულ კვლევის ფარგლებში ჩატარდა 8 ფოკუს-ჯგუფი.

2) **რეგიონული საბჭოების ოქმებში განხილული შემთხვევების თვისებრივი ანალიზი** (სრული ვერსია იხილეთ თანდართული წიგნის სახით)

ამ შემთხვევაშიც კვლევის მიზანი იყო იგივე, რაც პირველ შემთხვევაში.

კვლევის ფარგლებში ოქმების თვისებრივი ანალიზისთვის შეირჩა 3 რეგიონი: თბილისი, იმერეთი და კახეთი. დამუშავდა შერჩეულ თვეებში გამართული სხდომების ოქმებში მოცემული შემთხვევები და მათთან დაკავშირებით საბჭოს მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პრაქტიკა.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების პრაქტიკის კვლევისა და რეგიონული საბჭოების ოქმებში განხილული შემთხვევების თვისებრივი ანალიზის შედეგად შემუშავდა საერთო რეკომენდაციები, რომლებიც სამ ძირითად მიმართულებად დაიყო: რეკომენდაციები (1) უშუალოდ რეგიონული საბჭოს ფუნქციონირების, (2) სოციალური მუშაობის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და (3) ზოგადად, სოციალური პოლიტიკისა და სისტემის დახვეწის შესახებ.

სულ შემუშავდა 49 რეკომენდაცია (იხ. რეკომენდაციები).

აღსანიშნავია, რომ მოცემულ ეტაპამდე მსგავსი კვლევა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს მასშტაბით არ ჩატარებულა, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს წინამდებარე დოკუმენტს.

ვფიქრობთ, რომ კვლევის შედეგად გამოვლენილი და დოკუმენტში აღნიშნული მიგნებები, ინფორმაცია, ინდივიდუალური ქეისები, რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სოციალურად დაუცველი ფენების, მათ შორის, ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესებას საქართველოში. ასევე, იმედს ვიტოვებთ, რომ კვლევის ანგარიში საინტერესო იქნება ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისთვის.

ჩვენ ვაპირებთ მუშაობის გაგრძელებას მსგავს საკითხებზე. იმ შემთხვევაში, თუ მკითხველს გაუჩნდება შეკითხვები ან, პირიქით, ანალოგიური ისტორიების მოყოლის სურვილი, გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ypuozurgeti@yahoo.com

მარინა თოფურია
ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე

სარჩევი

ფოკუს ჯგუფების ანალიზის ძირითადი შედეგები 7

1. მეთოდოლოგია 16

2. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების შექმნის ისტორია და მიზანი 18

3. ანალოგიური პრაქტიკა საერთაშორისო გამოცდილებაში 20

4. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ზოგადი შეფასება. მათი შექმნის აუცილებლობა 23

5. რეგიონული საბჭოების შემადგენლობის შეფასება..... 25

6. რეგიონული საბჭოების წევრთა შერჩევა 28

7. საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხი..... 29

8. ხარვეზები/პრობლემები რეგიონული საბჭოების მუშაობაში..... 31

8.1. რეგიონული საბჭოების არასაკმარისი რაოდენობა 31
8.2. საბჭოს მუშაობაში წევრების ჩართვის დაბალი მოტივაცია; პრობლემები რეგიონული საბჭოს წევრების კომპეტენციასთან დაკავშირებით..... 32
8.3. შესაბამისი სერვისების არარსებობა; კონფლიქტი სერვისების მიმწოდებლებთან 33
8.4. „ჩავარდნილ“ გადაწყვეტილებებზე რეგიონული საბჭოების დაბალი პასუხისმგებლობა..... 36
8.5. საქმიანობის მიზანთან შეუსაბამო აქტივობები; რეგიონული საბჭოები მოუმზადებელი ქეისების პირისპირ 37
8.6. „გეითქიფინგი“ – რეგიონული საბჭოების მუშაობის სუსტი წერტილი; საბჭოების მოუქნელობა 41
8.7. საბჭოს მუშაობის არაეფექტური რეჟიმი 43
8.8. პრიორიტეტების არასწორი განაწილება..... 44
8.9. გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების რისკი 45

რეგიონული საბჭოების ოქმებში განხილული შემთხვევების თვისებრივი ანალიზი 47

კვლევის ძირითადი შედეგები..... 48

რეკომენდაციები 64

გამოყენებული ლიტერატურა..... 72

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების პრაქტიკის კვლევა

ანგარიშის ავტორი: იაგო კაჭკაჭიშვილი
იურიდიული ექსპერტი: გიორგი მშვენიერაძე

ფოკუს ჯგუფების ანალიზის ძირითადი შედეგები

1. რეგიონული საბჭოების[1] ზოგადი შეფასება მათი შექმნის აუცილებლობა

რეგიონული საბჭოების, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის სპეციალური ინსტიტუტის, არსებობა პოზიტიურად ფასდება შემდეგი ფაქტორების გამო:

- რეგიონული საბჭო მულტიუწყებრივი და მულტიდისციპლინურია, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებას მონაწილეობითი პრინციპისა და კონსენსუსის საფუძველზე და არა ერთპიროვნულად;
- რეგიონული საბჭო, როგორც სათათბირო ორგანო, ხელს უწყობს მიუკერძოებელი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას;
- რეგიონული საბჭოები ახდენს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სისტემის დეცენტრალიზაციას, რამდენადაც გადაწყვეტილების მიმღებ პირებად ჩართულნი არიან ადგილობრივი (მუნიციპალური) და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- საბჭოები უზრუნველყოფს ბავშვზე ზრუნვის პრაქტიკაში ადგილობრივი თემების ჩართვას და, შესაბამისად, ამ უკანასკნელზე პასუხისმგებლობის გადანაწილებას;
- რეგიონული საბჭოები უზრუნველყოფს სახელმწიფოსთვის (სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის) თემში არსებული რესურსებისა და მომსახურებების შესახებ ინფორმაციების გაზიარებას, რაც ბენეფიციართა უკეთესი მომსახურების წინაპირობაა;
- რეგიონული საბჭოები კვაზი-სასამართლოს ფუნქციებს ასრულებს და აბალანსებს სასამართლოს პასიურ გამოყენებას ბავშვზე ზრუნვის სფეროში.

2. რეგიონული საბჭოების შემადგენლობის შეფასება

საქართველოს რეგიონებში მომუშავე ზოგიერთ საბჭოში დგას სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის საბჭოს დებულებით განსაზღვრული ბალანსის პრობლემა, სახელწიფო სტრუქტურების სასარგებლოდ. ეს ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა პოზიციების დაბლოკვასა და მიკერძოებული (ხელისუფლებისთვის მისაღები) გადაწყვეტილებების მიღებას (ბალანსის დარღვევის მიზეზი ისაა, რომ რიგ რეგიონებში დგას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების არსებობის პრობლემა სამოქალაქო სექტორში ან ისინი უარს აცხადებენ საბჭოში მუშაობაზე).

1. ტესტში შემდგომ მოხმარებული იქნება მოკლე სახელწოდება „რეგიონული საბჭოები“

საბჭოში, შესაძლოა, ფორმალურად ბალანსი იყოს დაცული, მაგრამ ეს თანაფარდობა, *ad hoc*, ირღვეოდეს წევრების სხდომებზე არდასწრების გამო (თუმცა, ასეთი დისბალანსით მოსარგებლე შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ისე სამოქალაქო სექტორი).

ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების (მუნიციპალიტეტის, რეგიონული/რაიონული საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების) წარმომადგნლები, უპირატესად საქართველოს რეგიონების საბჭოებში, არამოტივირებული წევრები არიან, რაც გამოიხატება საბჭოს სხდომების გაცდენაში, განსახილველი მასალების არგაცნობაში, დისკუსიებში ჩაურთველობაში და ა.შ.

ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგნლები, მათი პოლიტიკური მიკერძოებულობის გამო, ხშირად ასრულებენ სოციალური მომსახურების სააგენტოს „დამატების" ფუნქციას, ანუ ბრმად ეთანხმებიან სააგენტოს პოზიციას და სტატისტების როლში გვევლინებიან.

გამოითქვა მოსაზრება, რომ საბჭოს შემადგენლობაში უნდა გაიზარდოს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა წილი; ეს სახელმწიფო ინსტიტუტების (უპირველესად, სოციალური მომსახურების სააგენტოს) წინაშე იქნება გამოწვევა, რომელიც ხელს შეუწყობს განსახილველი ქეისების უკეთესად დამუშავებას და უფრო მეტად სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

განსაკუთრებით გაესვა ხაზი მომსახურების მიმწოდებლების (სერვისების პროვაიდერების) ჩართვის ვალდებულებას საბჭოში, არა მოწვეული სტუმრის, არამედ ინსტიტუციური წევრის სტატუსით, რომელსაც ექნება ხმა გადაწყვეტილებების მიღებისას.

დისკუსიის მონაწილე ზოგიერთმა წევრმა ხაზი გაუსვა საბჭოს წევრების როტაციის მიზანშეწონილებას, რაც საბჭოს უფრო ქმედობაუნარიანს გახდის.

3. რეგიონული საბჭოების წევრთა შერჩევა

არ არსებობს რეგიონული საბჭოების არასამოქალაქო საზოგადოების წევრთა შერჩევის თანმიმდევრული და გაწერილი მექანიზმი. საბჭოს იმ წევრების შერჩევა, რომლებიც წარმოადგენენ მუნიციპალურ ხელისუფლებასა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს, ხდება არასისტემურად, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და მზაობის გათვალისწინების გარეშე. მართალია, რეგიონული საბჭოების სამოქალაქო საზოგადოების წევრები, თავიანთი პროფესიული პროფილის მიხედვით, თავისთავად ითვლებიან რეგიონული საბჭოების რელევანტურ წევრებად, მაგრამ არც ისინი გადიან შერჩევის რაიმე ფილტრს, რაც კონკურენტული გარემოს შექმნას აფერხებს.

გამოითქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, თუ რეგიონული საბჭოების წევრები შეირჩევიან კონკურსის წესით, ხოლო ამას განახორციელებს მულტიდისციპლინური და მულტიუწყებრივი გუნდი (კომისია). ეს გაზრდის საბ-

ჭოს წევრების კონკურენტუნარიანობას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ კონკურსი, შესაძლოა, შერჩევის ფიქტიურ მექანიზმად იქცეს საქართველოს რეგიონებში, სადაც საბჭოს კომპეტენციის შესაბამისი ადამიანური რესურსების მწვავე ნაკლებობაა.

მეორე მხრივ, შერჩევის მექანიზმების გამკაცრებას ეფექტი იმ შემთხვევაში ექნება, თუ საბჭოების სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელი წევრებისთვის ეს წარმომადგენლობა იქნება მათი სამუშაო დატვირთვის ფორმალური (ლეგიტიმური) შემადგენელი ნაწილი.

4. საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხი

ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთა ამბივალენტური მიდგომები:

ანაზღაურების მომხრეთა არგუმენტებია:

- ანაზღაურება გაზრდის საბჭოს წევრების პასუხისმგებლობასა და ანგარივალდებულებას;
- გაიზრდება საბჭოს წევრებზე ზემოქმედების ხარისხიც, საბჭოს მუშაობაში მათი აქტიური ჩართვის მოთხოვნით;
- გაჩნდება სანქციების ინიცირების შესაძლებლობა შეუსაბამო ქცევისთვის;
- შესაძლებელი გახდება საბჭოს წევრების მიმართ დამატებითი ვალდებულებების შემოღება (მაგალითად, საბჭოს წევრებს შეიძლება მოეთხოვოთ განსახილველ ქეისებზე წერილობითი დასკვნების მომზადება).

ანაზღაურება შეიძლება მოხდეს ხელფასის სახით, ან, სავარაუდოდ, გაიცეს ჰონორარი სხდომების მიხედვით. ჰონორარის გაცემაშიც შეიძლება დიფერენციაცია სხდომების რაოდენობის ან მათი ხანგრძლივობის მიხედვით.

ანაზღაურების მოწინააღმდეგეთა არგუმენტები:

- რეგიონულ საბჭოში მონაწილეობის მთავარი მოტივატორი უნდა იყოს ღირებულებითი, ანუ ბავშვებზე ზრუნვისა და მათი პრობლემების მოგვარების მოთხოვნილება. ანაზღაურების დანიშვნამ შეიძლება მეორეხარისხოვანი გახადოს ეს მოტივატორი და საბჭოში ჩართვის ძირითად ფაქტორად იქცეს.
- ანაზღაურების გარეშე საბჭოში მონაწილეობა მისი სამოქალაქო სექტორის წევრების თავისუფლების ერთ-ერთი გარანტიაა. ანაზღაურების დანიშვნა, რომელიც სახელმწიფო (კერძოდ, სოციალური მომსახურების სააგენტოს) ბიუჯეტიდან უნდა მოხდეს, ხელს შეუწყობს მორალური წნეხის გაჩენას საბჭოს მესამე სექტორის წევრებში, რათა ისინი ლოიალურნი გახდნენ სააგენტოს პოზიციის მიმართ.

5. რეგიონული საბჭოების არასაკმარისი რაოდენობა

სრულიად გაუმართლებელია, თბილისში არსებობდეს მხოლოდ ერთი რეგიონული საბჭო. დედაქალაქში ზოგჯერ ასეულობით ქეისია განსახილველი ერთი სხდომის ფარგლებში, რაც საბჭოს წევრებს აყენებს მათი ფორსირებულ რეჟიმში განხილვის იძულების წინაშე; ეს კი სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესს აზარალებს.

გამოითქვა რეკომენდაცია, რომ თბილისის ხუთივე გაერთიანებულ რაიონს ჰყავდეს ცალკე საბჭო (თუმცა, ერთი თავმჯდომარით, რათა არსებობდეს კოორდინაცია საბჭოებს შორის.

გამოითქვა მოსაზრება, რომ საჭიროა, გაღრმავდეს დეცენტრალიზაციის პროცესი და საბჭოები შეიქმნას არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ მუნიციპალურ დონეზეც (10 რეგიონული საბჭოს ნაცვლად, 64 რაიონული საბჭო). თუმცა, ითქვა, რომ ასეთი რეორგანიზაცია ამ ეტაპზე შეუძლებელია, ადამიანური რესურსების ნაკლებობისა და მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემების გამო. ის, რაც დღესდღეობით შესაძლებელია, იმ რაიონებში საბჭოების დამატებაა, რომლებშიც ბევრი ქეისი გროვდება.

6. საბჭოს მუშაობაში წევრების ჩართვის დაბალი მოტივაცია; პრობლემები რეგიონული საბჭოს წევრების კომპეტენციასთან დაკავშირებით

გამოიკვეთა მოსაზრება, რომ რეგიონული საბჭოების წევრებს საბჭოში მუშაობის მზაობის სხვადასხვა ხარისხი აქვთ. ასეთ მზაობას ყველაზე ნაკლებად ავლენენ ადგილობრივი სახელმწიფო/სახელისუფლო სტრუქტურების (მუნიციპალური ხელისუფლებისა და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების) წარმომადგენლები. ისინი ხშირად არც კი კითხულობენ მასალებს, არ ინტერესდებიან და ზედაპირული ინფორმაცია აქვთ განსახილველი ქეისების შესახებ.

ფოკუს ჯგუფების წევრებმა ისაუბრეს საბჭოს წევრების კომპეტენციების შეუთავსებლობაზე რეგიონული საბჭოს პროფილთან (საბჭოს წევრ იურისტს შესაძლოა, არ ჰქონდეს განათლება სამოქალაქო სამართალში, ექიმი შეიძლება არ იყოს პედიატრი, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელს არ ჰქონდეს გამოცდილება ბავშვზე ზრუნვის მუშაობის მიმართულებით და ა.შ.). თუმცა, მეორე მხრივ, ეს პრობლემა დაკავშირებულია ადამიანური რესურსების სიმწირესთან, რომელიც ობიექტურად არსებობს (უპირატესად, რეგიონებში).

აღინიშნა, რომ არსებობს ე.წ. „პროფილური“ დაინტერესების შემთხვევებიც – საბჭოს წევრი, რომელიც სერვისის მიმწოდებელია, ინტერესდება მხოლოდ მის მომსახურებში განსათავსებელი ქეისებით. ასეთი ვიწრო ინტერესი, ერთი მხრივ, კარგია, თუმცა, სხვა, „არაპროფილური“ ქეისების კვალიფიციურ განხილვას აზარალებს.

7. შესაბამისი სერვისების არარსებობა; კონფლიქტი სერვისების მიმწოდებლებთან

არცთუ იშვიათად, საბჭოს გადაწყვეტილებით, პირის განთავსება ხდება მისი საჭიროებებისათვის შეუსაბამო მომსახურებაში. ასეთი პრაქტიკა უკმაყოფილებას იწვევს თავად სერვისების მიმწოდებლებში, რადგან მათ დამატებითი სირთულეები ექმნებათ თავიანთი პროფილური საქმიანობის განსახორციელებლად (ეს პრობლემა განსაკუთრებით რეგიონებში იჩენს თავს). თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი ქეისის (მაგ., მენტალურ დარღვევებთან დაკავშირებული) შესაბამისი მომსახურება, შესაძლოა, ძალიან შეზღუდული მასშტაბით, ან საერთოდ არ არსებობდეს. ამდენად, ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღება შეუძლებელი ხდება.

სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებმა და სოციალურმა მუშაკებმა ისაუბრეს მომსახურების მიმწოდებლების არაკომპეტენტურობაზე, გამოუცდელობასა და შესაბამისი ჩვევების ნაკლებობაზე (ეს უპირატესად ეხება 24 საათიან მომსახურებებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბენეფიციარებისათვის). გამოსავალი, ამ შემთხვევაში, ადეკვატური სერვისების გაჩენაა.

არ არსებობს სხვადასხვა სერვისში ბენეფიციართა ჩარიცხვის მკაფიო კრიტერიუმები. არ არის, ასევე, კოლექტიური პასუხისმგებლობის ქვეშ შემუშავებული გაიდლაინი, რომელიც იქნებოდა მკაფიო სახელმძღვანელო საბჭოსთვის სერვისში განთავსების გადაწყვეტილების მისაღებად.

საბჭოებს ხშირად არ ჰყოფნით იმის კომპეტენცია, რომ შეაფასონ სხვადასხვა პროვაიდერის შესაძლებლობები, ისინი არ ფლობენ ინფორმაციას მომსახურების მიმწოდებლებზე, არ იციან ესა თუ ის მომსახურება რა ხარისხის სერვისებს სთავაზობს ბენეფიციარებს და ა.შ. ეს მნიშვნელოვნად ზრდის არასწორ მომსახურებაში ბენეფიციარების ჩარიცხვის რისკს.

გამოიკვეთა, რომ საბჭოები (ძირითადად, რეგიონებში) რეზისტენტულია საბჭოს მუშაობაში სერვისების პროვაიდერების ჩართვის მიმართ. ამის მიზეზი ისაა, რომ მომსახურების მიმწოდებლები კრიტიკულად უყურებენ ბენეფიციარების ამა თუ იმ მომსახურებაში განთავსების მიზნობრიობას, სვამენ შეკითხვებს, კამათობენ და ა.შ. საბჭოს არ სურს სერვისების მიმწოდებლების მოწვევით საქმე გაირთულოს, რადგან მათ გარეშე გადაწყვეტილებების მიღება უფრო იოლდება.

არ არსებობს გაწერილი პროცედურა, რომელიც სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას მისცემს შესაძლებლობას, რომ დაესწროს საბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილება ამ ორგანიზაციის მომსახურების გამოყენების მიზანშეწონილობა. მომსახურების მიმწოდებელმა საბჭოზე დასწრების უფლება რეგიონული საბჭოს დირექტორთან არაოფიციალური (მაგ., სატელეფონო) კონტაქტის საფუძველზე შეიძლება მოიპოვოს. ეს კი ხშირად უშედეგოდ სრულდება.

8. „ჩავარდნილ“ გადაწყვეტილებებზე რეგიონული საბჭოების დაბალი პასუხისმგებლობა

მწვავედ დაისვა რეგიონული საბჭოების პასუხისმგებლობის საკითხი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება უშედეგო, ან, კიდევ მეტი – საზიანოა. საბჭოებს, მსგავს შემთხვევებში, არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება, არც დებულების მიხედვით და არც – რეალურად. ეს ხელს უწყობს ამა თუ იმ გადაწყვეტილების ადვილად, ჩაღრმავების გარეშე გადაწყვეტილებების მიღებას. საჭიროა, პასუხისმგებლობა გამკაცრდეს და „ჩავარდნილი“ ქეისების გამო გადაწყვეტილებების მიმღებებზე სანქციები გავრცელდეს.

ექსპერტებმა ისაუბრეს გარკვეულ მექანიზმებზე, რომლებიც მცდარი გადაწყვეტილებების მინიმიზაციას მოახდენს:

- მოხდეს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა; ანუ, სოციალურ მუშაკს მიეცეს შესაძლებლობა, რომ ქეისი ხელახლა გამოიტანოს განსახილველად იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება, რომელიც საბჭომ მიიღო, არ მუშაობს.
- საბჭოში კვოტა გაეზარდოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ „მოთვალთვალე ძაღლის“ („watch dog“) ფუნქცია და იქნებიან მომთხოვნნი და დაკვირვებულნი.

9. საქმიანობის მიზანთან შეუსაბამო აქტივობები; რეგიონული საბჭოები მოუმზადებელი ქეისების პირისპირ

საბჭოს ხშირად უწევს მისი მისიის (მიზნის) შეუსაბამო ისეთი აქტივობის განხორციელება, როგორიცაა სოციალური მუშაკების საქმიანობაზე პროფესიული ზედამხედველობა (ეს, ფორმალურად, სოციალური მომსახურების სააგენტოს ფუნქციაა). განსაკუთრებით გაუმართავად მუშაობს ქვედა (ანუ, სოციალური მუშაკების) დონეზე სუპერვიზიის მექანიზმი, რაც იწვევს იმას, რომ უფროს სოციალურ მუშაკს ხშირად გამოაქვს განსახილველად მოუმზადებელი ქეისები და საბჭოს თავად უწევს სოციალური მუშაკების სუპერვიზიის გაწევა. თავის მხრივ, ეს იწვევს იმას, რომ: ა) საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს სათანადოდ მოუმზადებელი ქეისებისათვის; ბ) ქეისი იმდენად მოუმზადებელია, რომ საბჭო გადაწყვეტილებას ვერ იღებს და ბლოკავს. ეს კი აფერხებს საბჭოს ნაყოფიერ მუშაობას.

გამოიკვეთა მოსაზრება, რომ რეგიონული საბჭოების მუშაობა ეფექტური ვერ იქნება, სანამ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დაქირავებული სოციალური მუშაკის რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები არ გაიზრდება.

გამოიყო სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების მიერ ქეისების სათანადოდ მოუმზადებლობის მიზეზები:

- სოციალური მუშაკების არაპროფესიონალიზმი (სათანადო უნარ-ჩვევების ნაკლებობა ან არარსებობა);
- სოციალურ მუშაკთა კაბალური სამუშაო პირობები (ქეისების ჯამში რაოდენობა, რის გამოც სოციალური მუშაკი ვერ ახერხებს ოჯახთან პირისპირ ვიზიტსაც კი; სოციალურ მუშაკთა დაბალი სახელსფასო ანაზღაურება; კლიენტთან დაკონტაქტების სატრანსპორტო და სატელეფონო ხარჯების გაღება სოციალური მუშაკის მიერ, რაც მას ნაყოფიერი მუშაობის მოტივაციას უქვეითებს და ა.შ.)

10. „გეითქიფინგი“ – რეგიონული საბჭოების მუშაობის სუსტი წერტილი; საბჭოების მოუქნელობა

რეგიონული საბჭოები თანმიმდევრულად არ ახორციელებს „გეითქიფინგის“ პრინციპებს. ეს სახელმძღვანელო პრინციპები არ არის ასახული ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში არსებულ კანონმდებლობაში, რაც ამ მიდგომას იურიდიულ ძალას შესძენდა და მათ გათვალისწინებას სავალდებულოს გახდიდა საბჭოებისთვის. შესაბამისად, საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ყოველთვის არ ჩანს, რომ ბავშვის განცალკევება ოჯახისგან და გადაყვანა ჩამნაცვლებელ მომსახურებაში ერთადერთი გამოსავალია.

რეგიონული საბჭოები ხისტად, სწორხაზოვნად მოქმედებენ, არ შეუძლიათ მოიქცნენ კონკრეტული ქეისების სპეციფიკური თავისებურების გათვალისწინებით და მიიღონ შედარებით არაორდინალური (თუმცა, უკეთესი) გადაწყვეტილებები. ზემოთქმულის ნიმუშად შეიძლება გამოდგეს ბავშვ(ებ)ის 24 საათიან ზრუნვაში განთავსების ჩანაცვლების შეუძლებლობა რეინტეგრაციით, იმ მექანიზმის ამუშავებით, რომ მინდობითი აღზრდისთვის გათვალისწინებული თანხის ნაწილი მოხმარდეს ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერებას.

11. საბჭოს მუშაობის არაეფექტური რეჟიმი

ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ საბჭოზე განსახილველი ქეისების აღწერის ფორმატი მოუხერხებელია, ინფორმაცია არ არის თავმოყრილი კომპაქტურად; მოცემულ დახასიათებაში ბევრია უსარგებლო დეტალი, გამეორებები, საკითხის არსთან დაუკავშირებელი ამბები და სხვა. ამდენად, საბჭოს წევრს უჭირს, რომ სხდომამდე დარჩეილ რამდენიმე დღეში გადაგზავნილ მასალებს ამომწურავად გაეცნოს.

თბილისის რეგიონული საბჭოსთვის მასალების გადაგზავნის დებულებით გათვალისწინებული რეჟიმი (მაქსიმუმ 5 სამუშაო დღე, მინიმუმ – ერთი) სირთულეებს ქმნის: მასალები მოიცავს ათეულობით, ზოგჯერ ასეულობით შემთხვევას, რომელთა ზედაპირულად გაცნობაც კი, ამ დროში, პრაქტიკულად შეუძლებელია.

საბჭოების მუშაობის პრაქტიკა აჩვენებს, რომ საბჭოები, როგორც წესი, იკრიბება თვეში ერთხელ და ერთი სამუშაო დღით. ასეთი რეჟიმი არასაკმარისია იმისთვის, რომ შემთხვევები გულდასმითა და კვალიფიციური მიდგომით განიხი-

ლებოდეს. ამის გამო, გადაწყვეტილებები ხშირად მიიღება ფორსირებულ რეჟიმში (მართალია, დებულების მიხედვით, საბჭოს აქვს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება, მაგრამ ამ რეგულაციას იმაზე იშვიათად მისდევენ, ვიდრე საჭიროა).

12.პრიორიტეტების არასწორი განაწილება

რეგიონული საბჭოები არ ახდენს განსახილველი თემების/პრობლემების პრიორიტეტიზაციას, არ მიჯნავს ერთმანეთისგან მნიშვნელოვან და ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებს. გამოიკვეთა მოსაზრება, რომ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს 24 საათიან ზრუნვაში ჩარიცხვას ან ამორიცხვას და ოჯახში ძალადობას.

საბჭოზე განსახილველად გადის ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა, არსებული რეგულაციების მიხედვით, შესაძლებელია მოხდეს ფორსირებულად (ასეთია, მაგალითად, კვების ვაუჩერის შეწყვეტა 18 თვის ასაკში, ან შშმ პირის ჩარიცხვა დღის ცენტრში და სხვა; ამ საკითხებს არსებული რეგულაციები ერთმნიშვნელოვნად წყვეტს).

კიდევ ერთი სისტემური პრობლემა: მულტიდისციპლინური და მულტიუწყებრივი მიდგომა გამოიყენება მაშინ, როდესაც საქმე კრიზისულია. ანუ, ასეთ მიდგომას აქვს რეაქციული და არა პრევენციული დატვირთვა.

13.გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების რისკი

რეგიონული საბჭოების თავმჯდომარეებისთვის იმ ფუნქციის დელეგირება, რომ გარკვეულ ქეისებთან დაკავშირებით (რომელთა გატანაც საბჭოზე ვერ ესწრება) გადაწყვეტილება მიიღონ ერთპიროვნულად, შეიცავს გაზრდილ რისკს, რომ ეს გადაწყვეტილება არასწორი აღმოჩნდეს. ამ პრობლემას ვერ შველის ერთპიროვნული გადაწყვეტილების გამოტანა საბჭოზე, რადგან ამას უფრო გაცნობითი ხასიათი აქვს და არა – გადაწყვეტილებაში ჩარევის.

ის ფაქტი, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ოქმს ხელს მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარე აწერს, ამცირებს მიღებულ გადაწყვეტილებებზე კოლექტიურ პასუხისმგებლობას და, შესაბამისად, ამ უკანასკნელის გადანაწილებასაც.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების წყარო სახელმწიფო ორგანიზაციული იერარქიის ავტორიტარული სისტემაა: რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე თავად არ არის თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებისას და ის სოციალური მომსახურების სააგენტოს თავმჯდომარის მითითებებს ასრულებს.

საბჭოს თავმჯდომარეებს (რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონული სამსახურის უფროსები არიან) რეგიონებში ხშირად

არც აქვთ პოლიტიკური ნება, რომ საკითხების აქტიური განხილვის პროვოცირება მოახდინონ. მათ სურთ, რომ საკუთარი პოზიციის გატანა თითქმის ავტომატურ რეჟიმში მოხდეს.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ერთპიროვნული გადაწყვეტილების უფლების გამოყენება საბჭოს თავმჯდომარეს უნდა შეეძლოს შედარებით „მსუბუქ“ საკითხებთან დაკავშირებით (როგორიცაა, მაგალითად, დღის ცენტრების მომსახურების ვაუჩერის გაცემა და სხვ.). თუმცა, ეს უფლება არ უნდა გავრცელდეს 24 საათიან მომსახურებაში ჩარიცხვაზე (ზოგადად, მინდობით აღზრდაზე) და სხვ.

1. მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანს** წარმოადგენდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების მუშაობის შეფასება, იმ გამოწვევების ანალიზი, რომლებიც აღნიშნული ინსტიტუტის მიერ მისი ფუნქციების ადეკვატური შესრულებიდან გამოდინარეა და იმ შესაძლებლობების იდენტიფიკაცია, რომლებიც რეგიონული საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს

კვლევა ჩატარდა **თვისებრივი სოციალური კვლევის მეთოდის – ფოკუს-ჯგუფების (ჯგუფური დისკუსიების) – გამოყენებით.**

ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობდნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, ე.წ. „სტეიკჰოლდერები", რომელთა საქმიანობა ინსტიტუციურად, უშუალოდ ან ირიბად, უკავშირდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონულ საბჭოებს.

თითოეული ფოკუს ჯგუფი შედგებოდა სხვადასხვა სტატუსის მქონე 8-დან 10 რესპონდენტისგან; ფოკუს ჯგუფებისთვის რესპონდენტთა შერჩევისას გაითვალსიწინეს სხვადასხვა კრიტერიუმი:

- სახელმწიფო ან სამოქალაქო საზოგადოების სექტორის წარმომადგენლობა
- სტატუსი ორგანიზაციაში
- საქმიანობის ტიპი/საქმიანობის შინაარსი
- გეოგრაფიულ-ტერიტორიული წარმომადგენლობა (თბილისი/რეგიონები)

ჯგუფური დისკუსიებისთვის შემუშავდა არასტრუქტურირებული გზამკვლევი (guide-line), რომელიც მოიცავდა განსახილველი თემების ჩამონათვალს.[2] დისკუსიის ან ინტერვიუს მსვლელობისას დასაშვები იყო მისი მოდიფიკაცია (კონკრეტული თემის დამატება, ამოღება ან სახეცვლილება) რესპონდენტთა და დისკუსიის/ინტრევიუს სპეციფიკის გათვალისწინებით.

სულ კვლევის ფარგლებში ჩატარდა 8 ფოკუს ჯგუფი. ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილეობდნენ:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ის სოციალური მომსახურების სააგენტოს – სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლები, რომლებიც მენეჯერულ პოზიციებს იკავებენ;
2. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები;
3. ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში არსებული სხვადასხვა სერვისების მიმწოდებლები;
4. პროფესიული ასოციაციებისა და ბავშვთა უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

---

2. გზამკვლევი იხილეთ დანართში.

თითოეული ჯგუფური დისკუსია გრძელდებოდა, საშუალოდ, 1.5 საათი. რესპონდენტთა რეკრუტირება მოხდა მათთან უშუალო კონტაქტის საფუძველზე.

ჯგუფური დისკუსიები ჩაიწერა აუდიო და ვიდეო ფირზე. შედგა ჩაწერილი მასალის ტრანსკრიპტი, რომელმაც ასახა ვერბალური კომუნიკაციის ყველა თავისებურება. შემდეგ გაანალიზდა საკუთრივ ტრანსრიპტები („ნედლი“ მასალას). კერძოდ, თავდაპირველად დაჯგუფდა განსახილველ თემებზე რესპონდენტთა პასუხები. მომდევნო საფეხურზე განხოციელდა ინფორმაციის კატეგორიზაცია, ანუ მსგავსი პასუხები გაერთიანდა ერთი სახელით (კატეგორიით). მომდევნო საფეხურზე პასუხი გაეცა შეკითხვას, თუ რამდენად შეესაბამება კვლევის ამოცანებს მიღებული ინფორმაცია, ანუ რა პოზიტიური ცოდნა და მიგნებები დაგროვდა.

2. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების შექმნის ისტორია და მიზანი

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოები შეიქმნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებაში „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“დამატების შეტანის საფუძველზე (მუხლი 5[1]).ცვლილება შევიდა 2010 წლის 8 თებერვალს გამოცემული ბრძანების საფუძველზე (ბრძანების ნომერი 32/ნ). შესაბამისად, რეგიონული საბჭოების ისტორია ამ თარიღიდან იწყება.

მეორე მხრივ, რეგიონული საბჭოების ტიპიური დებულება, ისევე როგორც მისი შემადგენლობა,დამტკიცდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 23 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე (# 04-404/ო).

აღნიშნული დებულება განსაზღვრავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების საქმიანობის წესს, პრინციპებსა და შემადგნელობას. საბჭოები საქმიანობისას ხელმძღვანელობენ საქართველოსკონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე აქტებითა და ამ დებულებით.

საბჭოს მიზანს წარმოადგენს: 1. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის დაკისრებული ფუნქციების ხელშეწყობა; 2. მეურვეობა/მზრუნველობისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, პირის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობითა და მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებით.

საბჭოს ამოცანებია: 1. მეურვეობა/მზრუნველობისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული შემთხვევების განხილვა; 2. საბჭოს წევრების ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და შემთხვევის მართვის თაობაზე რეკომენდაციების, მითითებებისა და თემში არსებული სათანადო რესურსების შესახებ ინფორმაციისგაზიარება; 3. პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე, რეკომენდაციების მიწოდება შესაბამისი უწყებისთვის (სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატი) სოციალური პოლიტიკისა და სოციალური მომსახურებების გაუმჯობესების მიზნით.

დებულების თანახმად, საქართველოს თითოეულ რეგიონში ფუნქციონირებს, მინიმუმ, ერთი საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: ა) სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის ან შესაბამისი რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი ან/და უფროსის მოადგილე, ქ. თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრ(ებ)ის უფროს(ებ)ი და სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის თანამშრომელი და სხვა დასაქმებულები (ფსიქოლოგი, იურისტი და სხვა); ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს _ საგანმანათლებლო რესურსცენ-

ტრის სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი ან აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი; გ) შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი; დ) ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცი(ებ)ის და/ან პროფესიული ასოციაცი(ებ)ის წარმომადგენელი/წარმომადგენლები; საბჭოს შემადგენლობაში, ასევე, შესაძლებელია შედიოდნენ: ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ ან მისი ფილიალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი; ბ) ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულების ექიმი ან შესაბამისი ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიის ოჯახის ექიმი; გ) სხვა დაინტერესებული პირი.

საბჭოს წევრობა განისაზღვრება არაუმეტეს 10 წევრით, ხოლო ქ. თბილისის შემთხვევაში, არაუმეტეს 15 წევრით.

3. ანალოგიური პრაქტიკა საერთაშორისო გამოცდილებაში (ერთი მაგალითი)

რეგიონული საბჭოების შექმნის პრეცედენტი საქართველოს არ ეკუთვნის, ამ ინსტიტუტის შექმნა ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას. ერთ-ერთი მოდელი, რომელიც საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა, გაერთიანებულ სამეფოში (United Kingdom) შეიქმნა.

ქვემოთ მოცემულია ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტის (Department of Health, Social Services and Public Safety) მიერ 2008 წლის ივნისში მიღებული დოკუმენტის – „ბავშვთა დაცვის მომსახურების სტანდარტები" – ის ნაწილი, რომელიც ეხება სპეციალური ინსტიტუტების – ბავშვთა დაცვის სფეროს კომიტეტებისა (Area Child Protection Committees (ACPCs) და ბავშვთა სანდო დაცვის პანელების (Trust Child Protection Panels (CPPs)- დანერგვასა და განხორციელებას. აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი სტანდარტი სწორედ ამ ინსტიტუტების ფუნქციონირების მექანიზმებს განსაზღვრავს.

სტანდარტი

ბავშვთა დაცვის სფეროს კომიტეტებისა და ბავშვთა დაცვის მეურვეთა პანელის დანერგვისა და ეფექტური განხორციელებისათვის მთავარი ვალდებულებები ნათლად არის განსაზღვრული და ეთანხმება დეპარტამენტის[4] სახელმძღვანელო პრინციპებს.

კრიტერიუმები

ბავშვთა დაცვის სფეროს კომიტეტი (Area Child Protection Committee(ACPC))

1. ACPC-ის საქმიანობა დადგენილია „ურთიერთთანამშრომლობა ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად"(„Co-operating to Safeguard Children"(CtSC)) მოთხოვნების მიხედვით და მას წარმოადგენენ და ახორციელებენ შესაბამისი ორგანიზაციები, უფლებამოსილების შესაფერის დონეზე.
2. პოლიტიკა, პროცედურები, ინფორმირება და დამატებები ხორციელდება რეგიონულ დონეზე, შესაბამისი ორგანიზაციების მიერ, რომლებიც მუშაობენ მულტიდისციპლინურ და ორგანიზაციათშორის CtSC-ის მიერ დადგენილ ფარგლებში და დეპარტამენტის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით.
3. ACPC-ის ბავშვის დაცვის სტრატეგია და ბიზნეს- გეგმა ეთანხმება ყველა პრინციპსა და ორგანიზაციას, რომლებიც ჩართულნი არიან ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და ეს დოკუმენტები საყოველთაოდ ხელმისაწვდომია.

---

3 იგულისხმება ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტი

4. დანერგილია შედეგზე ორიენტირებული მიზნები და შესრულების ინდიკატორები ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ისინი ითვალისწინებენ მულტიდისციპლინურ და ორგანიზაციათშორის თანამშრომლობას.
5. უზრუნველყოფილია პოლიტიკისა და პროცედურების ხელმისაწვდომობა და გამოყენება. ბავშვის დაცვის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირდება და ვრცელდება ყველა რელევანტურ მომსახურებაში.
6. კომიტეტს ჰყავს კონტროლის (აუდიტის) ქვეჯგუფი და, **ბავშვთა სანდო დაცვის პანელთან (CPP)** თანამშრომლობით, გააჩნია კონტროლის მულტიდისციპლინურად შეთანხმებული და ორგანიზაციათშორისი თანამშრომლობით დაგეგმილი პროგრამა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება, გაიზომოს მიღწეული შედეგები ბავშვებისა და ოჯახებისთვის. ეს უზრუნველყოფს, რომ:

- მომსახურებები მუშაობდნენ ეფექტურად და შეთანხმებულად ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და საჭირო რესურსების განსასაზღვრად;
- მართვა და კორპორატიული პასუხისმგებლობა ხორციელდებოდეს წარმატებულად;
- ბავშვის დაცვის პრობლემები და მიღწევები გაზიარებული იქნეს სფეროებსა და სააგენტოებს შორის და მიიღებოდეს შესაფერისი უკუკავშირი;
- უნიდისციპლინური, მულტიდისციპლინური და ორგანიზაციათშორისი სწავლებები/ტრენინგები დაფუძნებული იყოს ბავშვის დაცვის საკითხებზე და შტატისათვის განსაზღვრული საჭიროებები ჩაერთოს ბავშვთა დაცვის საქმიანობაში;
- ბავშვის დაცვის რეგისტრაციის ხელმისაწვდომობა და გამოყენება ხელშეწყობილ იქნეს მთელი რეგიონის მასშტაბით და ეთანხმებოდეს CtSC-სა და დეპარტამენტის სახელმძღვანელო პრინციპებს, ასევე, ACPC-ს რეგიონულ პოლიტიკასა და პროცედურებს;
- ბავშვის დაცვის აქტივობები მოექცეს რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების ქვეშ და თანამშრომლებს ჰქონდეთ შესაბამისი ინსტრუმენტები იმისთვის, რომ მათ სამუშაოში ჩართონ ოჯახებისა და ბავშვებისთვის მიღწეული შედეგების გაზომვის საშუალებები.

ბავშვთა სანდო დაცვის პანელი (Trust Child Protection Panel (CPP))

7. ბავშვთა სანდო დაცვის პანელის საქმიანობა დადგენილია „ურთიერთთანამშრომლობა ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ („Co-operating to Safeguard Children“(CtSC))-ისა და დეპარტამენტის სახელმძღვანელო პრინციპებით. მას წარმოადგენენ და ახორციელებენ შესაბამისი ორგანიზაციები უფლებამოსილების შესაფერის დონეზე.
8. უფლებამოსილების ფარგლები (terms of reference) დადგენილია და საქმიანობა მიმდინარეობს ბავშვის დაცვის სფეროს კომიტეტის (ACPC) ბიზნეს გეგმისა და განაზღვრული მიზნების მიხედვით.
9. ბავშვთა სანდო დაცვის პანელს, ბავშვთა დაცვის სფეროს კომიტეტთან თანამშრომლობით, გააჩნია კონტროლის მულტიდისციპლინურად შეთანხმებული და ორგანიზაციათშორისი თანამშრომლობით დაგეგმილი პროგრამა კონტროლის შესახებ, რათა გაიზომოს ოჯახებისა და ბავშვებისთვის მიღწეული შედეგები. ეს უზრუნველყოფს, რომ:

- მომსახურებები მუშაობდეს ეფექტურად და შეთანხმებულად ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და საჭირო რესურსების განსასაზღვრად;

- მართვა და კორპორატიული პასუხისმგებლობა ხორციელდებოდეს წარმატებულად;
- დაინერგოს ბავშვთა დაცვის სფეროს კომიტეტის რეგიონული პოლიტიკა და პროცედურები;
- ბავშვის დაცვის პრობლემები და მიღწევები გაზიარებულ იქნეს სფეროებსა და ორგანიზაციებს შორის და მიიღებოდეს შესაფერისი უკუკავშირი;
- უნიდისციპლინური, მულტიდისციპლინური და ორგანიზაციათშორისი სწავლებები/ტრენინგები დაფუძნებული იყოს ბავშვის დაცვის საკითხებზე და შტატისათვის განსაზღვრული საჭიროებები ჩაერთოს ბავშვთა დაცვის საქმიანობაში;
- ხელი შეეწყოს ბავშვის დაცვის რეგისტრაციის ხელმისაწვდომობასა და გამოყენებას მთელი რეგიონის მასშტაბით და უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისობა CtSC-სა და დეპარტამენტის სახელმძღვანელო პრინციპებთან, ასევე, ACPC-ს რეგიონულ პილიტიკასა და პროცედურებთან;
- ბავშვის დაცვის აქტივობები მოექცეს რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების ქვეშ და თანამშრომლებს ჰქონდეთ შესაბამისი ინსტრუმენტები იმისთვის, რომ მათ სამუშაოში ჩართოს ოჯახებისა და ბავშვებისთვის მიღწეული შედეგების გაზომვის საშუალებები.

* * *

მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭო ანალოგიური ინსტიტუტია და მოიაზრებს იმავეს, რასაც **ბავშვთა დაცვის სფეროს კომიტეტი (**Area Child Protection Committee (ACPC) ჩრდილოეთ ირლანდიაში.

ამ ორ ინსტიტუტს შორის შემდეგი მსგავსებაა:

- ორივე მათგანი სახელმწიფო/რეგიონული პოლიტიკის ნაწილია, ანუ მათი კოორდინაცია ხდება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ქვეშ;
- ისინი მულტიდისციპლინური და მულტიუწყებრივი ინსტიტუტებია, ანუ ეფუძნება კორპორატიულ პასუხისმგებლობას;
- მათში ინსტიტუციურად ჩართულია ბავშვთა ზრუნვის სფეროში არსებული ორგანიზაციები როგორც სახელმწიფო, ისე სამოქალაქო სექტორიდან.

შესაძლოა, ვისაუბროთ ერთ მნიშვნელოვან განსხვავებაზე, რომელიც არსებობს მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონულ საბჭოსა და ბავშვთა დაცვის სფეროს კომიტეტს (Area Child Protection Committee (ACPC) შორის: ACPC-ს ჰყავს **კონტროლის (აუდიტის) ქვეჯგუფი**, რომელიც ბავშვთა სანდო დაცვის პანელთან (CPP) თანამშრომლობით, ზედამხედველობს კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ასეთ მაკონტროლებელ ინსტიტუტად საქართველოში შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. „ქეის-კონფერენცია“, თუმცა, ეს ზედამხედველობის უფრო სუსტი რგოლია.

* * *

ქვემოთ გადმოცემულია საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგების დეტალური აღწერა და ანალიზი.

4. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების[4] ზოგადი შეფასება. მათი შექმნის აუცილებლობა

რეგიონული საბჭოების ინსტიტუტის არსებობის პოზიტიური შეფასების არგუმენტები:

4.1. აღნიშნული ინსტიტუტი უზრუნველყოფს ბავშვთა კეთილდღეობისა და ზრუნვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას მონაწილეობითი პრინციპით და არა ერთპიროვნულად, ისეთი უწყების მიერ, როგორიცაა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. შესაბამისად, რეგიონული საბჭოების უპირატესობა ისაა, რომ არის მრავალუწყებრივი და შედგება სხვადასხვა პროფესიული პროფილის მქონე სპეციალისტებისაგან. ანუ, რეგიონული საბჭოების უდავო უპირატესობა მისი **მულტიუწყებრივი და მულტიდისციპლინური** სტრუქტურაა.

> *"საბჭო არის სათათბირო ორგანო, რომელიც კოლექტიურად იღებს გადაწყვეტილებებს. არ იქნებოდა სწორი, რომ (სოციალური მომსახურების) სააგენტოს აეღო თავზე მოგვარება მწვავე პრობლემებისა, რომლებიც ბავშვების სასიცოცხლო ინტერესებს ეხება. საბჭოში წარმოდგენილია როგორც სხვა სახელისუფლო სტრუქტურები, ადგილობრივი თვითმმართველობების ჩათვლით (რომელთაც საკუთარი სოციალური ბიუჯეტი აქვთ და ეს შესაძლებლობები შეგვიძლია ჩავრთოთ სხვადასხვა ქეისში), ისე ბავშვთა ზრუნვაში ჩართული არასამთავრობო სექტორი, რომელიც იძლევა ბევრ რეკომენდაციას სხვადასხვა მიმართულებით" (სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამდებობის პირი).*

4.2. რეგიონული საბჭოები უზრუნველყოფს ბავშვზე ზრუნვის პრაქტიკაში ადგილობრივი თემების ჩართვას და, შესაბამისად, თემზე პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

4.3. რეგიონული საბჭოები უზრუნველყოფს ბავშვთა ზრუნვისა და კეთილდღეობის სახელმწიფო სისტემის დეცენტრალიზაციას. ცენტრს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, კერძოდ, მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. მართალია, სააგენტოს გააჩნია რეგიონული ფილიალები (ანუ, ფორმალურად, გარკვეულ დონეზე, დეცენტრალიზებულია), მაგრამ ეს სისტემა მაინც სუბორდინაციულია და სააგენტოს რეგიონული განყოფილებები (ქვესტრუქტურები) დამოკიდებულია „ცენტრის" გადაწყვეტილებებზე. რეგიონული საბჭოების შექმნით, გაჩნდა სახელმწიფო/სახელისუფლო დეცენტრალიზაციის ახალი (პარალელური) ნაკადი: საბჭოების მუშაობაში მონაწილეობენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო-

4 ტესტში შემდგომ მოხმარებული იქნება მოკლე სახელწოდება „რეგიონილი საბჭოები"

ების (გამგეობა, მერია) წარმომადგენლები (მაგ., მერიის სოციალური სამსახურების მუშაკები), აგრეთვე, განათლების ადგილობრივი რესურს-ცენტრის წარმომადგენლები და ა.შ.[5]

4.4. რეგიონული საბჭოების საშუალებით ხდება თემში არსებული რესურსებისა და მომსახურებების შესახებ ინფორმაციების გაზიარება სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის, რაც შესაძლებლობას აძლევს ამ უკანასკნელს, გამოიყენოს ეს ცოდნა ბენეფიციარების საკეთილდღეოდ.

4.5. რეგიონული საბჭოების შექმნის აუცილებლობა განაპირობა, აგრეთვე, ბავშთა ზრუნვის სფეროში გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოების ჩართვის არაეფექტურობამ. კრიტიკულ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელი იყო ამ სახელმწიფოებრივი ორგანოს ჩარევა პრობლემის მოსაგვარებლად, ეს პროცესი, მისი გადატვირთულობის გამო, ჭიანურდებოდა ან, არათავისუფალი სასამართლო სისტემიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებები მიიღებოდა ტენდენციურად, სახელმწიფო უწყების (უწყებების) სასარგებლოდ. ამ ფაქტორების გასანეიტრალებლად შეიქმნა სწორედ რეგიონული საბჭოები.

„საბჭოებს აქვს კვაზისასამართლოს ფუნქცია“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ბავშვზე ზრუნვის სფეროში).

4.6. რეგიონული საბჭოების, როგორც სათათბირო ორგანოს, არსებობა ხელს უწყობს **მიუკერძოებელი, ობიექტური და სამართლიანი** გადაწყვეტილებების მიღებას. სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთ გამოწვევას მიზნობრივი ქეისების სამართლიანი მართვის გზაზე სააგენტოს სოციალური მუშაკის სუბიექტივიზმი (სუბიექტური შეფასება) წარმოადგენს; რეგიონული საბჭოების ერთ-ერთი მიზანი სწორედ სოციალურ მუშაკთა საქმიანობის მონიტორინგი და შესაძლო სუბიექტივიზმის განეიტრალებაა.

„ჩვენი ერთ-ერთი მიზანი იყო, რომ შექმნილიყო ისეთი სტრუქტურა და ისეთი სისტემა, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავდა სოციალურიმუშაკის საქმიანობაში სუბიექტურ მომენტებს“ (სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამდებობის პირი).

5 თუმცა, გამოითქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა სახელმწიფო დეცენტრალიზაციის კიდევ უფრო გაღრმავება მუნიციპალიტეტების დონეზე და 10-ის ნაცვლად 64 რაიონული საბჭოს შექმნა (ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

5. რეგიონული საბჭოების შემადგენლობის შეფასება

რეგიონული საბჭოების შემადგენლობასთან მიმართებით შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა:

5.1. რეგიონულ საბჭოებში სახელმწიფოს სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის ბალანსის პრობლემა; კერძოდ, ზოგიერთ რეგიონულ საბჭოში (არა თბილისში, არამედ საქართველოს რეგიონებში) სახელმწიფო/სახელისუფლო სტრუქტურების წარმომადგენლები ჭარბობენ, რაც საბჭოში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლობის პოზიციათა გაუთვალისწინებლობის, მეტიც, დაბლოკვის (დისკრიმინაციულ) პრაქტიკას უწყობს ხელს.

დისკუსია:

სოციალური მომსახურების სააგენტოს პოზიციაა, რომ არ შეიძლება საბჭოს მუშაობა შევაფასოთ იმ ნიშნით, თუ ვინ წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურას და ვინ – სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. ასეთი დაყოფა არარელევანტურია; მართალია, ხმები ხშირად იყოფა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, მაგრამ ამ უკანასკნელთა წყარო არ არის სექტორალური დიქოტომია (სახელმწიფო სექტორი/სამოქალაქო სექტორი), არამედ პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებს შორის არჩევანი.

„ვერ დავეთანხმები საბჭოს დაყოფას სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების მიხედვით; მე ნამდვილად არ მქონია ის პრაქტიკა საბჭოში, რომ ხმები გაყოფილიყო ამ სექტორებს შორის, რაღაც გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, თუმცაღა, ძალიან ხშირად ხმები იყოფა, რადგან არის დიდი დისკუსია სტრუქტურაში მომუშავე ადამიანებს შორის. უმეტესწილად, ერთი უწყების, მათ შორის, სააგენტოს შიგნით მომუშავე ადამიანებს შორის გამოჯნულა აზრი“ (სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამდებობის პირი).

„ძალიან ხშირად ხდება ისე, რომ იმ სოციალური მუშაკს, რომელსაც ქეისი გამოაქვს საბჭოზე და სააგენტოს წარმომადგენელია, ჩვენვე არ ვეთანხმებით, ვბლოკავთ... გვაქვს ცხარე დისკუსია, ანუ ეს რეალური მუშა პროცესია...“ (სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამდებობის პირი).

სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ საბჭოში ბალანსი ფორმალურად, ანუ დებულების მიხედვით არის უზრუნველყოფილი: 5 წევრი სახელმწიფო/სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენელია (3 – სააგენტოს, 1 – განათლების სამინისტროს რესურს-ცენტრების, ხოლო 1 – ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი), ხოლო დანარჩენი 5 – სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების. თუმცა, პრობლემა შეიძლება შექმნას იმან, რომ ზოგიერთ რეგიონში არ არსებობს შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაცია და ვერ ხდება სამოქალაქო სექტორის კვოტის შევსება. სხვა შემთხვევაში, დისბალანსი შეიძლება შეიქმნას ad hoc, როდესაც სხდომებს ზოგიერთი წევრი არ ესწრება (მეორე მხრივ, ასეთი დისბალანსი შეიძლება შეიქმნეს როგორც სამთავრობო, ისე სამოქალაქო სექტორის სასარგებლოდ).

5.2. აღინიშნა რეგიონული საბჭოების წევრების, განსაკუთრებით, ადგილობრივი სახელმწიფო უწყებების (მუნიციპალური მმართველობის სტრუქტურების, განათლების ადგილობრივი რესურს-ცენტრების) წარმომადგენელთა არასათანადო მოტივაციურობა (პასიურობა) საბჭოებში აქტიური მონაწილეობისათვის და საბჭოს კომპეტენციის შესასაბამისი პრობლემების გაცნობიერების არასაკმარისი დონე. უფრო კონკრეტულად, ეს გამოიხატება საბჭოს სხდომების გაცდენით, განსახილველი მასალების გაუცნობლობით, დისკუსიებში არმონაწილეობით და ა.შ.

5.3. ზოგიერთ რეგიონულ საბჭოში სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა არაადეკვატური ჩართვა იმაშიც ვლინდება, რომ ისინი წარმოადგენენ სოციალური მომსახურების სააგენტოს „დამატებას“, ანუ, ფაქტობრივად, სტატისტის ფუნქციას ასრულებენ და უპირობოდ მიკერძოებულობითაც ეთანხმებიან სააგენტოს პოზიციას. შესაძლოა, ეს პოლიტიკური ანგაჟირებულობითაც იყოს გამოწვეული.

დისკუსია:

მეორე მხრივ, ჯგუფურ დისკუსიებში მკაფიოდ ითქვა, რომ სახელმწიფო სტრუქტურების არაადეკვატური მონაწილეობა საბჭოებში არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოებს მიეცეს ამ წევრებისაგან ინსტიტუციური განთავისუფლების რეკომენდაცია. გამოსავალი, ამ შემთხვევაში, მოტივირებული და კვალიფიციური (ბავშვთა სოციალური კეთილდღეობის მიმართულებით) სახელმწიფო მოხელეების მოძიება და ჩართვაა.

„ჩვენ შევთავაზეთ რეკომენდაციები საბჭოს თავმჯდომარეს,მათ საფუძველზე საბჭოს დებულებასაც გადავხედეთ და შევცვალეთ... ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ის, რომ როდესაც სახელმწიფო მოხელე ვერ მოდის საბჭოზე, ჩვენ ამის გამო ის კი არ ვთქვათ, რომ ეს სტრუქტურა არ არის საჭირო საბჭოში, არამედ მენეჯმენტთან დავსვათ საკითხი(მუნიციპალიტეტის იქნება თუ განათლებისა და მეცნიერების რესურს-ცენტრების), რომ ისეთი ადამიანები გამოუშვან, რომელთაც შეეძლებათ მოსვლა ან მათ სამუშაო აღწერილობებში ჩაიდოს საბჭოში მონაწილეობა, როგორც აუცილებელი ფუნქცია... ხშირად ეს ადამიანები თავს იმით ვიმართლებენ, რომ მუნიციპალიტეტებში თუ რესურს- ცენტრებში არ აქვთ ხელშეწყობა, რომ საბჭოს სხდომებს დაესწრონ“ (თბილისის რეგიონული საბჭოს წევრი).

5.4. ფოკუს ჯგუფებზე ხშირად გამოითქვა მოსაზრება, რომ საჭიროა რეგიონულ საბჭოებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების წარმომადგენლობის გაზრდა. ეს უფრო მეტ გამოწვევას შექმნის სახელმწიფო ინსტიტუტების (უპირველესად კი, სოციალური მომსახურების სააგენტოს) წინაშე, რაც ხელს შეუწყობს ცალკეული ქეისების უკეთესად დამუშავებასა და უფრო მეტად სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას. საქმე ისაა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს (ქეისებზე მომუშავე პირების, სოციალური მუშაკების ჩათვლით) აქვთ მოლოდინი, რომ სამოქა-

ლაქო სექტორის მხრიდან მათ მიმართ მხარდაჭერა უნდა იყოს უპირობო და არა კრიტიკული. სამოქალაქო სექტორის ფოკუს ჯგუფების წევრთა აზრით, ეს ბავშვზე ზრუნვის რეგიონული საბჭოების ფუნქციის დამახინჯებაა.

„ძალიან საინტერესოა,რამდენი გადაწყვეტილება არის დაბლოკილი საბჭოს მიერ. ეჭვი მაქვს, ასეთი გადაწყვეტილება ძალიან ცოტაა. თბილისში უფროა დაბლოკილი გადაწყვეტილებები. მე მეამაყება, რომ ეს პასუხობს საბჭოს ფუნქციას, კრიტიკული იყოს... საბჭოს ხომ ორმაგი დანიშნულება აქვს: მხარდამჭერი და მაკონტროლებელი. რამდენად მახინჯდება მისი, როგორც მაკონტროლებელის ფუნქცია, ამას სერიოზული შესწავლა სჭირდება“
(თბილისის რეგიონული საბჭოს წევრი).

5.5. საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებით, ექსპერტების მოსაზრებაა, რომ საბჭოს სხდომების მუშაობაში აუცილებლად მონაწილეობდნენ სერვისის პროვაიდერები(მომსახურების მიმწოდებლები), როდესაც განიხილება რომელიმე მომსახურებაში ბავშვის განთავსება. ახლა ეს, უკეთეს შემთხვევაში, სტუმრის სტატუსით ხდება. თუმცა, სერვისის პროვაიდერის დასწრება უნდა იყოს არა ნებაყოფლობითი ან არჩევითი, არამედ სავალდებულო. რაც მთავარია, მათ უნდა მიეცეთ ხმა გადაწყვეტილების მიღებისას, ანუ მათი ჩართვა უნდა იყოს ინსტიტუციური.

5.6. ფოკუს ჯგუფების მონაწილე ზოგიერთმა წევრმა ხაზი გაუსვა საბჭოს წევრების როტაციის მიზანშეწონილებასაც, რაც საბჭოს უფრო ქმედუნარიანს გახდის.

„რომ ვაკვირდები, ადამიანი, რომელიც უცვლელად არის საბჭოს წევრი, შეიძლება გაცვდეს...“ (ერთ-ერთი რეგიონული საბჭოს წევრი).

6. რეგიონული საბჭოების წევრთა შერჩევა

6.1. ფოკუს ჯგუფებზე დაისვა საკითხი, რომ არ არსებობს რეგიონული საბჭოების არასამოქალაქო საზოგადოების წევრთა შერჩევის თანმიმდევრული და გაწერილი მექანიზმი. საბჭოს იმ წევრების შერჩევა, რომლებიც წარმოადგენენ მუნიციპალურ ხელისუფლებასა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს, ხდება სპონტანურად, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და მზაობის გათვალისწინების გარეშე. მართალია, რეგიონული საბჭოების სამოქალაქო საზოგადოების წევრები, თავიანთი პროფესიული პროფილის მიხედვით, თავისთავად, ითვლებიან რეგიონული საბჭოების რელევანტურ წევრებად,მაგრამ არც ისინი გადიან შერჩევის რაიმე ფილტრს, რაც კონკურენტული გარემოს შექმნას აფერხებს.

6.2. გამოითქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, თუ რეგიონული საბჭოების წევრები შეირჩევიან კონკურსის წესით, ხოლო ამას განახორციელებს მულტიდისციპლინური და მულტიუწყებრივი გუნდი (კომისია). ეს გაზრდის საბჭოს წევრების კონკურენტუნარიანობას.

> *„რაც მეტი პროფესიონალი იქნება საბჭოში, მით უკეთესი და თუ გამოვაცხადებთ კონკურსს ვაკანტურ თანამდებობებზე, ეს ხელს შეუწყობს პროფესიონალი წევრების ჩართვას“ (სოციალური მომსახურების სააგენტოს მაღალი თანამდებობის პირი).*

6.3. თუმცა, ითქვა ისიც, რომ შეიძლება აღნიშნული მექანიზმი ეფექტური აღმოჩნდეს თბილისის რეგიონული საბჭოს დიზაინისთვის, მაგრამ რეგიონებში ამან ცუდად იმუშაოს (ან, საერთოდ არ გაამართლოს) რესურსების სიმწირის გამო. რეგიონებში გამოსავალი ისაა, რომ გაჩნდეს საბჭოში მუშაობის ინსტიტუციური ვალდებულება სახელმწიფო უწყებების მხრიდან, საბჭოში მუშაობა უნდა იქცეს სამსახურებრივი მოვალეობის ნაწილად.

> *„რა კონკურენციაზეა ლაპარაკი, როცა ისინიც კი, ვინც არიან საბჭოს წევრები სახელმწიფო სტრუქტურებიდან, სახვეწარნი არიან, რომ დაესწრონ საბჭოს სხდომებს. ადამიანური რესურსის დეფიციტია, განსაკუთრებით, რეგიონებში. ამ პრობლემას ეშველება, თუ უწყებას ჩაეწერება წესდებაში, რომ რეგიონულ საბჭოებში ჩართვა აუცილებელი ამოცანაა. ამით ორიგანიზაციას გაუჩნდება ვალდებულება,რელევანტური ადამიანი გამოუშვას“ (სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი ბავშვზე ზრუნვის სფეროში).*

7. საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხი

7.1. ანაზღაურების მომხრეთა არგუმენტები:

- ანაზღაურება გაზრდის საბჭოს წევრების პასუხისმგებლობასა და ანგარივალდებულებას (როგორც საბჭოს სხდომებზე დასწრების, ისე აქტიური/ნაყოფიერი ჩართვის თვალსაზრისით);
- ანაზღაურების შემთხვევაში გაიზრდება საბჭოს წევრებზე ზემოქმედების ხარისხიც,საბჭოს მუშაობაში მათი ჩართვის მოთხოვნით;
- ანაზღაურების შემოღება გააჩენს სანქციების ინიცირების შესაძლებლობას საბჭოს წევრების მხრიდან შეუსაბამო ქცევისთვის (მაგ., ასეთი სანქცია შეიძლება იყოს ანაზღაურების შეკვეცა ან არგადახდა);
- ანაზღაურების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება საბჭოს წევრების მიმართ დამატებითი ვალდებულებების შემოღება (მაგალითად, საბჭოს წევრებს შეიძლება მოეთხოვოთ განსახილველ ქეისებზე წერილობითი დასკვნების მომზადება).

7.2. ანაზღაურების ფორმები:

ანაზღაურება შეიძლება მოხდეს ხელფასის სახით ან შეიძლება გაიცეს ჰონორარი სხდომების რაოდენობის მიხედვით. ამ უკანასკნელშიც შეიძლება დიფერენციაცია სხდომების მიმდინარეობის ხანგრძლივობის მიხედვით. ზოგი სხდომა ბევრ საათს გრძელდება (საბჭო შეიძლება მეორე დღესაც შეიკრიბოს), ზოგი – შედარებით ხანმოკლეა. შესაბამისად, ჰონორარი შეიძლება გაიცეს საათობრივად. განსხვავებული დატვირთვის მიხედვით ანაზღაურება (ჰონორარი) შეიძლება გაიცეს, აგრეთვე, შესწავლილი საქმეების მოცულობისა და მათზე წარმოდგენილი დასკვნების პროპორციულად.

შესაძლოა, შემოღებულ იქნეს ანაზღაურების დიფერენცირებული წესი: ანაზღაურებას ვერ მიიღებენ ისინი, ვინც სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელია, რადგან მათ თანამდებობრივად, მათი სტატუსებიდან გამომდინარე, ევალებათ საბჭოში ყოფნა. რაც შეეხება განათლების სამინისტროს რესურს- ცენტრების, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის ან, მით უფრო, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ ასეთი ფორმალური ვალდებულება არ აქვთ, ეს მათი დამატებითი საქმეა. ამდენად, მიზანშეწონილია, ასეთ წევრებს ჰქონდეთ გარკვეული ანაზღაურება.

მეორე მხრივ, ისიც აღსანიშნავია, რომ რეგიონული საბჭოების სოციალური მომსახურების სააგენტოს წევრებისთვის ეს საქმიანობა, ინსტიტუციური ვალდებულების მიუხედავად, დამატებითი აქტივობაა, რომელიც მათ ისედაც გადატვირთულ გრაფიკს კიდევ უფრი ამძიმებს (ეს, განსაკუთრებით, ითქმის რეგიონული საბჭოების თავმჯდომარეებზე). ამდენად, ურიგო არ იქნება მათი ფინანსური წახალისება ამა თუ იმ ფორმით (სახელფასო დანამატი, პრემია და ა.შ.).

7.3. ანაზღაურების მოწინააღმდეგეთა არგუმენტები:

- რეგიონულ საბჭოში მონაწილეობის მთავარი მოტივატორი უნდა იყოს ღირებულებითი, ანუ ბავშვებზე ზრუნვისა და მათი პრობლემების მოგვარების მოთხოვნილება. ანაზღაურების დანიშვნამ შეიძლება მეორეხარისხოვანი გახადოს ეს მოტივატორი და საბჭოში ჩართვის ძირითად ფაქტორად იქცეს.

> *„იმ ადამიანებისთვის, რომლებიც, დღესდღეობით, საბჭოში თავიანთი იმ მოტივაციიდან გამომდინარე მოდიან, რომ მთავარია, მოწყვლად ბავშვებს ეშველოს და მათთვის სულერთია, ამაში ფულს აიღებენ თუ არა, ანაზღაურება არაფერს შეცვლის მე ვშიშობ, რომ ანაზღაურების შემოღებამ შეიძლება გააჩინოს საბჭოში ისეთი ნიშა, რომელშიც ვიღაცები მხოლოდ ანაზღაურების გამო მოხვდებიან და არა – ბავშვებზე ზრუნვის მთავარი იდეით“ (სოციალური მომსახურების სააგენტოს მაღალი თანამდებობის პირი).*

- ანაზღაურების გარეშე საბჭოში მონაწილეობა თავისუფლების ერთ-ერთი გარანტიაა საბჭოს იმ წევრებისა, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებას წარმოადგენენ. ანაზღაურების დანიშვნა, რაც სახელმწიფო (კერძოდ, სოციალური მომსახურების სააგენტოს) ბიუჯეტიდან უნდა მოხდეს, ხელს შეუწყობს მორალური წნეხის გაჩენას საბჭოს მესამე სექტორის წევრებში, რათა ისინი ლოიალურნი გახდნენ სააგენტოს პოზიციისა და გადაწყვეტილებების მიმართ.

> *„საბჭოს წევრი რომ ვარ და ამაში ფულს არ ვიღებ, ეს ჩემი დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის შენარჩუნებაში მიწყობს ხელს. თუ სააგენტო ფულს გადამიხდის, ეს მისი ზემოქმედების ერთ-ერთი ბერკეტი იქნება. ამ ზეგავლენისგან გათავისუფლება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გაუჭირდებათ...“ (სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენელი).*

> *„დაფინანსებას როცა აძლევ, მაშინ დამოუკიდებლობის სხვა გარანტიები უნდა ჩადო, რაც, მეეჭვება, აქ მოხერხდეს, ამ სისტემაში. ფაქტია, რომ ვიღაცას ყოველთვის ექნება შიში, რომ დაკარგავს შემოსავალს და ამიტომ დაემორჩილება ხელფასის დამნიშნავს“ (სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი ბავშვზე ზრუნვის სფეროში).*

8. ხარვეზები/პრობლემები რეგიონული საბჭოების მუშაობაში

8.1. რეგიონული საბჭოების არასაკმარისი რაოდენობა

1. უკვე აღინიშნა (იხ. მოცემული ანგარიში, თავი 4), რომ რეგიონული საბჭოების არსებობის ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ ისინი უზრუნველყოფს ბავშვთა ზრუნვისა და კეთილდღეობის სახელმწიფო სისტემის დეცენტრალიზაციას. თუმცა, გამოითქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა, სახელმწიფო დეცენტრალიზაციის კიდევ უფრო გაღრმავება მუნიციპალიტეტების დონეზე და 10 რეგიონული საბჭოს ნაცვლად, 64-ის შექმნა. მეორე მხრივ, ითქვა, რომ ასეთი რეორგანიზაცია რთულია (ამ ეტაპზე, შეუძლებელიც) შესაბამისი ადამიანური რესურსების ნაკლებობის გამო. თუმცა, შესაძლებელია,ამეტაპზე მინიმუმ ისრაიონები განისაზღვროს, რომლებშიც ბევრი ქეისი გროვდება.

2. ფოკუს ჯგუფებში კიდევ უფრო გამოიკვეთა მოსაზრებაიმის შესახებ, რომ სრულიად გაუმართლებელია, თბილისში არსებობდეს მხოლოდ ერთი რეგიონული საბჭო. დედაქალაქში უამრავი შემთხვევაა განსახილველი, ზოგჯერ ასეულობით ქეისია ჩართული დღის წესრიგში, რაც საბჭოს წევრებს აყენებს მათი ფორსირებულ რეჟიმში განხილვის იძულების წინაშე; ეს კი სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესს აზარალებს.

> *„საბჭოში მოსვლის დღიდან ვცდილობ და დღემდე ვერ მივაღწიე იმას,რომ თბილისში არ იყოს მხოლოდ ერთი რეგიონული საბჭო. ეს არის დანაშაული. დედაქალაქში, სადაც ბავშვთა პოპულაცია არის საქართველოს ბავშვთა პოპულაციის თითქმის ნახევარი, არ შეიძლება, ერთი საბჭო არსებობდეს. იყო ისეთი სიტუაციები, როდესაც ერთ დღეში განვიხილავდით 200-300 ქეისს. თბილისში მივაღწიეთ, რომ საბჭოს მუშაობა 2 დღიანია, მაგრამ საქმეს ვერ აუდის“ (რეგიონული საბჭოს წევრი თბილისში).*

გამოითქვა რეკომენდაცია, რომ თბილისში ცალკეულ გაერთიანებულ რაიონს (ასეთი სულ ხუთია), ჰყავდეს თავისი საბჭო (ანუ, სულ ხუთი საბჭო). თუმცა, ითქვა ისიც, რომ საბჭოს თავმჯდომარე იყოს ერთი, რათა კოორდინაცია თბილისის საბჭოებს შორის იყოს ეფექტური და არსებობდეს მონაცემთა ერთიანი ბაზა.

8.2. საბჭოს მუშაობაში წევრების ჩართვის დაბალი მოტივაცია; პრობლემები რეგიონული საბჭოს წევრების კომპეტენციასთან დაკავშირებით

1. პრაქტიკულად ყველა ჯგუფურ დისკუსიაზე ხაზგასმით ითქვა წევრების მხრიდან რეგიონულ საბჭოში მუშაობის მზაობის სხვადასხვა ხარისხზე; აღინიშნა ისიც, რომ ასეთი მზაობა ყველაზე ნაკლებად აქვთ ადგილობრივ სახელმწიფო/სახელისუფლო სტრუქტურებს. კერძოდ, მუნიციპალური ხელისუფლებისა და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების წარმომადგენლებს. ისინი ხშირად არც კი კითხულობენ მასალებს, არ ინტერესდებიან ან დროს ვერ პოულობენ. ამდენად, საბჭოს ამ წევრებს ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ ან ზედაპირული ინფორმაცია აქვთ განსახილველი ქეისების შესახებ.

2. საბჭოს წევრობა არის დამატებითი ვალდებულება, რომელიც არ არის ანაზღაურებადი და, მეორე მხრივ, არც ითვლება სამუშაოს დროის (დატვირთვის) ფორმალურ ნაწილად. ეს ამცირებს საბჭოს მუშაობაში აქტიური და ნაყოფიერი ჩართვის მოტივაციას.

3. საბჭოების მუშაობა უფრო ქმედითი გახდა, როდესაც მათში სოციალური მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენლები გაწევიანდნენ, თუმცა, ამ ასოციაციის ჩართვის პრაქტიკა მხოლოდ თბილისში შენაჩუნდა, რეგიონებში მისი წარმომადგენლები, პრაქტიკულად, აღარ მონაწილეობენ საბჭოების მუშაობაში.

> *„როგორც წესი, თვითმმართველობიდან და რესურს ცენტრიდან ვინც ერთვება, არ არის ისეთი აქტიური. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ უამრავი საქმე აქვთ, შეიძლება, სხდომის დამთავრებამდე უფრო ადრეც წავიდნენ, ამის მომიზეზებით. მეორეც, არ კითხულობენ ქეისებს, თუნდაც 10 ქეისზე იყოს საუბარი და არა ათობით ან ასობით მათგანზე, როგორც ეს თბილისის საბჭოში ხდება. არასამთავროების როლი გაცილებით უფრო ადეკვატურია...“ (სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი).*

4. ფოკუს ჯგუფის ზოგიერთი წევრმა ისაუბრა საბჭოს წევრების კომპეტენციის პრობლემაზე, უფრო სწორად, კომპეტენციების შეუთავსებლობაზე რეგიონული საბჭოს პროფილთან. ეს პრობლემა თანაბრად შეიძლება შეეხოს როგორც საბჭოს წევრებს სახელმწიფო სტრუქტურების მრიდან, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

> *„საბჭოს წევრები ნაკლებად კომპეტენტურები არიან ბავშვზე ზრუნვის საკითხებში. შეიძლება, იურიტი ესწრებოდეს საბჭოს, მაგრამ ის სულ სხვა პროფილით იყოს კომპეტენტური და არ ჰქონდეს სამოქალაქო სამართალში განათლება და არ იცოდეს ამ მხრივ კანონები. ესწრებოდეს ექიმი, რომელიც არ არის პედიატრი. ასევე, შეიძლება, ესწრებოდეს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც არ მუშაობს ბავშვზე ზრუნვის მიმართულებით... ასეთები არიან საბჭოში“ (მცირე საოჯახო ტიპის სახლის წარმომადგენელი).*

მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს რეგიონებში საქმის მცოდნე, უფლებამოსილი ადამიანური რესურსების სიმწირეა და ძალზე რთულდება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიონალის მოძებნა.

4. დისკუსიებში აღინიშნა, რომ არსებობს ე.წ. „პროფილური“ დაინტერესების შემთხვევებიც – საბჭოს წევრი, რომელიც ამა თუ იმ სერვისის მიმწოდებელია, ინტერესდება მხოლოდ იმ ქეისებით, რომლებიც ბენეფიციარის მის მომსახურებაში განთავსებას შეეხება. ასეთი ვიწრო ინტერესი, ერთი მხრივ, კარგია, თუმცა, სხვა, „არაპროფილური“ ქეისების კვალიფიციურ განხილვას აზარალებს.

8.3. შესაბამისი სერვისების არარსებობა; კონფლიქტი სერვისების მიმწოდებლებთან

რეგიონული საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ისაა, რომ მოწყვლად პირებს მათი ფსიქოლოგიური და სოციალური მდგომარეობის შესაბამისი სერვისი (მომსახურება) შესთავაზოს. სწორედ აქ იწყება განხეთქილება საბჭოსა და სერვისის მიმწოდებლებს შორის. ამ კონფლიქტის არსი შემდეგია:

1. არცთუ იშვიათად,საბჭოს გადაწყვეტილებით, პირს განათავსებენ მისი საჭიროებებისათვის შეუსაბამო მომსახურებაში. შესაძლოა, საბჭოს წევრებმა იციან, რომ არასწორ გადაწყვეტილებას იღებენ, თუმცა, არ არსებობს ამ გადაწყვეტილების რეალური ალტერნატივა, რადგან შესაბამისი სერვისები, უბრალოდ, ქვეყანაში/რეგიონში არ შექმნილა. ამ შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელია, მიუთითებს ჩიხურ სიატუაციაზე და გარკვეული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობაზე, რომელიც, თავისთავად, რელევანტური არ არის. საბჭოც იძულებულია დაეთანხმოს. ასეთი პრაქტიკა უკმაყოფილებას იწვევს თავად სერვისების მიმწოდებლებში, რადგან მათ დამატებითი სირთულეები ექმნებათ თავიანთი პროფილური საქმიანობის განსახორციელებლად. ეს პრობლემა განსაკუთრებით რეგიონებში იჩენს თავს.

„შეიძლება საბჭოს წევრების 80% არ იზიარებდეს საბჭოს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას პირის გარკვეულ სერვისში განთავსების შესახებ, თუმცა, უბრალოდ, შედიან ჩიხურ მდგომარეობაში, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობს... შეიძლება თავად სოციალური მუშაკმა აღიაროს, რომ მიღებული გადაწყვეტილება არ არის საუკეთესო, მაგრამ ამბობს, რომ სხვას ვერაფერს იზამენ... მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სექტორი ესწრება საბჭოს და ამის წინააღმდეგია, მათ სხვა გზა არ რჩებათ, რომ არ დაეთანხმონ“ (სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი ბავშვზე ზრუნვის სფეროში).

„ზოგჯერ ბავშვი მოდის საოჯახო ტიპის სახლში და ჩვენ არ გვაქვს შესაბამისი სერვისი ამ კონკრეტულ შემთხვევისთვის; არადა, ბავშვს სწორედაც რომ სპეციფიკური მიდგომა უნდა, ამიტომ ხშირად მინდობით აღმზრდელები უარს ამბობენ მის მეურვეობაზე და ის პირდაპირ შემოდის საოჯახო ტიპის სახლში; მე ხშირად მიჩნდება უკმაყოფილება, რომ მინდობით აღმზრდელებიც არ გვყავს სათანადოდ მომზადებული. ამიტომ კარგად უნდა გაიმიჯნოს, ვის რომელი სერვისი სჭირდება" (ერთ-ერთი რეგიონული საბჭოს წევრი და საოჯახო ტიპის სერვისის მიმწოდებელი).

„კი, არსებობს ჩიხური სიტუაციები. კარგად მახსოვს, დედას არ ჰქონდა სახლკარი და ამის გამო ბავშვი განვათავსეთ მინდობით აღზრდაში. ეს იყო ბავშვის ინტერესის დარღვევა, მაგრამ სხვა ვერაფერი გავაკეთეთ" (ერთ-ერთი რეგიონული საბჭოს წევრი).

ასეთი ჩიხური სიტუაციების გამო, საბჭოს ერთ-ერთი ფუნქცია უნდა იყოს სწორედ რეკომენდაციების მიწოდება სწორი სოციალური პოლიტიკის შესამუშავებლად.

2. ფოკუს ჯგუფებში ჩართულმა წევრებმა (სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებმა, სოციალურმა მუშაკებმა) ისაუბრეს სერვისების პროვაიდერების არაკომპეტენტურობაზე, გამოუცდელობასა და შესაბამისი ჩვევების ნაკლებობაზე; ეს განსაკუთრებით ეხება 24 საათიან მომსახურებებს, რომლებიც, როგორც წესი, განკუთვნილია განსაზღვრული საჭიროებების მქონე (მაგ., სექსუალური ძალადობის მსხვერპლი) ბავშვებისათვის. საჭიროა ამ მიმართულებით შესაბამისი სერვისების შექმნა. რეგიონული საბჭოების ეფექტიანობა, ასეთ შემთხვევებში, არაპროგნოზირებადია და არასწორია მათზე პასუხისმგებლობის სრული ტვირთის დაკისრება. საუკეთესო გამოსავალი, ამ შემთხვევაში, ადეკვატური სერვისების გაჩენაა.

3. ფოკუს ჯგუფების ზოგიერთმა წევრმა ისაუბრა სხვადასხვა სერვისში ბენეფიციარის ჩარიცხვის მკაფიო კრიტერიუმების არარსებობაზე. არ არსებობს თუნდაც გაიდლაინი, შემუშავებული კოლექტიური პასუხისმგებლობის ქვეშ, რომელიც იქნებოდა მკაფიო სახელმძღვანელო საბჭოსთვის სერვისში განთავსების გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთი გზამკვლევის არარსებობა კი იმ სერვისების შესაბამის გამოყენებას უშლის ხელს, რომლებიც საქართველოში არსებობს.

4. სერვისების მიმწოდებლებმა ისაუბრეს იმის შესახებ, რომ საბჭოს არ ჰყოფნის კომპეტენცია, შეაფასოს სხვადასხვა პროვაიდერის შესაძლებლობები, თუ რა ტიპის მომსახურებას აწვდის ეს სერვისები თითოეულ ბენეფიციარს; ასევე, საბჭოს წევრები არ ფლობენ ინფორმაციას მომსახურების მიმწოდებლებზე, არ იციან ესა თუ ის მომსახურება შინაარსობრივად რა ხარისხის სერვისებს სთავაზობს ბენეფიციარებს, რა შესაძლებლობები აქვს მას და ა.შ. ეს მნიშვნელოვნად ზრდის არასწორ მომსახურებაში ბენეფიციარების ჩარიცხვის რისკს.

„საბჭოს წევრები ვერ ან არ ფლობენ ინფორმაციას მომსახურების მიმწოდებლებზე, არ იციან შინაარსობრივად თითოეული მომსახურება რა ხარისხისა და დონისაა თავისი შესაძლებლობის მიხედვით“ (სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი).

5. საბჭოები (ძირითადად, რეგიონებში) რეზისტენტულია საბჭოს მუშაობაში სერვისების პროვაიდერების ჩართვის მიმართ. ამის მიზეზი ისაა, რომ მომსახურების მიმწოდებლები კრიტიკულად უყურებენ ბენეფიციარების ამა თუ იმ მომსახურებაში განთავსების მიზნობრიობას, სვამენ შეკითხვებს, კამათობენ და ა.შ. საბჭოს არ სურს სერვისების მიმწოდებლების მოწვევით საქმე გაირთულოს, რადგან მათ გარეშე გადაწყვეტილებების მიღება უფრო იოლდება.

„7 წლის განმავლობაში, მე, როგორც სერვის-პროვაიდერმა, სტუმრად მისვლაც ვერ მოვახერხე საბჭოზე... ჩვენთვის არ იყო შესაძლებელი, რომ თუნდაც მაშინ, როდესაც განიხილავდნენ ჩვენს სერვისში ჩარიცხვის კანდიდატებს, ჩვენი აზრი გამოგვეთქვა და სწორი გადაწყვეტილებისთვის ხელი შეგვეწყო... ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ საბჭოს მუშაობას მთელი დღის განმავლობაში დავესწროთ (რათა არ შეილახოს კონფიდენციალობის საკითხი), ეს არც გვაინტერესებს, თუმცა როდესაც საქმე ჩვენ გვეხება, ჩვენი წარმომადგენლის საბჭოში მონაწილეობა აუცილებელია“ (სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი).

6. არ არსებობს გაწერილი პროცედურა, რომელიც სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას მისცემს შესაძლებლობას, რომ რეგიონული საბჭოს სხდომას დაესწროს იმ შემთხვევაში, როდესაც განსახილველ საკითხთა შორის ამ ორგანიზაციის სერვისის გამოყენებაც არის ჩართული. მომსახურების მიმწოდებელმა საბჭოზე დასწრების უფლება რეგიონული საბჭოს დირექტორთან სატელეფონო საუბრის საფუძველზე შეიძლება მოიპოვოს. ასეთი არაოფიციალური გზა კი ხშირად უშედეგოდ სრულდება (თავმჯდომარე ზარს არ პასუხობს, მიუწვდომელია, დაუსაბუთებელ უარს ეუბნება პროვაიდერს დასწრებაზე და ა.შ.).

„საბჭოზე ჩვენს დასწრებას არაფერი არ არეგულირებს; წერილით, ან რაღაც სხვა ფორმით ხომ უნდა იყოს შესაძლებელი, რომ მასზე დასწრება ოფიციალურად მოვითხოვო? როგორც მითხრეს, მსგავსი არაფერი არსებობს. მხოლოდ დარეკვით შეიძლება ამ საკითხის მოგვარება თავმჯდომარესთან... ბევრჯერ დავრეკე ერთხელ და ვერ დავუკავშირდი; შესაბამისად, ვერ დავესწარი სხდომას, რომელზეც ჩვენს მომსახურებაში ჩარიცხვის საკითხი განიხილებოდა“ (მცირე საოჯახო ტიპის სახლის წარმომადგენელი).

ამასთან დაკავშირებით, ითქვა ისიც, რომ ზოგიერთ რეგიონში სერვისების პროვაიდერებს აქვთ საბჭოზე დასწრების ვალდებულება და ეს გამყარებულია ხელშეკრულებით, რომელიც შესაბამის სანქციებსაც გულისხმობს.

„სერვის-პროვაიდერს, რომელიც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს არ ასრულებს და საბჭოს სხდომებს არ ესწრება, ეკისრება სანქცია, ფულადი ჯარიმაის სახით“ (სოციალური მომსახურების სააგენტოს მაღალი თანამდებობის პირი).

8.4. „ჩავარდნილ“ გადაწყვეტილებებზე რეგიონული საბჭოების დაბალი პასუხისმგებლობა

ექსპერტებმა მწვავედ დასვეს რეგიონული საბჭოების პასუხისმგებლობის საკითხი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება უშედეგო ან, კიდევ მეტი – საზიანოა.

„ძალიან ბევრ შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილებით, ბავშვები ხვდებოდნენ რეინტეგრაციაში, რომელშიც არანაირი გაძლიერების კომპონენტი არ იყო და ქეისები დირექტიულად იხურებოდა 6 თვის თავზე. ეს ბავშვები ისევ ძველ სისტემაში ბრუნდებოდნენ. ოღონდაც ამაზე აღარ საუბრობდნენ, არავინ აგებდა პასუხს მცდარი გადაწყვეტილების გამო“ (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი).

დისკურსანტების თქმით, საბჭოებს მსგავს შემთხვევებში არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება, არც დებულების მიხედვით და არც – რეალურად. შესაბამისად, ეს ხელს უწყობს ზედაპირულად, ჩაღრავების გარეშე გადაწყვეტილებების მიღებას. ექსპერტების რეკომენდაციაა, რომ საბჭოების პასუხისმგებლობის საკითხი გაიწეროს და „ჩავარდნილმა“ ქეისებმა გადაწყვეტილებების მიმღებებზე გარკვეული სადამსჯელო შედეგი გაითვალისწინოს.

მეორე მხრივ, ისიც ითქვა, რომ საბჭოების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება „ჩავარდნილ“ გადაწყვეტილებებზე ძალზე რთულია. ჯერ ერთი, არ არსებობს ამის იურიდიული მექანიზმი და მეორეც, საბჭოს ყოველთვის შეუძლია თავი იმართლოს („გამოძვრეს“) არგუმენტით, რომ მას „ასე ეგონა“. არ არსებობს 100%-იანი გარანტია, რომ საბჭოს მიღებული გადაწყვეტილებები გაამართლებს.

მიუხედავად ამისა, ჯგუფური დისკუსიის წევრებმა იმსჯელეს გარკვეულ მექანიზმებზე, რომლებიც მცდარი გადაწყვეტილებების მინიმიზაციას მოახდენს:

- მოხდეს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა; ანუ, სოციალურ მუშაკს მიეცეს შესაძლებლობა, რომ ქეისი ხელახლა გამოიტანოს განსახილველად იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება, რომელიც საბჭომ მიიღო, არასწორი აღმოჩნდა და არ მუშაობს.
- საბჭოში კვოტა (შესასაბამისად, გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების უფლება) გაეზარდოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს; სამოქალაქო სექტორი, რომელსაც „ბუნებრივად“ აქვს „მოთვალთვალე ძაღლის“ („watch dog“) ფუნქცია,იქნება მომთხოვნი და დაკვირვებული.

8.5. საქმიანობის მიზანთან შეუსაბამო აქტივობები; რეგიონული საბჭოები მოუმზადებელი ქეისების პირისპირ

ჯგუფურ დისკუსიებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ საბჭო ხშირად ვერ პასუხობს თავის მიზნებს, ვერ ასრულებს თავის მისიას, რადგან უწევს სოციალური მუშაკების საქმიანობაზე პროფესიული ზედამხედველობის, ანუ სუპერვიზიის განხორციელება, რაც, ფორმალურად, სოციალური მომსახურების სააგენტოს ფუნქციაა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დამტკიცებული აქვს „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების/უფროსი სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობისა და მათი საქმიანობის შეფასების განხორციელების წესი“, რომელიც უფლებამოსილია 2012 წლიდან.[6]

სოციალურ მუშაობაში პროფესიულ ზედამხედველობას 4 ძირითადი ფუნქცია აკისრია:

1. ადმინისტრაციული ფუნქცია უზრუნველყოფს სოციალური მუშაკების პრაქტიკის შესაბამისობას კანონმდებლობასთან, პოლიტიკასთან, ორგანიზაციულ პროცედურებსა და წესებთან, რაც ხელს უწყობს ეფექტური სამუშაო გარემოს შექმნას;
2. საგანმანათლებლო ფუნქცია გულისხმობს სოციალური მუშაკების განათლებისა და პროფესიული განვითარებისთვის ხელის შეწყობას,მათი ცოდნის გაღრმავებისა და უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით;
3. შემთხვევებზე ზედამხედველობა მიზნად ისახავს სოციალური მუშაკების მხარდაჭერასა და ზედამხედველობას შემთხვევებზე მუშაობის პროცესში;
4. პროფესიული/პიროვნული მხარდაჭერა მიზნად ისახავს სოციალური მუშაკების დახმარებას, თავიდან აიცილონ პროფესიული გადაწვა და სამუშაოსთან დაკავშირებული სტრესი, რათა უზრუნველყონ ხარისხიანი, ბენეფიციარზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდება.

წესით, საბჭომ გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს იმ კონკრეტულ ქეისებზე, რომლებიც ამომწურავად და საფუძვლიანად დამუშავებულია სოციალური მუშაკების მიერ, სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ. თუმცა, პრაქტიკაში ასე არ ხდება. ზემოაღნიშნული ოთხი ფუნქციიდან, სოციალური მომსახურების სააგენტოს განსაკუთრებით უჭირს იმ ფუნქციის შესრულება, რომელიც გულისხმობს სოციალური მუშაკების მხარდაჭერასა და ზედამხედველობას შემთხვევებზე მუშაობის პროცესში, ანუ შემთხვევების დონეზე სუპერვიზიას (თუმცა, ზოგჯერ სხვა მიმართულებითაც ახდენს სუპერვიზიას). უფროსი სოციალური მუშაკები სა-

6 იხ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბრძანება N04-515/ო 2012 წლის 31 აგვისტო.

თანადოდ ვერ ასრულებენ ამ ფუნქციას, რადგან, ჯერ ერთი, სოციალური მომსახურების სისტემას არ ჰყავს საკმარისი რაოდენობის ზემოაღნიშნული პერსონალი და, მეორეც, არსებულ შტატს სათანადო კვალიფიკაცია აკლია.

უფრო კონკრეტულად, როგორია შემთხვევებზე ზედამხედველობის (სუპერვიზიის) პრაქტიკული მექანიზმი? შემთხვევებზე მუშაობს სოციალური მუშაკი, ის არის შემთხვევის წარმმართველი. ამ უკანასკნელის მართვის პროცესი შედგება სხვადასხვა საფეხურისგან: შეფასება, სამოქმედო გეგმის შედგენა, ინტერვენციების განხორციელება, მონიტორინგი/გადახედვა და ა.შ.სუპერვაიზორი (ანუ, უფროსი სოცალური მუშაკი) შემთხვევის მართვის სხვადასხვა ეტაპზე აკონტროლებს სოციალურ მუშაკს, თუ როგორ შეასრულა სამუშაო; მაგ., შეფასების დონეზე გაარკვევს, რამდენად მოხდა ინფორმაციის აღება ყველა საჭირო/შესაძლო წყაროსგან, გაითვალისწინეს თუ არა ბავშვის აზრი და ა.შ. მეორე მხრივ, უფროსი სოციალურიმუშაკი ეხმარება სოციალურ მუშაკს ქეისის მართვის პროცესში, ანუ რჩევებს, მიმართულებებს აძლევს მას.

სუპერვიზიის სწორედ ეს პრაქტიკული მექანიზმია გაუმართავი, რაც იწვევს იმას, რომ უფროს სოციალურ მუშაკს ხშირად გამოაქვს მოუმზადებელი ქეისები და საბჭოს უხდება სოციალური მუშაკების სუპერვიზიის გაწევა, თუ რა უნდა გააკეთოს სოციალურმა მუშაკმა ამა თუ იმ შემთხვევის სრულყოფილად შესწავლისთვის. შესაბამისად, მომხდარა ისე, რომ საბჭოს მიუღია გადაწყვეტილებები სათანადოდ მოუმზადებელი ქეისებისათვის, იმ იმედით, რომ სოციალური მუშაკი კეთილისინდისიერი აღმოჩნდება და გაითვალისწინებს მის რეკომენდაციებს, რომლებიც მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისია.

„სანამ შემთხვევა გამოვა საბჭოზე, ის უნდა დაამუშაოს უფროსმა სოციალურმა მუშაკმა, რაც ხშირ შემთხვევაში არ სრულდება და ჩვენ, საბჭოს წევრებს, გვიწევს ამ ბაზისური კითხვების დასმა. ხშირ შემთხვევაში ამ კითხვებზე პასუხი არ აქვს სოციალურ მუშაკს და ჩვენ ვურჩევთ, მითითებას ვაძლევთ, რა როგორ უნდა გააკეთოს. ანუ ვუმტკიცებთ შემთხვევას, მაგრამ იგი პირობას დებს, რომ ჩვენს მიერ მიწოდებულ რჩევებს აუცილებლად გაითვალისწინებს, ეს კი უნდა გააკონტროლოს უფროსმა სოციალურმა მუშაკმა. თუმცა, ამ ბოლო წლებში პრაქტიკა შემოვიღეთ, რომლის მიხედვითაც ვითხოვთ: მორიგ საბჭოზე სოციალურმა მუშაკმა მოკლე ანგარიში ჩაგვაბაროს ასეთი საქმეების შესახებ და გვითხრას, რამდენად გაითვალისწინა ჩვენი რჩევები და რა შედეგები მიიღო. თუმცა, ქეისების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, ყველა მსგავს შემთხვევაზე თვალყურის მიდევნება მაინც გვიჭირს“ (თბილისის რეგიონული საბჭოს წევრი).

რეგიონული საბჭოების არასახელისუფლო წევრების თქმით, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იმდენად მოუმზადებელია ქეისი, გადაწყვეტილებას ვერ იღებენ და ბლოკავენ, ანუ არ ამტკიცებენ.

ეს ნიშნავს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო სათანადოდ ვერ ახორციელებს სოციალური მუშაკების სუპერვიზიისა და მონიტორინგის ფუნქციას. სოციალუ-

რიმუშაობის პრაქტიკა მთელ რიგ შემთხვევებში კვლავ ხორციელდება დაბალი ხარისხის პროფესიული სუპერვიზიის თანხლებით ან საერთოდ არ იქცევა სინამდვილედ.

> *„(სოციალური მომსახურების) სააგენტო არის კრიზისის ქვეშ. არ გვაქვს პროფესიული სუპერვიზია და ესაა პრობლემა. საბჭო არ არსებობს განყენებულად, „ჰაერში“, მისი მუშაობის ხარისხი რომ გაუმჯობესდეს, უპირველესად, იმისი ღირსება, თვისება უნდა გააუმჯობესო, ვის რეკომენდაციებსაც იხილავს საბჭო“ (თბილისის რეგიონული საბჭოს წევრი).*

შესაბამისად, რეგიონული საბჭოების მუშაობა ეფექტური ვერ იქნება, სანამ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დაქირავებული სოციალური მუშაკის რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები არ გაიზრდება.

რა არის ის მიზეზები, რომ საბჭოზე გამოდის სოციალური მუშაკების მიერ სათანადოდ მოუმზადებელი ქეისები? ფოკუს -ჯგუფების მონაწილეებმა რამდენიმე ფაქტორზე მიუთითეს:

- სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების არაპროფესიონალიზმი (სათანადო უნარ-ჩვევების ნაკლებობა ან არარსებობა);
- სოციალურ მუშაკთა კაბალური სამუშაო პირობები, რომლებიც გამოიხატება შემდეგში:
- ადამიანური რესურსების არასაკმარისობის გამო, სოციალურ მუშაკებს ევალებათ ძალიან ბევრ ქეისზე მუშაობა, რაც ცაიტნოტურ სიტუაციას ქმნის (ზოგჯერ, დროის სიმცირის გამო, სოციალური მუშაკი ვერ ახერხებს ოჯახთან პირისპირ ვიზიტსაც კი და ინფორმაციას სატელეფონო კონტაქტის მეშვეობითაგროვებს)
- სოციალურ მუშაკთა დაბალი სახელფასო ანაზღაურება.[7] ამას ემატება ისიც, რომ სოციალურმა მუშაკმა თავისი ხელფასიდან უნდა დახარჯოს კლიენტთან დაკონტაქტების სატრანსპორტო და სატელეფონო ხარჯები. ეს კი ქმნის იმ პარადოქსულ სიტუაციას, რომ „რაც უფრო კარგად მუშაობს სოციალური მუშაკი, მით უფრო ნაკლები ფული მიაქვს სახლში“. ეს ძალიან ამცირებს მის მოტივაციას, იმუშაოს ნაყოფიერად.
- აქ თავს იჩენს სოციალური მომსახურების სააგენტოდან კვალიფიციური სოციალური მუშაკების სხვა სამსახურებში „გადინების“ პრობლემა, ისევ და ისევ დაბალი ანაზღაურების გამო.

7. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის თვიური ანაზღაურება 600-400 ლარის ფარგლებში მერყეობს.

„სამწუხაროდ, საუკეთესოების რეკრუტირებას ვერ მოახდენ, რადგან ასეთი მიდის უკეთეს პირობებში; შესაბამისად, ნაკლები არჩევანი გვაქვს“ (სოციალური მომსახურების სააგენტოს მაღალი თანამდებობის პირი).

„ჩვენი სოციალური მუშაკი მუშაობს 25 მიმართულებით და რაც დრო გადის, გვემატება და გვემატება ეს მიმართულებები, მათ კი არც პირობები უუმჯობესდებათ და არც ხელფასები ეზრდებათ“ (სოცილური მომსახურების სააგენტოს თანამდებობის პირი).

„მოგეხსენებათ, მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების სააგენტო რამდენიმე სოფელს ემსახურება და ეს უკანასკნელნი საკმაო მანძილითაა დაშორებული... როდესაც ბავშვების მდგომარეობა ოჯახებში საჭიროებს შეფასებას და განსახორციელებელია როგორც გეგმიური, ისე არაგეგმიური ვიზიტები, აქ ძალიან მნიშვნელოვანია, ტრანსპორტირების საკითხი... სოციალურ მუშაკს თავისი ჯიბიდან უწევს, უხეშად რომ ვთქვათ, ამ თანხის გადადება, ეს არ არის მცირე ფინანსები, რომელთა დაფარვაც სოციალურ მუშაკს უჭირს. ეს კი ართულებს ვიზიტების განხორციელებას.“ (სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი).

„როდესაც სოციალურ მუშაკს ტრანსპოტირების თანხა თავად აქვს გასაღები, რაღაც საქმეების დაწყება ჭიანურდება, ან საერთოდ ვარდება... ხშირად მხოლოდ მაშინ დაწყებულა საქმის წარმოება აქტიურად, როცა ჩვენ გაგვიგზავნია მოთხოვნები და კორესპონდენციები სააგენტოში“ (სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი ბავშვზე ზრუნვის სფეროში).

8.6. „გეითქიფინგი“ – რეგიონული საბჭოების მუშაობის სუსტი წერტილი; საბჭოების მოუქნელობა

„გეითქიფინგი“ გულისხმობს 24 საათიან ზრუნვაში ბავშვების განთავსების/გამოსვლის კონტროლს. 24 საათიანი ზრუნვა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს: ა) მინდობით აღზრდა; ბ) მცირე საოჯახო ტიპის სახლი; გ) ბავშვთა სახლი.

„გეითქიფინგი“ უზრუნველყოფს ოჯახის დამხმარე მომსახურებებსა და დახმარებებზეხელმისაწვდომობას, და იცავს ბავშვს 24 საათიან ზრუნვის სისტემაში განთავსებისაგან.

„გეითქიფინგის“ სახელმძღვანელო პრინციპებია:

- ბავშვის ოჯახის კულტურული თავისებურებების პატივისცემა;
- ბავშვის ოჯახის გაძლიერებისათვის ყველა არსებული რესურსის გამოყენება იმისათვის, რომ ოჯახმა თავად შეძლოს ბავშვზე ზრუნვა;
- 24 საათიან ზრუნვაში ბავშვების განთავსების საფუძვლების (ბავშვი – ძალადობის მსხვერპლი, ან მიტოვებული მშობლების მიერ, ობოლი, მზრუნველი პირის გარეშე და სხვ.) მკაცრი დაცვა;
- 24 საათიან ზრუნვაში განთავსების გარდაუვალობის შემთხვევაში, ნათესაური მინდობითი აღზრდისთვის/მინდობითი აღზრდისთვის უპირატესობის მინიჭება;
- ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება ბავშვის, ოჯახისა და გარემოს შეფასების საფუძველზე;
- 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ჩვილ ბავშვთა სახლში ჩარიცხვის შეზღუდვა, მათთვის გადაუდებელი მინდობითი აღზრდის მომსახურების საშუალებით;
- ბავშვის აზრის გათვალისწინება, თუ ეს მის ასაკსა და განვითარების დონეს შეესაბამება (ბავშვის ასაკის მინიმალური ზღვარი – 10 წელი);
- 24 საათიან ზრუნვაში განთავსებული ბავშვების შემთხვევების გადახედვა, მაქსიმუმ, ექვს თვეში ერთხელ და მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა;
- სოციალური მუშაობის პროფესიული ზედამხედველობის განხორციელება ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის ხარისხიანი მომსახურების განსახორციელებლად.[8]

1. საბჭოს მთავარი ფუნქცია არის ე.წ. „გეითქიფინგი“ (‘Gatekeeping’).ეს გულისხმობს, რომ„გეითქიფინგის“ პრინციპების თანახმად, საბჭომ უნდა დაადასტუროს, რომ ბავშვის განცალკევება ოჯახისგან და გადაყვანა ჩამნაცვლებელ მომსახურებაში ერთადერთი გამოსავალია. ამ შემთხვევაში, ამოსავალი ბავშვის ინტერესები უნდა იყოს. ზოგ ქვეყნებში ამას სასამართლო აკეთებს. „გეითქიფინგის“ სახელმძღვანელო პრინციპები არ არის ასახული ბავშვთა კეთილდ-

8. „გეითქიფინგის“ სახელმძღვანელო პრინციპები დამტკიცდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 1 ნოემბრის ბრძანების (N04/68417) შესაბამისად.

ღეობის სფეროში არსებულ კანონმდებლობაში, რაც ამ პრინციპებს იურიდიულ ძალას შესძენდა და მათ გათვალისწინებას სავალდებულოს გახდიდა ნებისმიერი ინსტიტუტისთვის, მათ შორის, რეგიონული საბჭოებისთვის (ამ პრინციპებს მხოლოდ სახელმძღვანელო/სარეკომენდაციო „ძალა“ გააჩნია).

„ჯანდაცვის სამინისტროს gatekeeping-ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც ფუნდამენტურია, არ აქვს გაწერილი არცერთ კანონქვემდებარე აქტში. ეს პრინციპები UNICEF-ის დახმარებით შემუშავდა და ვერანაირი ფორმა ვერ მოვუძებნეთ იქ გაწერილ 10 პრინციპს, რომ რომელიმე კანონი გაგვემყრებინა. ბოლოს ის შევძელით, რომ (სოციალური მომსახურების) საგენტოს დეპარტამენტის უფროსს ისინი ცირკულარით დავამტკიცებინეთ. ყველაზე მთავარი პრინციპები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს საბჭოს მუშაობა, არ არის იურიდიულად (სამართლებრივად) სავალდებულო“ (თბილისის რეგიონული საბჭოს წევრი სამოქალაქო სექტორიდან).

2. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა (სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა) გამოთქვეს საყვედური, რომ რეგიონული საბჭოები მოქმედებენ ხისტად,სწორხაზოვნად მისდევენ გაწერილ ნორმებს. ამდენად, არ შეუძლიათ მოიქცნენ კონკრეტული სიტუაციების (შემთხვევების) სპეციფიკური თავისებურების გათვალისწინებით და მიიღონ შედარებით არაორდინალური (თუმცა, უკეთესი) გადაწყვეტილებები. ასეთი სიხისტის ნიმუშად შეიძლება გამოდგეს ბავშვ(ებ)ის 24 საათიან ზრუნვაში (კერძოდ, მინდობით აღზრდაში ან მცირე საოჯახო ტიპის სახლში) განთავსების ჩანაცვლების შეუძლებლობა რეინტეგრაციით (ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებით), იმ მექანიზმის გამოყენებით, რომ მინდობითი აღზრდისთვის გათვალისწინებული თანხის ნაწილი მოხმარდეს ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერებას.

დისკუსია

ფოკუს- ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ ასეთი მაგალითი მოიტანა რეგიონული საბჭოების მუშაობის პრაქტიკიდან: სამი ბავშვი (დედმამიშვილები), რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებით, მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსდნენ და თითოეულმათგანზეზრუნვისთვის, კანონის შესაბამისად, გამოიყო დღეში 15 ლარი, ანუ თვეში 450 ლარი, რამაც სამივე ბავშვზე ჯამში 1350 ლარი შეადგინა. ბავშვებს ჰყავდათ მამა, რომლის მოტივაცია იყო შვილები ბიოლოგიურ ოჯახში დაებრუნებინა, თუმცა მისი ეკონომიკური მდგომარეობა ბავშვებზე მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი ზრუნვის საშუალებას არ იძლეოდა. რეგიონულ საბჭოს შეეძლო მიეღო, ბიოლოგიური ოჯახის ეკონომიკური გაძლიერებისთვის, მისი ერთჯერადი ფინანსური დახმარების გადაწყვეტილება, რაც შემდეგ შესძლებელს გახდიდა რეინტეგრაციას. ეს, საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფოსაც დაუზოგავდა თანხებს და „გეითგიფინგის“ პრინციპებსაც დაიცავდა.

8.7. საბჭოს მუშაობის არაეფექტური რეჟიმი

საბჭოზე განსახილველი მასალების ფორმატი

ფოკუს ჯგუფების ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ საბჭოზე განსახილველი ქეისების აღწერის ფორმატი მოუხერხებელია, ინფორმაცია არ არის შედგენილი კომპაქტურად; პირიქით, აღწერაში ბევრია უსარგებლო დეტალი, გამეორებები, საკითხის არსთან დაუკავშირებელი ამბები და სხვა. ყველაფერი ეს ქეისის აღწერას გრძელ ნარატივად აქცევს, რომლის გაცნობა დიდ დროს მოითხოვს. ამდენად, საბჭოს წევრს უჭირს, რომ სხდომამდე დარჩენილ რამდენიმე დღეში გადაგზავნილ მასალებს ამომწურავად გაეცნოს (გამოითქვა რეკომენდაცია, რომ საბჭოს წევრებისთვის უნდა შეიქმნას ქეისების აღწერის ცალკე ფორმატი, რომელიც გასაცნობად მოსახერხებელი იქნება).

მასალების გადაგზავნის რეჟიმი

„მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპიური დებულების“ მიხედვით, საბჭოს წევრებს მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე ეგზავნებათ მასალები,რომლებშიც განსახილველი ქეისებია აღწერილი; დასაშვებია, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მასალების არაუგვიანეს ერთი დღით ადრე გადაგზავნაც საბჭოს შეკრებამდე.[9] ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა აზრით, თბილისის რეგიონული საბჭოსთვის ეს რეჟიმი სირთულეებს ქმნის,უპირველესად, განსახილველი ქეისების რაოდენობის თვალსაზრისით: მასალები მოიცავს ათეულობით, ზოგჯერ ასეულობით შემთხვევას, რომელთა არათუ საფუძვლიანად, არამედ ზედაპირულად გაცნობაც კი ამ დროში პრაქტიკულად შეუძლებელია. მით უფრო, რომ ხშირად ბევრი მასალა სხდომამდე ერთი დღით ადრე იგზავნება და ამის ლეგიტიმაციას თავად დებულება იძლევა.

> *„წარმოუდგენელია, რამხელა პროფესიონალიც არ უნდა იყოს, არათუ ერთი, არამედ რამდენიმე დღის განმავლობაში, თუნდაც ორი ათეული ქეისის სრულყოფილი გაცნობა მოასწროს ვინმემ სხდომამდე“ (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი).*

საბჭოს შეკრების რეჟიმი

დებულების მიხედვით, საბჭო იკრიბება, არანაკლებ, თვეში ერთხელ. საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია რიგგარეშე სხდომის მოწვევა შემხვედრი

---

9. იხ. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპიურ იდებუბ ლება, მუხლი 7, პარაგრაფი 7: „საბჭოსწევრებსსხდომისდაწყებამდემინიმუმ 5 (ხუთი) სამუშაოდღითადრეეგზავნებათ (ეცნობებათ) სხდომისდაწყებისდროდაადგილი, დღი სწესრიგი,განსახილველშემთხვევათააღწერილობადასაჭიროებისშემთხვევაშიშესაბამ ისიდოკუმენტაცია. აუცილებლობის შემთხვევაში, დასაშვებია, საბჭოს წევრებისათვის დამატებით საქმის მასალების გადაგზავნა, სხდომამდე არაუგვიანეს ერთი დღისა“.

საჭიროებიდან გამომდინარე.[10]დებულებაში არაფერი წერია იმის შესახებ, თუ რამდენი ხნის (საათის, დღის) განმავლობაში შეუძლია საბჭოს იმუშაოს. საბჭოების მუშაობის პრაქტიკა აჩვენებს, რომ ისინი, როგორც წესი, იკრიბება თვეში ერთხელ და ერთი სამუშაო დღით. ასეთი რეჟიმი კი არასაკმარისია იმისთვის, რომ შემთხვევები გულდასმითა და კვალიფიციური მიდგომით განიხილოს. ამის გამო, გადაწყვეტილებები ხშირად მიიღება ფორსირებულ რეჟიმში.

8.8. პრიორიტეტების არასწორი განაწილება

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რეგიონული საბჭოები არ ახდენს განსახილველი თემების/პრობლემების პრიორიტეტიზაციას, არ მიჯნავს ერთმანეთისგან მნიშვნელოვან და ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებს. გამოიკვეთა მოსაზრება, რომ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს 24 საათიან ზრუნვაში ჩარიცხვას ან ამორიცხვას (24 საათიანი სერვისები) და ოჯახში ძალადობას. ხდება ისეც, რომ საბჭოზე განსახილველად გადის ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა, არსებული რეგულაციების მიხედვით, შესაძლებელია მოხდეს ფორსირებულად. ასეთად უნდა მივიჩნიოთ, მაგალითად, კვების ვაუჩერის შეწყვეტა 18 თვის ასაკში ან შშმ პირის (ბავშვის) ჩარიცხვა დღის ცენტრში. ეს საკითხები კანონმდებლობით უკვე დადგენილია და მათ გამოტანას საბჭოზე არავითარი აზრი არ აქვს. შესაბამისად, კენჭისყრა უნდა გაიმართოს ისეთ საკითხებზე,რომლებიც კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება.

> *„კვებითი ვაუჩერი წელიწად ნახევრის შემდეგ, როდესაც ბავშვი ხდება 18 თვის, წყდება, ასეთია საკანონმდებლო რეგულაცია. (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების) დებულებაშიც, სხვათაშორის მიწერია, რომ მე აუცილებლად კენჭი უნდა ვუყარო ამ საკითხს. ვთქვათ, ვუყარეთ კენჭი და ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ ბავშვი, მართალია, გახდა 18 თვის, მაგარამ მაინც გვინდა, რომ გავაგრძელოთ მისთვის კვებითი ვაუჩერის მიცემა. რას ვიღებთ? ვერც ვერაფერს“ (ერთ-ერთი რეგიონის საბჭოს წევრი).*

კიდევ ერთი სისტემური პრობლემა: მულტიდისციპლინური და მულტიუწყებრივი მიდგომა გამოიყენება მაშინ, როდესაც საქმე კრიზისულია. ანუ, ასეთ მიდგომას აქვს **რეაქციული და არა პრევენციული დატვირთვა**. პრევენციის დონეზე ასეთი მიდგომა საერთოდ არ არსებობს მოწყვლად ჯგუფებზე ზრუნვის სისტემაში. ასევე, მულტიდისციპლინური მუშაობა ქეისის მომზადების დროს უნდა მიმდინარეობდეს, რათა ეს ქეისები პროფესიულად დამუშავდეს და წარედგინოს საბჭოს.

---

10. იხ. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპიური დებულება, მუხლი 7, პარაგრაფი 5.

8.9. გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების რისკი

1. დღეისათვის, რეგიონული საბჭოს თავმდომარეებს (რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები არიან) დელეგირებული აქვთ ის ფუნქცია, რომ გარკვეულ ქეისებთან დაკავშირებით, რომელთა გატანაც საბჭოზე ვერ ესწრება (რადგან საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ), გადაწყვეტილება მიიღონ **ერთპიროვნულად.** ასეთი გადაწყვეტილებები კი, თავის მხრივ, გაზრდილ რისკს შეიცავს, რომ არასწორი აღმოჩნდეს. ამ პრობლემას ნაკლებად შველის ერთპიროვნული გადაწყვეტილების გამოტანა საბჭოზე, რადგან ამას უფრო გაცნობითი ხასიათი აქვს და არა გადაწყვეტილებაში ჩარევისა (ინტერვენციის). უფრო ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს საბჭოების მუშაობის რეჟიმის გახშირება.

2. ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკის გამოხატულებად ჩაითვალა ისიც, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ოქმს ხელს მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარე აწერს. ფოკუს ჯგუფის ზოგიერთი მონაწილის აზრით, ეს ამცირებს მიღებულ გადაწყვეტილებებზე კოლექტიური პასუხისმგებლობის მომენტს და, შესაბამისად -უფლება-მოვალეობების გადანაწილებას.

> *„საბჭოს თავმჯდომარესთვის არაერთხელ მითქვამს -მარტო შენ რატომ უნდა აწერდე ხელს ოქმს? ყველა მოვაწერთ ხელს, იმიტომ,რომ მერე, ვთქვათ, პროვაიდერი თუ გააპროტესტებს საბჭოს მიერ მიღებულ რომელიმე გადაწყვეტილებას, პასუხისმგებლობა გადანაწილდება ყველა ჩვენგანზე. იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც იცი, რომ შენი ხელმოწერა აქვს და პასუხს აგებ, შეხედავ უფრო ფრთხილად და აღარ დაეთანხმები ასე ადვილად საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას, შენი იქ ყოფნის გამართლებაც მხოლოდ კვორუმის შევსება არ იქნება“ (თბილისის რეგიონული საბჭოს წევრი სამოქალაქო სექტორიდან).*

3. გამოითქვა მოსაზრება, რომ რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე თავად არ არის თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებისას და სოციალური მომსახურების სააგენტოს თავმჯდომარის მითითებებს ასრულებს. შესაბამისად, ერთპიროვნული გადაწყვეტილებების წყარო სახელმწიფო ორგანიზაციული იერარქიის ავტორიტარული სისტემაა.

„საბჭოს თავმჯდომარე პირადად მეუბნება – მე რა ვქნა, სააგენტოს ხელმძღვანელმა ასე მითხრა და მე ეს უნდა გავაკეთო. მესმის, მისთვის საბჭოს თავმჯდომარეობა მისი სამუშაო ადგილის ნაწილია; ამიტომ ის ასრულებს დირექტივებს, რათა არ დაკარგოს ის სამუშაო ადგილი, რომელიც სააგენტოში აქვს. ძალიან მჭიდრო „ლინკია“ საბჭოს თავმჯდომარესა და სააგენტოს უფროსს შორის. ამიტომ, თავმჯდომარე არ უნდა იყოს სააგენტოს წარმომადგენელი“ (სერვისის პროვაიდერი ორგანიზაციის ხელმძღვანელი).

4. აღინიშნა ისიც, რომ რეგიონებშიზოგიერთი საბჭოს თავმჯდომარეებს, რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონული სამსახურის უფროსები არიან, ხშირად არც აქვთ იმის პოლიტიკური ნება, რომ დისკუსიისა და აქტიური განხილვის პროვოცირება მოახდინონ. მათ სურთ, რომ თითქმის ავტომატურ რეჟიმში გაიტანონ საკუთარი პოზიცია.

„ჩვენთანაც რეგიონში არის ტენდენცია, რომ თუ არ იქნები აქტიური და დისკუსიაში არ ჩაერთვები, უკეთესია სააგენტოსთვის... ალბათ, მე რომ არ მივდივარ, აქვთ ზეიმი და ძალიან უხარიათ, რადგან ძალიან სწრაფად ჩაივლიან ყველა საკითხს და ისეთ გადაწყვეტილებებს მიიღებენ, როგორებიც თავად უნდათ“ (საბჭოს წევრი არასამთავრობო სექტორიდან ერთ-ერთ რეგიონში).

5. ფოკუს ჯგუფის ზოგიერთი მონაწილე შეეცადა რეგიონული საბჭოების თავმჯდომარეების ერთპიროვნული გადაწყვეტილების უფლების რევიზიას, არა ამ უფლების ჩამორთმევის, არამედ მისი შეზღუდვის გზით; კერძოდ, ამ უფლების გამოყენება თავმჯდომარეს უნდა შეეძლოს, ვთქვათ, ისეთ შედარებით „მსუბუქ“ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა დღის ცენტრების მომსახურების ვაუჩერის გაცემა და სხვ. თუმცა, საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილება არ უნდა გავრცელდეს 24 საათიან მომსახურებაში ჩარიცხვაზე (ზოგადად, მინდობით აღზრდაზე) და სხვ.

რეგიონული საბჭოების ოქმებში განხილული შემთხვევების თვისებრივი ანალიზი

ანგარიშის ავტორი: ნელი აკობია
იურიდიული ექსპერტი: გიორგი მშვენიერაძე

კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევა ტარდება ა(ა)იპ ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირისა და სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ და მისი მიზანია, თვისებრივად შეისწავლოს 3 რეგიონული საბჭოს შერჩეული თვეების სხდომების ოქმებში მოცემული შემთხვევები და მათზე საბჭოს მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პრაქტიკა. აღნიშნული სამი რეგიონია: თბილისი, იმერეთი და კახეთი.

კვლევის ძირითადი შედეგები

1. ოქმების ტიპები და ძირითადი რაოდენობრივი მონაცემები

კვლევის ფარგლებში ორი ტიპის ოქმი შევისწავლეთ: მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს (შემდგომ, რეგიონული საბჭო) ყოველთვიური გეგმიური შეხვედრებისა და საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ამსახველი ოქმები. კერძოდ:

- **იმერეთის ოქმები** მოიცავდა გეგმიური შეხვედრის 3 (20.02.2015, 23.03.2015, 27.04.2015) და საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ამსახველ 9 ოქმს. განხილულ შემთხვევათა[11] ჯამური რაოდენობაა 243, გეგმიური შეხვედრების ოქმებში -193 (თებერვალი, 2015 – 58, მარტი, 2015 – 66 და აპრილი, 2015 – 69) და ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ამსახველ ოქმებში – 50.
- **კახეთის ოქმები** მოიცავდა გეგმიური შეხვედრის 3 (23.02.2015, 19.03.2015, 21.04.2015) და საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ამსახველ 13 ოქმს. შემთხვევათა ჯამური რაოდენობაა 161, გეგმიური შეხვედრების ოქმებში -127 (თებერვალი, 2015 – 37, მარტი, 2015 – 57 და აპრილი, 2015 – 33) და ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ამსახველ ოქმებში – 34.
- **თბილისის ოქმები** (მათი განსაკუთრებული სიდიდის გამო) მოიცავდა მხოლოდ ორი თვის (20-24.03.2014, 18-19.11.2014) გეგმიური შეხვედრების ამსახველ ოქმებს. შემთხვევათა რაოდენობა: მარტში – 1413[12], ნოემბერში – 168, ჯამში 1581 შემთხვევა.

ყველა საბჭოს და განსაკუთრებით, თბილისის საბჭოს შემთხვევაში **განსახილველ შემთხვევათა რიცხვი ძალიან დიდია**. განსახილველი შემთხვევების რაოდენობის სიდიდე, სავარაუდოდ, დიდწილად იმოქმედებს რეგიონული საბჭოების გადაწყვეტილებათა ხარისხზე, რადგან შემთხვევის შესახებ მსჯელობისთვის დრო სხდომებზე საკმარისი არ იქნება.

---

11. დათვლილია მომსახურების მომხმარებელი ბავშვების ან პირების რაოდენობის მიხედვით.
12. მარტის თვეში ოქმით მიღებული გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი ისეთ შემთხვევებზე მოდის, რომელთა შესახებ ოქმში სოციალური მუშაკის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი ინფორმაცია დაფიქსირებული არ არის (ასეთია, ჯამში, 1102 შემთხვევა, რომლებიც ეხება კვების ვაუჩერის, დღის ცენტრისა და ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ვაუჩერების გაცემას). შესაბამისად, ფაქტობრივი მონაცემები ოქმში მოცემულია 311 შემთხვევაზე. სავარაუდოდ, სწორედ ეს შემთხვევები განიხილა საბჭომ. ზემოაღნიშნულ 1102 შემთხვევაზე მიღებული გადაწყვეტილებები ეფუძნება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს N21650/04 და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს N21225/01 წერილებს.

ოქმებში **განხილული შემთხვევები შემდეგ ტიპებს განეკუთვნება:** 24-საათიან ზრუნვაში განთავსების პრევენცია (კვების ვაუჩერი, სხვადასხვა ტიპის დღის ცენტრი, ადრეული განვითარების ქვეპროგრამა), ძალადობისა და უგულებელყოფის პრევენცია, რეინტეგრაცია 24-საათიანი ზრუნვიდან, 24-საათიან ზრუნვაში ბავშვთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა განთავსება, დედათა და ბავშვთა თავშესაფრის მომსახურების მიწოდება და სამეურვეო პირის ქონებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

შესწავლილ **შემთხვევათა უმრავლესობაში საბჭო ამტკიცებს სოციალური მუშაკის მიერ გაწეულ რეკომენდაციას, შემთხვევათა ძალიან მცირე ნაწილში (ჯამში 52 შემთხვევა, ანუ სულ ოქმებში განხილულ შემთხვევათა 3%) კი სოციალური მუშაკის მიერ გაწეული რეკომენდაცია არ მტკიცდება.** დამატებით შესწავლას საბჭო ითხოვს შემდეგი ტიპის შემთხვევებზე: სამეურვეო პირის ქონების გასხვისება და ხანდაზმულ პირთა თავშესაფარში ჩარიცხვა. საბჭო არ აკმაყოფილებს სოციალური მუშაკის რეკომენდაციას შემდეგი ტიპის შემთხვევებზე: რეინტეგრაციის დახმარების დანიშვნა, არასამთავრობო ორგანიზაციის მომსახურების მიწოდება, მინდობით აღზრდის დახურვა, მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დღის ცენტრის მომსახურების მიწოდება და კვების ვაუჩერის დანიშვნა. სამეურვეო პირის ქონების გასხვისების მხოლოდ ერთ შემთხვევაში საბჭო არ იღებს გადაწყვეტილებას შემთხვევაზე, რადგან ეს მისი კომპეტენციის ფარგლებში არ შედის (საუბარია სამეურვეო პირის საკუთრებაში არსებულ ბინაში ფასადის ცვლილებაზე). საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებებით სოციალური მუშაკების უკლებლივ ყველა რეკომენდაცია კმაყოფილდება.

ოქმებში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, **შემთხვევათა 82% ბავშვებს ეხება** (42% 6 წლამდე, 40% კი 7-დან 18 წლამდე). **ზრდასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შემთხვევათა 18%-ში ხდება** (აქედან, ახალგაზრდებს (19-25 წელი) შემთხვევათა მხოლოდ 4% ეხება, 26-დან 60 წლამდე პირებს – 9%, 61-დან ზევით კი – 5%). რეინტეგრაციისა და 24-საათიან ზრუნვაში მოხვედრის, ძალადობისა და უგულებელყოფის პრევენციის შემთხვევები (გარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრის მომსახურების მიწოდების შემთხვევებისა) ყველა რეგიონში მხოლოდ ბავშვებს ეხება. ეს, სავარაუდოდ, დიდწილადაა განპირობებული იმ გარემოებით, რომ ზრდასრული პირის რეინტეგრაციის შემთხვევაში ანაზღაურება არ წესდება და არც შესაბამისი პროცედურებია კანონმდებლობით გაწერილი, არსებობს ისეთი სირთულეები, როგორებიცაა პრევენციული რესურსების სიმწირე, სოციალური მუშაკების დიდისამუშაო დატვირთვა, განსაკუთრებით, დიდია ბავშვზე ზრუნვის შემთხვევების რაოდენობა და ა.შ.

განხილული შემთხვევებიდან 609-ში (შემთხვევათა 31%) მომსახურების მიმღებებს[13] შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ. ამას ემატება ადრეული განვი-

13. დღესდღეობით, სისტემა იცნობს ტერმინს „მომსახურების მიმღები“, თუმცა ჩვენი რეკომენდაციაა, ეს ტერმინი შეიცვალოს ტერმინით „მომსახურების მომხმარებელი“, რომელიც უფრო აქტიურ როლს ანიჭებს ადამიანებს, რომლებიც სარგებლობენ ამა თუ იმ მომსახურებით.

თარების ქვეპროგრამის 199 შემთხვევა, რომლებშიც არ არის დაფიქსირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი, თუმცა ამ უკანასკნელთ განვითარების შეფერხება აქვთ, ზოგ შემთხვევაში, მკვეთრად გამოხატული ფორმით. ზემოაღნიშნული 609 შემთხვევა, ძირითადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილ მომსახურებაზე მოდის (სპეციალიზებული დღის ცენტრები, 24-საათიანი ზრუნვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულ პირებზე).

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა, რამდენად აქტიური იყო **საბჭოს წევრების დასწრება გეგმიურ სხდომებზე**. გამოიკვეთა, რომ რეგიონებში არასამთავრობო ორგანიზაციები, სამთავრობო უწყებებთან შედარებით, ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. კახეთში სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უფრო ნაკლებად ესწრებიან შეხვედრებს, იმერეთსა და თბილისში კი – არასამთავრობო ორგანიზაციებისა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს დასკვნა მხოლოდ 3 თვის მონაცემებს ეყრდნობა.

2. ოქმების ფორმატის ზოგადი მიმოხილვა

თბილისისა და კახეთის საბჭოების გეგმიური შეხვედრების და ასევე, იმერეთისა და კახეთის საბჭოების თავმჯდომარეთა მიერ მიღებული ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ამსახველ **ოქმებში მოცემულ შემთხვევებთან მიმართებით წარმოდგენილია ძირითადი ფაქტობრივი დეტალები,** რომელთაც საბჭოს გადაწყვეტილება ეფუძნება. თუმცა რიგ შემთხვევებში გამოტოვებულია ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, 24-საათიან ზრუნვაში მყოფი ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის მდგომარეობა, ძალადობის შემთხვევაზე საჭირო უწყებების ჩართვის შესახებ ინფორმაცია, 24-საათიან ზრუნვაში მყოფი ბავშვების შემთხვევაში სისტემაში ჩართვის თავდაპირველი მიზეზები (განსაკუთრებით, თუ მშობელს შეზღუდული შესაძლებლობა აქვს, რამდენად იყო მხოლოდ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის მიზეზი და რა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად). იმერეთის რეგიონული საბჭოს გეგმიური სხდომების ოქმებში კი ყველა შემთხვევაზე, გარდა რამდენიმესი, ინფორმაცია ძალიან მწირია და მოიცავს მხოლოდ დემოგრაფიულ მონაცემებს. დამატებით, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ იმერეთის რეგიონული საბჭოს სამიდან ორი გეგმიური სხდომისა და ამავე რეგიონის საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ამსახველ ოქმებშია მითითებული ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა გადაწყვეტილებები.

საბჭოზე განსახილველი შემთხვევების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, შეხვედრების **ოქმების მოცულობაც ძალიან დიდია** (თბილისში რამდენიმე ასეულ გვერდს აღწევს). ოქმების მოცულობას დამატებით ზრდის ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე ოჯახიდან ბავშვების შემთხვევების განხილვისას ოჯახის შესახებ ინფორმაცია ყველა მათგანთან იდენტურად მეორდება მაშინ, როცა თავად ბავშვებთან დაკავშირებით ხშირად მეტი ინდივიდუალური ინფორმაციის დაფიქსირება იქნებოდა სასურველი.

ყველა ოქმში შემთხვევათა ძალიან მცირე ნაწილშია მოცემული **რეგიონული საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია შემთხვევის მართვასა და საჭირო რესურსებთან გადამისამართებასთან დაკავშირებით**, რაც რეგიონული საბჭოს დებულების მიხედვით ამ რგოლის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს. აღნიშნულ რეკომენდაციებთანაა დაკავშირებული შემთხვევაზე ინდივიდუალური განვითარების გეგმის განხილვაც, რაც, ზემოაღნიშნულის მსგავსად, ძალიან იშვიათად ხდება მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური განვითარების გეგმის დამტკიცება რეგიონული საბჭოს ვალდებულებას წარმოადგენს სოციალური მომსახურების სააგენტოში გამოსაყენებელი სპეციალური ფორმების შესახებ ინსტრუქციების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ რეგიონული საბჭოს წევრების მსჯელობა მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ჩანს და ცალკეული წევრების მოსაზრებებიც ამ შემთხვევებშია დაფიქსირებული. თუმცა, ამავდროულად, აღსანიშნავია კვლევის შეზღუდვაც იმ კუთხით, რომ მსჯელობა მხოლოდ ოქმებზე და არა საბჭოს შეხვედრებზე უშუალოდ დაკვირვების საფუძველზე გვიწევს. აღნიშნული შეზღუდვის არსებობის პირობებში, უცნობია, რამდენად შეიძლება ასახავდეს საბჭოს ოქმებში დაფიქსირებულ შემთხვევებში აღნიშნული ინფორმაციის სიმწირე (საბჭოს წევრების მსჯელობასა და სოციალური მუშაკის მიერ შემთხვევაზე წარმოდგენილ საკვანძო ინფორმაციასთან მიმართებით) საბჭოს სხდომაზე მიმდინარე გადაწყვეტილების შემუშავების პროცესს თუ საბჭოს ოქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარვეზს.

3. საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებები

ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ამსახველი ოქმები მხოლოდ კახეთიდან და იმერეთიდან შევისწავლეთ. ასეთი გადაწყვეტილებები ყველა ტიპის შემთხვევებს ეხება, გარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრის მომსახურებისა, ბავშვთა კრიზისული ცენტრისა და 24-საათიანი ზრუნვის სისტემაში მყოფ ბავშვთა გამყვან და მნახველ პირად დარეგისტრირებისა. აღსანიშნავია, რომ ბავშვების 24-საათიან ზრუნვაში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებათა უმეტესობის მიღება ერთპიროვნულად ხდება.

მხოლოდ თბილისის რეგიონული საბჭოს ერთ ოქმშია აღნიშნული, რომ საბჭოს თავმჯდომარემ გააცნო წევრებს საბჭოს სხდომამდე ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილებები. ამ ვალდებულების აღსრულების შემთხვევაშიც, ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროს მეტია იმის რისკი, რომ ის საზიანო ან არასწორი აღმოჩნდეს. ასევე, ოქმებში შემთხვევათა გარკვეულ ნაწილზე საბჭომ გეგმიურ სხდომაზე საქმის დამატებითი შესწავლა მოითხოვა, შესწავლილ შემთხვევაზე საბოლოო გადაწყვეტილება კი საბჭოს თავმჯდომარემ ერთპიროვნულად მიიღო. საუკეთესო გამოსავალი ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მინიმუმამდე დაყვანა და საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს რიგგარეშე სხდომების მოწვევა იქნება. თუმცა როცა ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება გარდაუვალია, განსაკუთრებით, ფორსმაჟორულ სიტუაციაში და ისეთ სენსიტიურ შემთხვევებში, როგორებიცაა, მაგალითად, 24-საათიან ზრუნვაში განთავსება, რეინტეგრაცია ან ძალადობა, მნიშვნელოვანია, რეგიონულ საბჭოს გეგმიურ სხდომაზე საშუალება ჰქონდეს, არა მარტო გაეცნოს შემთხვე-

ვას, არამედ, მკვეთრად გამოხატული საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილება.

4. ოქმებში განხილული შემთხვევების ანალიზი ტიპების მიხედვით

4.1. რეინტეგრაცია

რეინტეგრაციის შემთხვევები თითქმის ყველა რეგიონული საბჭოს გეგმიური სხდომების ოქმებშია განხილული. ყველა ოქმში ერთად რეინტეგრაციის 78 შემთხვევაა დაფიქსირებული (სულ განხილული შემთხვევების 4%). რეინტეგრაციის ახალი შემთხვევები ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი (სულ 8), ყველაზე მეტი მიმდინარე შემთხვევაა დაფიქსირებული (61), რეინტეგრაციის დახურვა კი 7 შემთხვევაში ხდება.

რეინტეგრაციასთან მიმართებით პოზიტიურადაა შესაფასებელი შემდეგი ფაქტები:

1. თბილისსა და იმერეთში რეინტეგრაციის შემთხვევაში ინდივიდუალური განვითარების გეგმის გადასინჯვა 6 თვეში ერთხელ ხდება (სოციალური მომსახურების სააგენტოში გამოსაყენებელი სპეციალური ფორმების შესახებ ინსტრუქციების მიხედვით), თუმცა რეინტეგრაციის ხელშეკრულებები 3 წლით ან ბავშვის სრულწლოვანებამდეა დადებული. კახეთში შემთხვევების გადასინჯვა, უმეტესწილად, 1 წლამდე პერიოდით ან სრულწლოვანებამდე ხდება, თუმცა 1 წლით გადასინჯვის შემთხვევებში არ ჩანს, ინდივიდუალური განვითარების გეგმის გადასინჯვის ვადა ხელშეკრულების ვადას ემთხვევა თუ განსხვავებულია. არსებული კანონმდებლობით, რეინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულება 3 წლის ვადით ან არასრულწლოვანების მიღწევამდე უნდა დაიდოს.
2. რეგიონული საბჭოები (განსაკუთრებით, თბილისის) რიგ შემთხვევებზე გასცემენ რეკომენდაციებს მუშაობის კონკრეტული მიმართულებების მითითებისა თუ ამა თუ იმ მომსახურებასთან გადამისამართების გზით, განსაკუთრებით, შემდეგ ასპექტებზე: რეინტეგრაციის სტაბილურობასთან დაკავშირებული რისკები; ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებები; ფსიქოლოგის კონსულტაცია; ბავშვის ქცევის მართვის მიზნით სხვა უწყებებთან გადამისამართება. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეინტეგრაციის რამდენიმე ახალ შემთხვევაში ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების გამოყენებაც ხდება (დღის ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერა).
3. რეინტეგრაციის შემთხვევათა უმეტესობა იხურება ბავშვების სრულწლოვანების მიღწევისას ან მშობლის განცხადების საფუძველზე (მაგალითად, ბავშვი საზღვარგარეთ მიდის სამკურნალოდ).
4. დახურვის გარდა, თბილისსა და იმერეთში იყენებენ რეინტეგრაციის შეჩერების მექანიზმს, რომელიც კანონმდებლობითაა გაწერილი (მაგალითად, მშობელი გარდაიცვალა და მზრუნველია მოსაძიებელი, რომელთანაც უნდა დაიდოს რეინტეგრაციის ხელშეკრულება). რეინტეგრაციის შემთხვევათა შეჩერებისა და

არა დახურვის პრაქტიკის გამოყენება უდავოდ მისასალმებელია, რადგან გარკვეული პერიოდის შემდეგ შესაძლებელი ხდება ფულადი დახმარების აღდგენა.

სირთულეები შემდეგ ასპექტებთან დაკავშირებით ვლინდება:

1. შემთხვევათა დიდ ნაწილში ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებისთვის დამატებითი რესურსებისა და მხარდაჭერის მობილიზება იქნებოდა სასურველი სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო მომსახურებასთან უფრო ეფექტური თანამშრომლობის გზით. აღნიშნული, განსაკუთრებით, შემდეგ ასპექტებს ეხება: ბავშვის ჯანმრთელობის პრობლემები (მაგალითად, მედიკამენტების საჭიროება, რომლებიც არ იფარება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით); საცხოვრისის მომსახურება; მშობლების დასაქმება; მშობლობის უნარების განვითარება; ბავშვზე ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების უფრო ეფექტური მექანიზმების გამოყენება მისივე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ალიმენტის დაკისრება მშობლისთვის, რომელიც არ არის ჩართული ბავშვის აღზრდაში; ოჯახის სხვა წევრებთან, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულებთან მუშაობა; დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ბავშვების მომზადება, განსაკუთრებით, უფროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევებში; ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს ახალი წევრი ემატება.
2. ოქმებში განხილულ ერთ შემთხვევაში რეინტეგრაცია იხურება, რადგან ბავშვი სახელმწიფო ზრუნვაში ბრუნდება, კერძოდ კი, კრიზისულ ცენტრში გადადის გართულებული ქცევის, თვითმკვლელობით დამუქრებისა და ოჯახის წევრებთან კონფლიქტის გამო. ეს რამდენიმდე წლის განმავლობაში მიმდინარე შემთხვევა იყო, რომელშიც ბევრი რესურსი იქნა ჩადებული ოჯახის მხარდაჭერის საქმეში. ამ ეტაპზე, რადგან სიტუაცია ძალიან დაიძაბა, ბავშვის გამოყვანა, სავარაუდოდ, გარდაუვალი იყო. თუმცა მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა კეთდებოდა ამ გამწვავების თავიდან ასაცილებლად. ოქმში არ არის ინფორმაცია ფსიქოლოგის და/ან ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტის/მომსახურების ჩართვის თაობაზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს რეგიონის შემთხვევაა და აღნიშნული რესურსების არსებობა კიდევ უფრო მეტად ბადებს კითხვებს. ასევე, მნიშვნელოვანია იმაზე დაფიქრება, თუ რამდენად შეესაბამება კრიზისული ცენტრი ამ ბავშვის საჭიროებებს. რადგან მინდობით აღზრდა სახელმწიფო ზრუნვის ფორმებს შორის ყველაზე პრიორიტეტულია, სპეციალიზებული მინდობით აღზრდის განვითარების საჭიროება მწვავედ იკვეთება.

4.2. 24-საათიან ზრუნვაში განთავსების, ძალადობისა და უგულებელყოფის პრევენცია

24-საათიან ზრუნვაში განთავსების, ძალადობისა და უგულებელყოფის პრევენციის მიზნით საბჭოზე გამოტანილი შემთხვევები შემდეგი ტიპისაა: ძალადობისა და უგულებელყოფის პრევენციაზე ორიენტირებული შემთხვევები, კვების ვაუჩერი, არასამთავრობო ორგანიზაციის ოჯახის მხარდამჭერი მომ-

სახურება („ვორლდ ვიჟენი“, „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“ „საქართველოს ბავშვები“), ბავშვთა დღის ცენტრი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, ადრეული განვითარების ქვეპროგრამა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულ პირთა დღის ცენტრი. თბილისში სულ 1351 პრევენციული შემთხვევაა განხილული, კახეთში – 55 და იმერეთში – 138. აღსანიშნავია, რომ პრევენციულ შემთხვევებს შორის ყველაზე მეტი რაოდენობით კვების ვაუჩერის შემთხვევები განიხილება (სულ 477, ანუ პრევენციულ შემთხვევათა 31%). რაც შეეხება სხვა პრევენციულ შემთხვევებს, მათი რაოდენობა და წილი პრევენციული შემთხვევების საერთო რიცხვში შემდეგია: ძალადობისა და უგულებელყოფის პრევენცია – 8 შემთხვევა (0.5%), არასამთავრობო ორგანიზაციის მომსახურების მიწოდება – 75 (5%), ადრეული განვითარების ქვეპროგრამა – 203 (13%), მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დღის ცენტრი – 233 (15%), შეზღუდული შესაძებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრი – 229 (15%) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრი – 319 (21%).

პრევენციულ შემთხვევებში იკვეთება შემდეგი პოზიტიური ტენდენციები:

1. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრევენციული შემთხვევების წილი ოქმებში განხილულ შემთხვევათა უმრავლესობას წარმოადგენს (78%).
2. უდავოდ მისასალმებელია, რომ დღის ცენტრი მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, ასევე, ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, ამჟამად სრულად ფინანსდება და ჩართვის კრიტერიუმი „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთიან ბაზაში“ მინიჭებულ ქულას აღარ მოიაზრებს.
3. ზოგ პრევენციულ შემთხვევაში, სოციალური მუშაკის მიერ შესრულებული სამუშაო და დაგეგმილი ღონისძიებები შთამბეჭდავად მაღალი ხარისხისაა. კომპლექსური საჭიროებების არსებობისას სოციალური მუშაკები ამ შემთხვევებში მრავალფეროვან მომსახურებას/მხარდაჭერის მექანიზმს იყენებენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო უწყებებიდან.

სირთულეები შემდეგ ასპექტებთან მიმართებით გამოიკვეთა:

1. ზოგი მომსახურება/შემთხვევის ტიპი კონკრეტული რეგიონის შემთხვევაში საერთოდ არ არის განხილული, ზოგი კი – ძალიან მცირე რაოდენობით. აღნიშნული, ძირითადად, კახეთისა და იმერეთის ოქმებს ეხება. ერთადერთი ტიპი, რომელსაც თბილისის რეგიონული საბჭო შესწავლილ ოქმებში არ განიხილავს, ძალადობის/უგულებელყოფის პრევენციის შემთხვევებია, რომლებშიც რომელიმე პროგრამული მომსახურება ან საბჭოს მიერ დასამტკიცებელი არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერა არ იქნებოდა გამოყენებული. კახეთისა და იმერეთის ოქმებში ყველაზე მეტი რაოდენობით დაფიქსირებულია კვების ვაუჩერის შემთხვევები. კახეთში არ არის გამოყენებული არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერა 24-საათიან ზრუნვაში მოხვედრის პრევენციის მიზნით (ძალიან აქტუალურია ამ რეგიონში მსგავსი მომსახურების

სიმწირის პრობლემა), მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრის მომსახურებაში ჩართვა მხოლოდ 2 შემთხვევაში, ადრეული განვითარების მომსახურებაში კი მხოლოდ 1 შემთხვევაში არის განხილული. იმერეთის საბჭო მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დღის ცენტრის მომსახურებას მხოლოდ 2 შემთხვევაში განიხილავს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრის მომსახურებასაც – მხოლოდ 2 შემთხვევაში. პრევენციული მომსახურების მცირე რაოდენობით განხილვა რეგიონებში შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც ამ მომსახურების შედარებით შეზღუდული მასშტაბით ხელმისაწვდომობასთან, ისე მათ შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალ დონესთან.

2. ერთ შემთხვევაში კვების ვაუჩერი წყდება, რადგან ოჯახისთვის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთიან ბაზაში მინიჭებული ქულა შეჩერებულია. რადგან კვების ვაუჩერი სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურებას წარმოადგენს, მნიშვნელოვანია, ეს ქვეპროგრამა უფრო მოქნილი გახდეს, რათა საუკეთესოდ მოერგოს მომსახურების მიმღებთა საჭიროებებს.
3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრის ვაუჩერის დაფინანსება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში მინიჭებულ ქულაზეა დამოკიდებული. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მრავალფეროვანი საჭიროებებიდან და ასევე, იმ ფაქტიდან გამომდინარეც, რომ ამჟამად დღის ცენტრი ერთადერთი პრევენციული მომსახურებაა ზრდასრულებისთვის, მნიშვნელოვანი იქნება, სამომავლოდ ამ მომსახურების ვაუჩერის დაფინანსება ზემოაღნიშნულ ქულაზე აღარ იყოს მიბმული.
4. როგორც ზემოთ უკვე აღნიშნულია, სხვადასხვა პრევენციული მომსახურება საბჭოს მიერ განსახილველ საკითხთა შორის ძალიან დიდ ნაწილს შეადგენს. საბჭოს დიდი დატვირთვის გამო, განსაკუთრებით, თბილისში, უპრიანი იქნებოდა, საბჭოს არ განეხილა ვაუჩერული დაფინანსების შემთხვევები, რომელთა მიმდინარეობასაც კანონმდებლობა ცალსახად განსაზღვრავს (მაგალითად, კვების ვაუჩერის ან ადრეული განვითარების ქვეპროგრამის დახურვა ზღვრული ასაკის მიღწევის გამო), რაც საბჭოს მნიშვნელოვან დროს დაუზოგავდა სხვა უფრო სენსიტიური შემთხვევების განსახილველად (24-საათიან ზრუნვასთან, ძალადობასთან, რეინტეგრაციასთან დაკავშირებული შემთხვევები). თუმცა თუ სოციალური მუშაკი და უფროსი სოციალური მუშაკი ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ზრუნვის სისტემაში მოხვედრის ან ძალადობისა და უგულებელყოფის რისკს ხედავენ, მნიშვნელოვანია, ამ შემთხვევების საბჭოზე განხილვა (მაგალითად, ერთ შემთხვევაში კვების ვაუჩერი წყდება არა ასაკის, არამედ ბავშვის ზრუნვის სისტემაში მოხვედრის გამო მასზე მშობლის მხრიდან ძალადობის მიზეზით).
5. ოქმებში ფიქსირდება ტენდენცია, რომ თითოეული ზემოაღნიშნული მომსახურების მიწოდებისას აქცენტი, ძირითადად, მხოლოდ ერთ კონკრეტულ მომსახურებაზეა და შედარებით იშვიათად ხდება შემთხვევის საერთო ჭრილში აღქმა, როგორც პრევენციული შემთხვევისა. ყველაზე ხშირად კვების ვაუჩერის მომსახურება და არასამთავრობო ორგანიზაციების ოჯახის მხარდამჭერ მომსახურებაში ჩართვა არის ის რეკომენდაციები, რომელთაც სოციალური მუშაკი ერთდროულად სწევს, თუმცა შედარებით იშვიათია პრევენციულ შემთხვევებში ყველა შესაძლო მომსახურების მობილიზება, რისი საჭიროებაც

კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს და რაც, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობას საჭიროებს. აქვე ხაზგასასმელია, რომ ბევრ შემთხვევაში, როდესაც ოჯახი ერთ კონკრეტულ მომსახურებას იღებს, მაგალითად, კვების ვაუჩერს ან დღის ცენტრის მომსახურებას და შემთხვევა იხურება, რადგან მომსახურების მიმღები აღარ აკმაყოფილებს მომსახურების მიღებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ოჯახთან მუშაობა ამით იწურება, მიუხედავად იმისა, რომ მისი წევრები სხვა მომსახურებასაც შეიძლება საჭიროებდნენ და ამ უკანასკნელის მიღების კრიტერიუმებსაც შეიძლება აკმაყოფილებდნენ.

6. შემთხვევათა ნაწილში იკვეთება რიგი პრობლემები 24-საათიან ზრუნვაში მოხვედრის ეფექტური პრევენციის თვალსაზრისით. ოქმში რამდენიმე კრიტიკული შემთხვევაა, რომლებშიც ოჯახსა და ბავშვს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ესაჭიროებათ ზრუნვის სისტემაში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად (მაგალითად, თუ მარტოხელა დედობა, მრავალშვილიანობა, საცხოვრისთან დაკავშირებული პრობლემები და მძიმე ეკონომიკური ფონია სახეზე), თუმცა მიწოდებული მხარდაჭერა (მაგალითად, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერა და ინფორმაციის მიწოდება 24-საათიანი ზრუნვის შესაძლებლობაზე) ეფექტური პრევენციისთვის საკმარისი არ არის. ასევე, შემთხვევათა ნაწილში გაურკვეველია ბავშვების ზრუნვის სისტემაში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად არსებული მომსახურების (მაგალითად, დედათა და ბავშვთა თავშესაფრის) გამოუყენებლობის მიზეზი. ამ რესურსების გამოუყენებლობის გამო, ოქმში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბავშვები ზრუნვის სისტემაში ხვდებიან.
7. მნიშვნელოვანი თემაა კონკრეტული მომსახურების მიღების გადავადება (პროგრამული თუ ბიუჯეტური შეზღუდვების გამო). ერთ-ერთ შემთხვევაში დღის ცენტრის მომსახურების მიწოდება რამდენიმე თვით იგვიანებს და ბავშვი ზრუნვის სისტემაში ხვდება. ამავე შემთხვევაში იკვეთება სირთულეები იმ მიზეზთან დაკავშირებითაც, რომლის გამოც, ოქმის მიხედვით, ბავშვი ოჯახიდან გამოდის: ეკონომიკური სიდუხჭირე და დედის მიერ სხვა ქალაქში სამუშაოდ გამგზავრება. ერთი მხრივ, გეითქიფინგის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ბავშვების ზრუნვის სისტემაში ჩარიცხვა მინიმუმამდე უნდა დაიყვანებოდეს, მეორე მხრივ კი, სამუშაოდ სხვა ქალაქში წასვლის მიზეზით ბავშვის ზრუნვის სისტემაში მოხვედრა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული მსგავს სიტუაციაში მყოფი ოჯახებიდან ბავშვების სისტემაში დიდი ოდენობით შემოდინების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია, ოქმში იმ ფაქტორების დაფიქსირება, რომლებიც გახდა სისტემაში ჩარიცხვის მიზეზი დედის სხვა ქალაქში გადასვლასთან ერთად და რომლებიც ბავშვის ოჯახში აღზრდას შეუძლებელს გახდიდა.
8. ოქმებში აღნიშნული შემთხვევების მაგალითზე, ცხადია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული სხვადასხვა მომსახურება ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ოჯახების გაძლიერების მიმართულებით, რადგან ეს მომსახურება გაცილებით მრავალფეროვანი და მოქნილი შეიძლება იყოს, ვიდრე სახელმწიფო პროგრამით გაწერილი მხარდაჭერის ღონისძიებები. ხაზგასასმელია, სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მოქნილი ფონდის არსებობის აუცილებლობა, რომელიც ოპერატიულად მიაწვდის ოჯახს მისთვის საჭირო მომსახურებას და ამით საგრძნობლად გაზრდის მის მხარდაჭერაზე ორიენტირებული მუშაობის ეფეტიანობას.

9. ძალადობის პრევენციის ერთ შემთხვევაში ბავშვზე სექსუალური ძალადობის ეჭვი არსებობს, ოქმში კი არ არის აღნიშნული, რომ პოლიციას ფაქტის შესახებ შეატყობინეს. ამავე შემთხვევაში იკვეთება სერიოზული ტექნიკური პრობლემები (მზად მყოფი ტრანსპორტის არყოლა) გადაუდებელ შემთხვევებზე რეაგირების კუთხით.
10. პრევენციული მომსახურების მიმღებ ზრდასრულ პირებთან დაკავშირებით განსაკუთრებით იკვეთება ქონებრივ საკითხებზე იურიდიული კონსულტაციის, განათლებისა და დასაქმების კუთხით მუშაობის საჭიროება, რაც არც ერთ განხილულ შემთხვევაში არ ხდება. ასევე, ძალიან აქტუალურია მამებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის ან მხარდაჭერის საჭიროების მქონე ზრდასრულ შვილებზე ალიმენტის დაწესება, რადგან ბევრ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულ პირზე მზრუნველობას მხოლოდ დედა სწევს.

4.3. 24-საათიანი ზრუნვა ბავშვებზე

შესწავლილ ოქმებში ბავშვებზე 24-საათიანი ზრუნვის ფორმებიდან განხილულია მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი, ბავშვთა კრიზისული ცენტრი და 24-საათიანი ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვების მნახველ და გამყვან პირად რეგისტრირების შემთხვევები. სულ 24-საათიან ზრუნვასთან დაკავშირებით განხილულია 299 შემთხვევა, რომლებიც შესწავლილ ოქმებში დაფიქსირებული შემთხვევების 15%-ია.

პოზიტიური ტენდენციები:

1. ყველა ოქმში უმეტესი რაოდენობით განხილულია მინდობით აღზრდის შემთხვევები (სულ 236, რომლებიც ბავშვებზე 24-საათიანი ზრუნვის შემთხვევების 79%-ია). ეს პოზიტიურად შესაფასებელი ფაქტია, რადგან მინდობით აღზრდა ბავშვზე 24-საათიანი ზრუნვის ფორმებს შორის ყველაზე პრიორიტეტული ფორმაა „გეითქიფინგის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით. მცირე საოჯახო ტიპის სახლი და კრიზისული ცენტრი გაცილებით იშვიათადაა გამოყენებული.
2. როდესაც ზრუნვის სისტემაში და-ძმები არიან განთავსებულნი, სოციალური მუშაკი მაქსიმალურად ცდილობს ბავშვების ერთად განთავსებას ან მათი დაცილების პრევენციას (თუ ეს მათი საუკეთესო ინტერესია).
3. მნიშვნელოვანია, რომ რეგიონული საბჭო (განსაკუთრებით, თბილისის) რიგ შემთხვევაში გასცემს სრულიად ადეკვატურ და შემთხვევაზე მორგებულ რეკომენდაციებს მომსახურების მიმღების უფლებების დასაცავად და კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად, განსაკუთრებით, ისეთ ასპექტებთან მიმართებით, როგორებიცაა ბავშვების ჯანმრთელობა, ბავშვების სამართლებრივი სტატუსის დადგენა, ასევე, მშობლების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა ბავშვთან მიმართებით, მშობლების მდგომარეობისა და რეინტეგრაციის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის მოძიება და ა.შ.
4. უაღრესად დადებითად არის შესაფასებელი თბილისის საბჭოს მიერ მიღებუ-

ლი ზოგიერთი გადაწყვეტილება, რომლებიც არ არის თანხვედრილი ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვებისთვის მიღებულ სტანდარტულ გადაწყვეტილებებთან, მაგრამ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ითვალისწინებს. ერთ შემთხვევაში ბავშვი პირადი ნომრის არქონის გამო ვერ გადადის გადაუდებელი მინდობით აღზრდიდან რეგულარულ მინდობით აღზრდაში (2014 წლის მარტში), მისი ფსიქოლოგიური სტრესის თავიდან ასაცილებლად კი მიმღები მშობელი მზრუნველი ხდება და ბავშვზე ფულადი მხარდაჭერის გარეშე ზრუნვის პასუხისმგებლობას იღებს. მას შემდეგ, რაც ბავშვს პირადი ნომერი მიენიჭება, იგეგმება მინდობით აღზრდის გაგრძელება. ასევე, ერთ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ნათესაურ მინდობით აღზრდაშია განთავსებული და ამავე ოჯახში ცხოვრობს ბავშვის მხარდაჭერის საჭიროების მქონე დედაც, რომელზეც მინდობით აღმზრდელი ზრუნავს. ეს საუკეთესო გამოსავალი შეიძლება იყოს საქართველოს რეალობაში, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მითუმეტეს, მხარდაჭერის საჭიროების მქონე მშობლის შვილთან ყოფნის მხარდაჭერის მექანიზმები უკიდურესად მწირია. მინდობით აღზრდაში აღნიშნული პრაქტიკის გავრცობა სხვა მსგავს შემთხვევებზეც ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა და ასევე, არასრულწლოვანი მშობლებისა და მათი შვილების მხარდასაჭერადაც (როდესაც მათ განშორება ემუქრებათ).

5. ბავშვების 24-საათიანი ზრუნვის სისტემაში ყოფნის შემთხვევებში, საკმაოდ პრობლემურია ოჯახის გაძლიერება ისე, რომ მან შეძლოს ბავშვის დაბრუნება. ამიტომ ძალიან პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის ერთეული შემთხვევები, რომლებშიც რეინტეგრაციის განხორციელების მიზნით ოჯახის გაძლიერების მექანიზმების გამოყენება აქტიურად ხდება. ასეთია, მაგალითად, კახეთში 3 და-ძმის მინდობით აღზრდის შემთხვევა, რომლის გადასინჯვა ხდება, რათა ორგანიზაციამ „ვორლდ ვიჟენი“ ოჯახის საცხოვრებლის შესაკეთებლად რესურსები გამოყოს.
6. მისასალმებელია, რომ რამდენიმე შემთხვევაში რეგულარული მინდობით აღზრდა ნათესაური მინდობით აღზრდით იცვლება. მაგალითად, ერთ შემთხვევაში ნათესავი მოიძებნა, რომელიც ბავშვზე იზრუნებს მაშინ, როცა მშობლებთან რეინტეგრაცია, ფაქტიურად, შეუძლებელია.

გამოკვეთილი სირთულეები:

1. ძირითადი თემა, რომელიც, ზოგადად, 24-საათიან ზრუნვაში განთავსების შემთხვევებს ეხება, ზრუნვაში მოხვედრის მიზეზებთანაა დაკავშირებული. ოქმებზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ზრუნვის სისტემაში განთავსების მთავარი მიზეზი რიგ შემთხვევებში მხოლოდ სიღარიბეა. თუმცა არის ბევრი შემთხვევა, რომლებშიც ეკონომიკურ ფონს სხვა პრობლემებიც ემატება (მშობლების მხრიდან ძალადობა, უგულებელყოფა, მშობლის ფუნქციებისა და მოვალეობების გააზრებისა ან შესრულების სირთულეები, მშობლის საზღვარგარეთ ყოფნა, მშობლების ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები და/ან ნივთიერებაზე დამოკიდებულება (განსაკუთრებით, ალკოჰოლზე), ბავშვის რთული ქცევა, თანადგომის ქსელის არარსებობა, მშობლის მიერ ბავშვის მიტოვება და ა.შ.). ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მიუხედავად „გეითქიფინგის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში“ (სამწუხაროდ, ეს დოკუმენტი მხო-

ლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს) გაცხადებული პრინციპისა (1.3.3.5.), რომ სიღარიბე, უსახლკარობა და განათლების ხელმიუწვდომლობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა გახდეს ბავშვების ოჯახებიდან გამოყვანის წინაპირობა, ამ მიზეზების არსებობისას, ბავშვები, უმეტესწილად, თავსდებიან 24-საათიან ზრუნვაში. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც უსახლკარობის ან განათლების ხელმიუწვდომლობის გამო ხდება ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა, ოქმებში არ ჩანს საბჭოს რეკომენდაციები ან სოციალური მუშაკის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები ამ პრობლემებთან გასამკლავებლად და ოჯახის გასაძლიერებლად.

2. რაც შეეხება ზრუნვის სისტემაში უკვე მყოფი ბავშვების რეინტეგრაციის შესაძლებლობას, ბევრ შემთხვევაში ოქმი არაფერს ამბობს ზრუნვაში მყოფი ბავშვების ოჯახებსა და იქ მათი რეინტეგრაციის შესაძლებლობებზე/პერსპექტივებზე, განსაკუთრებით, ეს ეხება მცირე საოჯახო ტიპის სახლში მყოფი ბავშვების შემთხვევების გადასინჯვას. ისეთი შემთხვევების რაოდენობა კი, რომლებშიც დასახულია გეგმა ოჯახის გაძლიერებისთვის, რათა რეინტეგრაცია შესაძლებელი გახდეს, ძალიან მცირეა.
3. ცალკეა გამოსაყოფი ის შემთხვევები, რომლებშიც მშობლებს შეზღუდული შესაძლებლობები და ამავდროულად, მხარდაჭერის საჭიროება აქვთ. ამ შემთხვევათა უმეტესობაში მშობლებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით კითხვები ან რეკომენდაციებიც კი ნაკლებადაა და ფაქტობრივად, არანაირი სამუშაო არ იგეგმება ბავშვის მათთან ურთიერთობის აღსადგენად ან გასაძლიერებლად. მაშინ, როცა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ბავშვების მშობლებისგან დაშორება ამ უკანასკნელთა შეზღუდული შესაძლებლობების გამო დაუშვებელია, სათანადო მხარდაჭერის არარსებობის პირობებში, საბჭოს უწევს ბავშვის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დაცვა და ამ გადაწყვეტილების მიღება.
4. 24-საათიანი ზრუნვის შემთხვევათა ნაწილში საბჭოს რეკომენდაციებში არ არის ასახული შემდეგი ფაქტორები: ბავშვების სამართლებრივი სტატუსი; სხვადასხვა ოჯახში/დაწესებულებაში მყოფი და-ძმის ერთად განთავსება, თუნდაც სამომავლოდ; ბავშვისთვის ფსიქოლოგის ან ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტის საჭიროება; თანამშრომლობა სასჯელაღსრულებით სისტემასთან, რომელთან კონტაქტიც უწევთ ბავშვებს და ა.შ. აღნიშნული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობა საჭირო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.
5. ზოგ შემთხვევაში ბავშვები 4 და მეტ ადგილს იცვლიან ზრუნვის სისტემაში ყოფნის პერიოდში. უმეტეს შემთხვევებში, ბავშვის სამყოფელის ცვლილება სრულიად ადეკვატური არგუმენტებითაა გამყარებული (ბავშვის საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილება მეტი მომსახურების მიწოდების ან მის საჭიროებებზე მეტად მორგებული 24-საათიანი ზრუნვის ფორმის შერჩევის მეშვეობით, ბიოლოგიურ ოჯახთან უფრო ახლოს ყოფნა და ა.შ.), მაგრამ, ზოგადად, ბავშვების კეთილდღეობისთვის ადგილმდებარეობის ამდენად ხშირი ცვლილება უარყოფითი ფაქტორია და მნიშვნელოვანია თავიდანვე ზრუნვის ისე დაგეგმვა, რომ ადგილის შეცვლა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ზრუნვის სისტემაში ადგილის შეცვლა აქტუალურია იმ ბავშვების შემთხვევაშიც, რომელთაც სერიოზული სირთულეები აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის ან ქცევის თვალსაზრისით და მათ-

თვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვეული რუტინის შენარჩუნება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბავშვისთვის ადგილსამყოფლის შეუცვლელობის მცდელობა ხშირად გამოკვეთილად ჩანს. ამის ცხადი მაგალითია ის, რომ შემთხვევათა უმეტესობაში, ბავშვების გადაუდებელი მინდობით აღზრდიდან რეგულარულ მინდობით აღზრდაში გადაყვანისას, ისინი ოჯახს არ იცვლიან.

6. ძალიან მწვავედ დგას სპეციალიზებული მინდობით აღმზრდელებისა და ასევე, სარეაბილიტაციო მომსახურების საჭიროება, განსაკუთრებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების, ქცევითი სირთულეების ან ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებისთვის. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ამ მომსახურების რეგიონული დაფარვის გაუმჯობესება, რათა ბავშვებს არ მოუწიოთ სხვა რეგიონში გადასვლა.
7. ნათესაური მინდობით აღზრდის შემთხვევების რაოდენობა 43-ია (მინდობით აღზრდის შემთხვევათა 18%), გადაუდებელი მინდობით აღზრდის შემთხვევებისა კი – 25 (11%). მნიშვნელოვანია, მინდობით აღზრდის ამ ფორმების მეტად განვითარება.
8. ოჯახში ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, გამოსავალი ხშირად არა მოძალადის ოჯახიდან გაყვანა, არამედ ბავშვის 24-საათიან ზრუნვაში განთავსებაა. რამდენიმე შემთხვევაში ბავშვებს, რომლებიც ზრუნვის სისტემაში მშობლის მხრიდან ძალადობის ან უგულებელყოფის გამო მოხვდნენ, სხვა და-ძმებიც ჰყავთ ბიოლოგიურ ოჯახში, რომელთაც მათი მშობლები ზრდიან და არაფერი იგეგმება მათი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ასევე, არაფერია დაგეგმილი ოჯახის ზრდასრული წევრების დასახმარებლად, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლები არიან (მინიმუმ, მათთვის არსებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაც კი).
9. ზოგადად, მოზარდი (დაახლოებით 14 წლიდან ზემოთ) ბავშვების შემთხვევაში, საკმაოდ აქტუალურია ზრუნვიდან გასვლისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზადების საკითხი. ბევრ შემთხვევაში სოციალური მუშაკის ნამუშევარი ამ კუთხით ძალიან კარგად ჩანს (ბავშვის მიერ უმაღლესი, პროფესიული განათლების მიღების, დასაქმების, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების შეძენის თვალსაზრისით), თუმცა მის წარმოდგენილ ან საბჭოს მიერ დამტკიცებულ რიგ შემთხვევებში ეს საკითხი ჯეროვან ყურადღებას არ იმსახურებს, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევებში.
10. აღსანიშნავია, რომ კახეთში დაფიქსირებულ რამდენიმე შემთხვევაში ბავშვებსა და მინდობით აღმზრდელებს განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობა აქვთ. ამ შემთხვევაში, არ არის საუბარი იმაზე, თუ როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ბავშვის რელიგიური და ეთნიკური მიკუთვნებულობის შენარჩუნება.
11. ოქმში დაფიქსირებულ რამდენიმე შემთხვევაში ზრუნვის სისტემაში მყოფ ბავშვებს არ აქვთ პირადი ნომერი (მაგალითად, ბავშვი უცხო ქვეყნის მოქალაქეა), რომელსაც რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ იღებენ და ამიტომაც არ აქვთ მათთვის საჭირო მომსახურება და მხარდაჭერაც.
12. გამყვან და მნახველ პირად დარეგისტრირების შემთხვევების ნაწილში, როცა ბავშვი ძალადობის მსხვერპლია მშობლის მხრიდან, ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახის შემზადება, განსაკუთრებით, ბავშვის გაყვანისთვის. მსგავსი შემთხვევების ნაწილში მშობელი გამყვან პირად ინიშნება მაშინვე, როგორც კი ბავ-

შვი ირიცხება ზრუნვის სისტემაში.

13. ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, გამყვან პირად დარეგისტრირების დროსაც მნიშვნელოვანია, შეფასდეს, რამდენად უსაფრთხოა ბავშვისთვის, განსაკუთრებით, ოჯახის ახალი წევრი. ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ოჯახის ახალი წევრისგან ისეთი დოკუმენტაციის მოთხოვნა, როგორებიცაა ცნობა ნასამართლობის შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

4.4. დედათა და ბავშვთა თავშესაფარი

სულ განხილულია 11 შემთხვევა[14] დედათა და ბავშვთა თავშესაფართან დაკავშირებით.

პოზიტიურადაა შესაფასებელი შემდეგი ასპექტი:

1. დედათა და ბავშვთა თავშესაფრის შემთხვევებში კიდევ უფრო აქტუალური ხდება დედის გაძლიერებისთვის დაგეგმილი ღონისძიებები, რომლებიც, ოქმების მიხედვით, შემთხვევათა ნაწილში ფიგურირებს, თუმცა ნაწილში – ნაკლებად (საუბარია დედის პროფესიულ მომზადებასა და დასაქმებაზე, საცხოვრისით მხარდაჭერაზე, ფსიქოლოგის მხარდაჭერასა და სხვა მსგავს მომსახურებაზე).

გამოიკვეთა შემდეგი სირთულეები:

1. დედათა და ბავშვთა თავშესაფრის მომსახურების გამოყენება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია დედისა და შვილ(ებ)ის დაშორების პრევენციისთვის, თბილისსა და იმერეთში ხდება. კახეთში არც ერთ შემთხვევაში არ ხდება აღნიშნული მომსახურების მიწოდება, რაზეც, სავარაუდოდ, მოქმედებს ის ფაქტი, რომ კახეთში მსგავსი მომსახურება არ ფუნქციონირებს.
2. ამ ტიპის შემთხვევებში კიდევ უფრო აქტუალური ხდება მამებისთვის ალიმენტის დაწესებისა და მისი გადახდის აღსრულების საკითხი, რათა დედებს მინიმალური შემოსავალი მაინც ჰქონდეთ ბავშვების საჭიროებების უზრუნველსაყოფად. ასევე, აქტუალურია დედისა და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში მყოფი სხვა წევრებისთვის საჭირო მომსახურების მიწოდების თემაც. ერთ შემთხვევაში ოჯახში დედის არასრულწლოვანი და და დედ-მამა ცხოვრობენ, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ (მათ შორის, დას დიაგნოზიც არ აქვს დასმული და შესაბამისი სტატუსიც არ აქვს მინიჭებული).

---

14. შემთხვევათა რაოდენობა ბავშვების რაოდენობით ითვლება.

4.5. სამეურვეო პირის ქონებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები

სულ ოქმებში სამეურვეო პირის ქონებასთან დაკავშირებული 13 შემთხვევაა, რომლებიც ეხება ქონების გასხვისებას, იპოთეკით დატვირთვას, ფასადის ცვლილებასა და დაგროვებითი ანაბრიდან თანხის მოხსნას.

პოზიტიურადაა შესაფასებელი, რომ ყველა რეგიონული საბჭო დიდი სიფრთხილით უდგება სამეურვეო პირის ქონების გასხვისების საკითხს. გადაწყვეტილებათა უმეტესობა დეტალურ იურიდიულ ანალიზს გადის და საბჭო სამეურვეო პირის უპირატესი ინტერესებით ხელმძღვანელობს. უმეტეს შემთხვევებში აღნიშნულია საბჭოს წევრების, განსაკუთრებით, იურისტის მოსაზრებები ქონებრივ საკითხებთან მიმართებით. განსაკუთრებით სენსიტიურია ქონების გასხვისების თემა. ამ შემთხვევათა ნაწილში საბჭო არ აკმაყოფილებს სოციალური მუშაკის რეკომენდაციას ან საქმის დამატებით შესწავლას ითხოვს (სულ 3 შემთხვევა).

სირთულე იკვეთება სამეურვეო პირის ფიქტიურად უკვე გასხვისებული ქონების კანონიერად გასხვისებაზე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ შემთხვევაში საბჭოს დასკვნაში აღნიშნულია, რომ ის არ იღებს გადაწყვეტილებას უკვე გასხვისებულ ქონებაზე, თუმცა რადგან ქონება ფიქტიურად გასხვისდა, თუ ეს გასხვისება სამეურვეო პირის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, მომდევნო განხილვაზე საბჭომ უნდა იმსჯელოს მეურვის მიმართ ქმედებების გატარებაზე, რათა ფიქტიურად გასხვისებული ქონება სამეურვეო პირს დაუბრუნდეს. ასევე, ერთ შემთხვევაში საბჭოს სკოლა მიმართავს ბავშვის დაგროვებით ანაბარზე არსებული თანხის კბილების სამკურნალოდ გამოყენების მიზნით. რადგან ბავშვის დედას მშობლის უფლება ჩამორთმეული აქვს, გაუგებარია, რატომ არ მოდის ეს მომართვა სოციალური მუშაკის ან დანიშნული მეურვის მხრიდან.

4.6. 24-საათიანი ზრუნვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და ხანდაზმულებზე

24-საათიანი ზრუნვის ფორმებს შორის განხილული შემთხვევები მოიცავს სათემო ორგანიზაციას, ხანდაზმულთა პანსიონატს, ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფარსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატს. ყველაზე ხშირად სათემო ორგანიზაცია (ზრდასრულებზე 24-საათიანი ზრუნვის შემთხვევათა 50%), ყველაზე იშვიათად კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავშესაფარი (4%) ფიგურირებს.

ზოგადი დეინსტიტუციონალიზაციის ხედვიდან გამომდინარე, **პოზიტიურადაა შესაფასებელი**, რომ ყველა ოქმში მცირე რაოდენობითაა განხილული 24-საათიანი ზრუნვის შემთხვევები ზრდასრულ პირებზე (სულ 28, ანუ შემთხვევათა საერთო რაოდენობის 1%). მაგრამ პრობლემურია ის, რომ პრევენციული მომსახურება დღის ცენტრის გარდა არ არსებობს, 24-საათიანი ზრუნვის მომსახურებას კი მომლოდინეთა დიდი რიგი ჰყავს.

გამოიკვეთა შემდეგი სირთულეები:

1. თბილისში მხოლოდ ხანდაზმულთა პანსიონატსა და სათემო ორგანიზაციასთან დაკავშირებული თითო-თითო შემთხვევაა განხილული. იმერეთში ყველა ტიპის შემთხვევა განიხილება, კახეთში კი მხოლოდ სათემო ორგანიზაციასთან დაკავშირებული 11 შემთხვევა. მოცემული მონაცემები ხაზს უსვამს სხვადასხვა მომსახურების არათანაბარ განაწილებას რეგიონების მიხედვით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საჭირო მომსახურების მისაღებად მომსახურების მიმღებს საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან შორს შეიძლება მოუწიოს გადასახლება, რაც შეგუების თვალსაზრისით სირთულეებს წარმოშობს.
2. დიდი ზომის 24-საათიანი ზრუნვის მომსახურებაში ჩარიცხვის ალტერნატივები დღესდღეობით, ფაქტობრივად, არ არსებობს (მაგალითად, სათემო მომსახურება, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისთვის), პრევენციული ტიპის მომსახურება კი მხოლოდ დღის ცენტრია. ჩარიცხვა, ძირითადად, შემდეგი მიზეზების გამო ხდება: მძიმე საცხოვრებელი პირობები, სიღარიბე, მომვლელის/მზრუნველის არყოლა, თანადგომის ქსელის სისუსტე, ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და სხვა. შესწავლილი შემთხვევების დიდ ნაწილში, 24-საათიანი ზრუნვით მოსარგებლე ბევრი პირი, სათემო მომსახურების არსებობის პირობებში, დამოუკიდებლად ცხოვრებას შეძლებდა. ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა ისეთი მომსახურების მობილიზება, როგორიცაა, მაგალითად, ქონების საკითხზე იურიდიული კონსულტაცია (თუ ქონების სხვის მიერ მითვისება ხდება ან ამის რისკი არსებობს). ასევე, ჩარიცხვის შემთხვევებში აქტუალური საკითხია ის, რომ დღესდღეობით შვილისთვის ხანდაზმული მშობლის რჩენის ვალდებულების დაწესების იურიდიული მექანიზმები და რეგულაციები დახვეწილი არ არის. დამატებით, მნიშვნელოვანი თემაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მზრუნველთა და მეურვეთა მხარდაჭერა იმაში, რომ მათ შეძლონ, წინასწარ დაგეგმონ სამეურვეო/სამზრუნველო პირის მომავალი, რათა მეურვის/მზრუნველის გარდაცვალების შემთხვევაში პირი სრულიად უმწეო მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.
3. ზრდასრულებზე 24-საათიანი ზრუნვის შემთხვევების გადასინჯვა მხოლოდ კახეთში ხდება და ჩარიცხვის შემთხვევებში საბჭოს გადაწყვეტილების ვადაც ამ რეგიონშია მითითებული. სხვა რეგიონებში მომსახურებაში ჩარიცხვისას ვადის მითითება და შესაბამისად, შემთხვევების გადასინჯვაც არ ხდება. თუმცა გადასინჯვის დაფიქსირებულ შემთხვევებში მხოლოდ ნახსენებია, რომ მომსახურების მიმღები თავს კარგად გრძნობს. არ არის მითითებული არც პირის მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია და არც მისი თემში დაბრუნების შესაძლებლობები.
4. 24-საათიანი ზრუნვიდან ამორიცხვის შემთხვევები, ძირითადად, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ან მისი სურვილით ხდება. აღნიშნული მიზეზის გამო პირები სხვა დაწესებულებებში მიდიან სამკურნალოდ, თუმცა უცნობია, ფარავს თუ არა ამ ხარჯებს საყოველთაო დაზღვევა, აქვთ თუ არა საცხოვრებელი (თუ სამკურნალო დაწესებულებაში მუდმივად არ იმყოფებიან), ჰყავთ თუ არა თანადგომის ქსელი, რომელიც მათ მხარს დაუჭერს და ა.შ. როცა პირები საკუთარი სურვილით გადიან მომსახურებიდან და ოჯახში ბრუნდებიან, არაფერია ნათქვამი იმ გარემოზე, რომელშიც დაბ-

რუნდა მომსახურების მიმღები. ასევე, არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რატომ ჩაირიცხა ეს ადამიანი ამ დაწესებულებაში და თუ ოჯახსა და მის ფუნქციონირებაში იყო რაიმე პრობლემა, ეს უკანასკნელი თუ აღმოიფხვრა ან მინიმუმ, თუ იგეგმება დარჩენილ პრობლემებზე მუშაობა.

4.7. სხვა ტიპის შემთხვევები

ოქმებში ზემოაღნიშნულის გარდა განხილულია მცირე რაოდენობით შემთხვევები, რომლებიც არც ერთ ზემოთ მოცემულ კატეგორიაში არ ჯდება. მათი რაოდენობა სულ 12-ია. ესენია: საბჭოს წინა გადაწყვეტილების შეცვლა/კორექტირება; მომსახურების მიმღების პირადი ინფორმაციის შეცვლის შესახებ საბჭოს ინფორმირება; გადაწყვეტილება მომავალში საქმის სხვა რაიონისთვის გადაცემის შესახებ მომსახურების მიმღების მიერ საცხოვრებელი ადგილის ცვლილების გამო; ცვლილება მინდობით აღზრდის ხელშეკრულებაში ბავშვის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მიღების გამო; უარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის მინიჭებული ვაუჩერის დაფინანსების შეცვლაზე.

(კვლევის სრული ვერსია იხილეთ თანდართული წიგნის სახით)

რეგიონული საბჭოების ოქმებში განხილული შემთხვევების თვისებრივი ანალიზისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების პრაქტიკის კვლევის შედეგად შემუშავებული საერთო

რეკომენდაციები

ფოკუს ჯგუფებისა და რეგიონული საბჭოს ოქმების ანალიზის შედეგად გამოვლენილი რეკომენდაციები ქვემოთ სამ ძირითად მიმართულებადაა დაყოფილი: რეკომენდაციები (1) უშუალოდ რეგიონული საბჭოს ფუნქციონირების, (2) სოციალური მუშაობის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და (3) ზოგადად, სოციალური პოლიტიკისა და სისტემის დახვეწის შესახებ.

1. რეკომენდაციები რეგიონული საბჭოს ფუნქციონირების თაობაზე

1.1. საჭიროა გამრავლდეს საბჭოების რაოდენობა: ამის გამძაფრებული საჭიროება თბილისშია – ერთი საბჭო არ არის საკმარისი ასობით შემთხვევის განსახილველად. მიზანშეწონილია, თბილისის 5 გაერთიანებულ რაიონში შეიქმნას 5 საბჭო (თუმცა, ერთი თავმჯდომარით, რომელიც თბილისის რაიონების საბჭოების მუშაობის კოორდინაციას მოახდენს); სასურველია, გაგრძელდეს დეცენტრალიზაციის პროცესი და საბჭოები შეიქმნას მუნიციპალურ დონეზეც, რაიონებში. თუმცა, ვინაიდან ყველა რაიონში, სხვადასხვა მიზეზით (პირველ რიგში, ადამიანური რესურსების სიმწირის გამო), ეს დღესდღეობით არარეალურია, შესაძლებელია, ამ ეტაპზე მინიმუმ ის რაიონები (მუნიციპალიტეტები) განისაზღვროს, რომლებშიც ბევრი შემთხვევა გროვდება.

1.2. სასურველია, გაიზარდოს საბჭოების შეკრების სიხშირე. მართალია, ამ თვალსაზრისით, მათ გააჩნიათ გარკვეული მოქნილობა (კერძოდ, საბჭოს თავმჯდომარეს ყოველთვის შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა), თუმცა, რეალურად ეს იმაზე იშვიათად ხდება, ვიდრე საჭიროა. ამდენად, უფრო ხშირი შეხვედრები ინსტიტუციურ ვალდებულებად უნდა იქცეს (გაიწეროს დებულებით). შესაბამისად, საჭიროა ცვლილებები შევიდეს მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოების ტიპიური დებულების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტში.

1.3. საჭიროა რეგიონულ საბჭოებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების წარმომადგენლობის გაზრდა. ეს უფრო მეტ გამოწვევას შექმნის სახელმწიფო ინსტიტუტების (უპირველესად, სოციალური მომსახურების სააგენტოს) წინაშე, რაც ხელს შეუწყობს ცალკეული შემთხვევების უკეთ დამუშავებასა და უფრო სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

1.4. აუცილებელია მომსახურების მიმწოდებლების ჩართვა საბჭოში გადაწყვეტილების მიმღებ პირებად. მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები, სტუმრის სტატუსით, ხშირად ესწრებიან სხდომებს (რაც მათი პოზიციის გათვალისწინების კარგ წინაპირობას ქმნის); თუმცა, სტუმრის სტატუსით მოწვეულ პირს არ გააჩნია ხმის უფლება, შესაბამისად, ვერ ჩაითვლება გადაწყვეტილების მიმღებ პირად. საჭიროა არსებობდეს გაწერილი პროცედურა, რომელიც მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებს მისცემს შესაძლებლობას, რომ მიმართონ რეგიონულ საბჭოს სხდომაზე დასწრების მოთხოვნით – იმ შემთხვევაში, როდესაც განსახილველ საკითხთა შორის ამ ორგანიზაციის მომსახურების გამოყენებაც არის ჩართული. ზოგადად, ამა თუ იმ მომსახურებაში ჩარიცხვა არ უნდა მოხდეს მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციასთან შეთანხმების მიღწევის გარეშე. შესაბამისად, საჭიროა ცვლილებები შევიდეს მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოების ტიპიური დებულების მე-7 მუხლში.

1.5. საბჭოს წევრების შერჩევა უნდა მოხდეს კონკურსის წესით, ეს კი განახორციელოს მულტიდისციპლინურმა და მულტიუწყებრივმა გუნდმა (კომისიამ). აუცილებელია, შეიქმნას რეგიონული საბჭოების არასამოქალაქო საზოგადოების წევრთა შერჩევის თანმიმდევრული და გაწერილი მექანიზმი.

1.6. საბჭოში უნდა მოქმედებდეს მისი წევრების როტაციის მექანიზმი, რომელიც (ისიც, ნაკლებად ფორმალური) მხოლოდ თბილისის საბჭოში მოქმედებს. სხვა საბჭოებში როტაცია სპონტანურად ხდება.

1.7. უნდა შემუშავდეს სპეციალური, მოსახერხებელი (user-friendly) ფორმატი, რომლითაც საბჭოს წევრებს შემთხვევების აღწერა და სასურველი ინტერვენცია წარედგინებათ. საბჭოზე განსახილველი მასალები უნდა მომზადდეს კომპაქტური და სტრუქტურირებული ფაილის სახით.

1.8. შესაძლოა, შემოღებულ იქნეს ანაზღაურების დიფერენცირებული წესი საბჭოს წევრებისათვის: ანაზღაურებას ვერ მიიღებენ ისინი, ვინც სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები არიან, რადგან მათ თანამდებობრივად ევალებათ საბჭოში ყოფნა. რაც შეეხება განათლების სამინისტროს რესურს ცენტრების, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის, ან, მით უფრო, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ ასეთი ფორმალური ვალდებულება არ აქვთ, ეს მათი დამატებითი საქმეა. ამდენად, მიზანშეწონილია, ასეთ წევრებს დაენიშნოთ გარკვეული ანაზღაურება. მეორე მხრივ, ურიგო არ იქნება, რეგიონული საბჭოების სოციალური მომსახურების სააგენტოს წევრების ფინანსური წახალისება ამა თუ იმ ფორმით (სახელფასო დანამატი, პრემია და ა.შ.), რამდენადაც მათთვის აღნიშნული საქმიანობა დამატებითი აქტივობაა. გონივრული და გამართლებულია, სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლისთვის საბჭოში მუშაობაზე დახარჯული დრო ჩაითალოს მისი სამუშაო დატვირთვის ოფიციალურ ნაწილად და ეს ვალდებულება არ დარჩეს არაკონვერტირებად ძალისხმევად.

1.9. საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული რისკების გამო, საუკეთესო გამოსავალი ამ გადაწყვეტილებების მინიმუმამდე დაყვანა და საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს რიგგარეშე სხდომების მოწვევა იქნება. თუმცა, როცა ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება გარდაუვალია, განსაკუთრებით, ფორსმაჟორულ სიტუაციაში და ისეთ სენსიტიურ შემთხვევებში, როგორიცაა, მაგალითად, 24-საათიან ზრუნვაში განთავსება, მნიშვნელოვანია, გეგმიურ სხდომაზე საბჭოს საშუალება ჰქონდეს, არა მარტო გაეცნოს შემთხვევას, არამედ, მწვავედ გამოკვეთილი საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილება; შესაბამისად, საჭიროა ცვლილებები შევიდეს მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოების ტიპიური დებულების მე-10 მუხლში.

1.10. საბჭო უნდა გახდეს უფრო მგრძნობიარე სპეციფიკური შემთხვევების მიმართ, კერძოდ, უნდა შეეძლოს ფინანსური და მატერიალური რესურსების გადანაწილება მომსახურების ერთი ფორმიდან მეორეში (მაგ., უნდა შეეძლოს მინდობითი აღზრდისთვის გათვალისწინეული ფულადი ანაზღაურების გამოყენება ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერებისათვის). რაც მთავარია, ასეთი მოქნილობა „გამაგრებული“ უნდა იყოს შესაბამისი რეგულაციით რეგიონული საბჭოების დებულებაში.

1.11. შესაძლებელი უნდა გახდეს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გადაწყვეტილება არ ან ცუდად მუშაობს; სოციალურ მუშაკს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ „ჩავარდნილი“ შემთხვევა კვლავ გამოიტანოს განსახილველად.

1.12. საჭიროა, გამკაცრდეს საბჭოს პასუხისმგებლობა „ჩავარდნილი“ შემთხვევების გამო, კერძოდ, არასწორი გადაწყვეტილებების მიმღებ წევრებზე გავრცელდეს სხვადასხვა სანქციები, საბჭოების პასუხისმგებლობის საკითხი კი გაიწეროს დებულებით.

1.13. საბჭოს დიდი დატვირთვის გამო, განსაკუთრებით, თბილისში, უპრიანი იქნებოდა, მას არ განეხილა ვაუჩერული დაფინანსების შემთხვევები, რომელთა მიმდინარეობასაც კანონმდებლობა ცალსახად განსაზღვრავს (მაგალითად, კვების ვაუჩერის ან ადრეული განვითარების ქვეპროგრამის დახურვა ზღვრული ასაკის მიღწევის გამო), რაც საბჭოს მნიშვნელოვან დროს დაუზოგავდა სხვა უფრო სენსიტიური შემთხვევების განსახილველად (24-საათიან ზრუნვასთან, ძალადობასთან, რეინტეგრაციასთან დაკავშირებული შემთხვევები). თუმცა თუ სოციალური მუშაკი და უფროსი სოციალური მუშაკი ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ბავშვების ზრუნვის სისტემაში მოხვედრის ან მათზე ძალადობისა და უგულებელყოფის რისკს ხედავენ, მნიშვნელოვანია ამ შემთხვევების საბჭოზე განხილვა.

1.14. მნიშვნელოვანია, საბჭოს ოქმებში დაფიქსირდეს ის საკვანძო ფაქტობრივი ინფორმაცია შემთხვევის შესახებ, რომელიც საბჭოს გადაწყვეტილებაზე ახდენს გავლენას. ასევე, მნიშვნელოვანია, მიეთითოს ის საკანონმდებლო

ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზეც მოხდა გადაწყვეტილების მიღება. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, მიეთითოს საბჭოს წევრების მიერ დაფიქსირებული ძირითადი მოსაზრებები და შემთხვევის მიმდინარეობის შესახებ რეკომენდაციები, რომლებიც შემთხვევაზე გაწერილ ინდივიდუალური განვითარების გეგმასთან არის დაკავშირებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში); შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს ტიპიური დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში.

1.15. საბჭოს სხდომების ოქმების დიდი მოცულობიდან გამომდინარე, ერთი ოჯახიდან რამდენიმე ბავშვის შემთხვევის განხილვისას, რეკომენდებულია, ოჯახის შესახებ ინფორმაცია ერთხელ იყოს დაფიქსირებული, თითოეული ბავშვის შესახებ კი მეტი ინდივიდუალური ინფორმაცია იყოს გადმოცემული.

1.16. უმნიშვნელოვანესია, 24-საათიან ზრუნვაში მოხვედრის, ძალადობისა და უგულებელყოფის პრევენციაზე ორიენტირებული შემთხვევების მიმართ საბჭოს მიერ ჰოლისტური/ერთიანი მიდგომის გამოყენება და პირისა და ოჯახის წინაშე არსებული კომპლექსური საჭიროებების საპასუხოდ შესაბამისი მომსახურებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით. ასევე, მნიშვნელოვანია, კონკრეტული მიწოდებული მომსახურების ამოწურვისას შემთხვევაზე მუშაობის გაგრძელება, თუ ამის დამატებითი საჭიროება არსებობს.

1.17. როცა ქონების გასხვისება ფიქტიურად ხდება და ეს არ ემსახურება სამეურვეო პირის ინტერესებს, მნიშვნელოვანია, საბჭომ გაატაროს ზომები მეურვის მიმართ ფიქტიურად გასხვისებული ქონების სამეურვეო პირის საკუთრებაში დასაბრუნებლად.

2. რეკომენდაციები სოციალური მუშაობის პრაქტიკის გაუმჯობესების თაობაზე

2.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და პირთა განსაკუთრებული მოწყვლადობის გამო, მნიშვნელოვანია, გაიზარდოს მათი ჩართულობა პრევენციულ, რეინტეგრაციისა და 24-საათიანი ზრუნვის გარდაუვალი საჭიროების შემთხვევაში, მინდობით აღზრდის მომსახურებაში, რომელიც „გეითქიფინგის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, 24-საათიანი ზრუნვის უპირატეს ფორმას წარმოადგენს.

2.2. აუცილებელია *24-საათიან ზრუნვაში* მყოფი ბავშვების შემთხვევებში ისეთ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება, როგორებიცაა, მაგალითად, და-ძმის ერთად განთავსება (თუ ეს მათ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება), ბავშვის სამართლებრივი სტატუსის დადგენა სათანადო საფუძვლის არსებობისას, ფსიქოლოგის ან ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტის ჩართვა ბავშვთან მუშაობის პროცესში და ა.შ.

2.3. მნიშვნელოვანია ზრუნვის სისტემიდან სასჯელაღსრულებით სისტემაში

მოხვედრილი ბავშვების თაობაზე სასჯელაღსრულებით სისტემასთან თანამშრომლობა, მაგალითად, იმის დასაგეგმად, თუ სად წავა ბავშვი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოსვლის შემდეგ – განსაკუთრებით, თუ იგი მცირე ხნით ხვდება დაწესებულებაში და გამოსვლისას ჯერ კიდევ არასრულწლოვანია.

2.4. პრევენციული მომსახურების მიმღებ ზრდასრულ პირებთან დაკავშირებით განსაკუთრებით იკვეთება ქონებრივ საკითხებზე იურიდიული კონსულტაციის, განათლებისა და დასაქმების კუთხით მუშაობის საჭიროება. ასევე, ძალიან აქტუალურია, განსაკუთრებით, მამებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის ან მხარდაჭერის საჭიროების მქონე შვილებზე ალიმენტის დაწესებაზე მუშაობა.

2.5. ზრუნვის სისტემაში მყოფ ბავშვებზე გადაწყვეტილების მიღების საწყის ეტაპზევე აუცილებელია, ზრუნვის მუდმივობის უზრუნველყოფის მიზნით, შემთხვევის მაქსიმალურად გულდასმით დაგეგმვა, განსაკუთრებით, იმ ბავშვების შემთხვევაში, რომელთაც სერიოზული სირთულეები აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის ან ქცევის თვალსაზრისით.

2.6. ოჯახში ძალადობის შემთხვევებში მაქსიმალური მუშაობა უნდა იყოს წარმოებული მოძალადის და არა მსხვერპლი ბავშვის ოჯახიდან გამოსაყვანად, ასევე, ოჯახის სხვა წევრების (განსაკუთრებით, არასრულწლოვნების) უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მხარდასაჭერად (მისასალმებელია ოჯახში ძალადობის მიმართულებით სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დაგეგმილი მუშაობა).

2.7. მინდობით აღზრდაში ეთნიკური და რელიგიური თანხვედრის არარსებობის შემთხვევაში, აუცილებელია, მკაფიო გეგმის დასახვა ბავშვის იდენტობის შესანარჩუნებლად; გრძელვადიან პერსპექტივაში კი მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის მინდობით აღმზრდელების შერჩევა.

2.8. ძალიან მნიშვნელვოანია, მოზარდი (დაახლოებით 14 წლიდან ზემოთ) ბავშვების შემთხვევაში, ზრუნვიდან გასვლისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება, სულ მცირე, არსებული რესურსების გამოყენებით (განათლება, დასაქმება, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების შეძენა და სხვა).

2.9. გამყვან პირად ოჯახის წევრის დარეგისტრირებისას, ოჯახის შესამზადებლად ბავშვის თუნდაც დროებით გასაყვანად, მნიშვნელოვანი იქნებოდა გარკვეული სამუშაოს წარმოება მშობლებთან მათ მიერ ძალადობრივი ქცევის აღმოფხვრის, მშობლობის უნარების გაუმჯობესებისა და ძალადობისა და უგულებელყოფის პრევენციის მიზნით. ასევე, განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში შესაძლებელია, უმჯობესი იყოს საწყის ეტაპზე მშობლისთვის ბავშვის მხოლოდ რამდენიმე საათით ან მხოლოდ დღის განმავლობაში გაყვანის უფლების მიცემა და თანდათან ბავშვის ღამით გაყვანისთვის შემზადება. დამატებით, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, გამყვან პირად დარე-

გისტრირების დროსაც, მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად უსაფრთხოა ბავშვისთვის ოჯახის ნებისმიერი ახალი წევრი. ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, ოჯახის ახალი წევრისგან ისეთი დოკუმენტაციის მოთხოვნა, როგორებიცაა ცნობა ნასამართლობის შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

2.10. მნიშვნელოვანია, გადაუდებელ შემთხვევებში საჭირო უწყებებისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდება (მაგალითად, პოლიციისთვის შეტყობინება ბავშვზე ძალადობის შესახებ).

2.11. მნიშვნელოვანია დედათა და ბავშვთა თავშესაფარში მოხვედრილი დედის გაძლიერებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების გამრავალფეროვნება (საუბარია დედის პროფესიულ მომზადებასა და დასაქმებაზე, საცხოვრისით მხარდაჭერაზე, ფსიქოლოგის მხარდაჭერასა და სხვა მსგავს მომსახურებაზე). კიდევ უფრო აქტუალური ხდება მამებისთვის ალიმენტის დაწესებისა და მისი გადახდის აღსრულების საკითხში მხარდაჭერა, რათა დედებს მინიმალური შემოსავალი მაინც ჰქონდეთ ბავშვების საჭიროებების უზრუნველსაყოფად. ასევე, აქტუალურია, დედისა და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში მყოფი სხვა წევრებისთვის საჭირო მომსახურების მიწოდების თემაც.

2.12. მიუხედავად ხელთ არსებული ძალიან მწირი ალტერნატიული მომსახურებისა, მნიშვნელოვანია, ზრდასრულების 24-საათიანი ზრუნვის ფორმაში ჩარიცხვის შემთხვევებში მაქსიმალური მცდელობა იყოს დემონსტრირებული, პირი მომსახურებაში კონკრეტული ვადით ჩაირიცხოს და საქმე პერიოდულად გადაისინჯოს მისი მდგომარეობის ადეკვატური შესწავლითა და თემში დაბრუნების შესაძლებლობების განხილვით, ამორიცხვის შემთხვევებში კი, აუცილებელია, პირის უფლებების დაცვა და საბაზისო საჭიროებებით (მატერიალური, უსაფრთხოების) დაკმაყოფილება.

3. რეკომენდაციები სოციალური პოლიტიკისა და სისტემის დახვეწის თაობაზე

3.1. საჭიროა სოციალური მუშაკების სამუშაო დატვირთვის ნორმალიზება მათი რიცხვის ზრდისა და მათთვის ადეკვატური სამუშაო პირობების შექმნის გზით (მათ შორის, ადეკვატური ანაზღაურების უზრუნველყოფით). ასევე, საჭიროა სახელმწიფომ იზრუნოს სააგენტოში კვალიფიციური სოციალური მუშაკების დასაქმებაზე და მათი კვალიფიკაციის შემდგომ ზრდაზე. ამის ორი გზა არსებობს: 1. დიპლომირებული (ანუ პროფესიონალი) სოციალური მუშაკების დაქირავება; 2. სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება უწყვეტი განათლების სისტემის ამა თუ იმ მეთოდით (სერტიფიცირება (მოკლე ან გრძელვადიანი), საგანმანათლებლო სკოლები და ა.შ.).

3.2. საჭიროა სააგენტოს მატერიალური რესურსების დივერსიფიკაცია. კერძოდ, სოციალურ მუშაკს უნდა მოეხსნას ვალდებულება, რომ ბენეფიციარებთან ან პოტენციურ ბენეფიციარებთან გეგმიური თუ არაგეგმიური ვიზიტების

ტრანსპორტირება საკუთარი ფულით დააფინანსოს. ტრანსპორტირების, ასევე, არაგეგმიური ვიზიტების სხვა ხარჯები (მაგ., კვების) უნდა გამოიყოს ცალკე და მოხდეს მათი დამოუკიდებელი ადმინისტრირება.

3.3. რეინტეგრაციის შემთხვევათა დიდ ნაწილში ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებისთვის დამატებითი რესურსებისა და მხარდაჭერის მობილიზება და დაარსება სასურველი იქნებოდა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო მომსახურებასთან უფრო ეფექტური თანამშრომლობის გზით, კერძოდ, შემდეგ ასპექტებთან მიმართებით: ბავშვის ჯანმრთელობის პრობლემები; საცხოვრისის მომსახურება; მშობლების დასაქმება; მშობლობის უნარების განვითარება; ბავშვზე ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების უფრო ეფექტური მექანიზმების გამოყენება მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ალიმენტის დაკისრება მშობლისთვის, რომელიც არ არის ჩართული ბავშვის აღზრდაში; ოჯახის სხვა წევრებთან, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულებთან მუშაობა; დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ბავშვების მომზადება, განსაკუთრებით, უფროსი ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთა შემთხვევებში; ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს ახალი წევრი ემატება. ასევე, დამატებით, მრავალფეროვანი ღონისძიებები შეიძლება იყოს საჭირო რეინტეგრაციის შემთხვევებში ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში კვლავ დაბრუნების თავიდან ასაცილებლად (მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში ისეთი პროფესიონალების ჩართვა, როგორებიცაა ფსიქოლოგი და/ან ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტი/მომსახურება).

3.4. *24-საათიან ზრუნვაში მოხვედრის, ძალადობისა და უგულებელყოფის პრევენციის* მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, გაიზარდოს როგორც სახელმწიფო და არასამთავრობო პრევენციული მომსახურების მიწოდების მასშტაბი და რეგიონული დაფარვა, ისე ამ მომსახურების შესახებ ინფორმირებულობის დონეც, განსაკუთრებით, რეგიონებში. ძალიან მნიშვნელოვანია ზრდასრული პირებისთვის 24-საათიან ზრუნვაში განთავსების, ძალადობისა და უგულებელყოფის პრევენციაზე მიმართული მომსახურების გამრავალფეროვნება, ზრდასრული პირის რეინტეგრაციის შემთხვევაში ანაზღაურების დაწესება და შესაბამისი პროცედურების კანონმდებლობით გაწერა;

3.5. რადგან კვების ვაუჩერი სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურებას წარმოადგენს, მნიშვნელოვანია, ეს ქვეპროგრამა უფრო მოქნილი გახდეს, რათა საუკეთესოდ მოერგოს მომსახურების მიმღებთა საჭიროებებს. კერძოდ, შესაძლებელი იყოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთიან ბაზაში ქულის დათვლა ფორსირებულ რეჟიმში, რათა ბავშვს მაქსიმალურად სწრაფად დაენიშნოს კვების ვაუჩერი.

3.6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მრავალფეროვანი საჭიროებებიდან და ასევე, იმ ფაქტიდან გამომდინარეც, რომ ამჟამად დღის ცენტრი ერთადერთი პრევენციული მომსახურებაა ზრდასრულებისთვის, მნიშვნელოვანი იქნება, სამომავლოდ ამ მომსახურების ვაუჩერის დაფინანსება ქულაზე აღარ იყოს მიბმული.

3.7 *პრევენციული* მომსახურების დროულად, დაუყოვნებლად მიწოდება უდიდესი მნიშვნელობის შეიძლება იყოს 24-საათიან ზრუნვაში მოხვედრის პრევენციისთვის. ამისთვის კი აუცილებელია კონკრეტულ მომსახურებაზე გამოყოფილი ბიუჯეტის ზრდა და მომსახურების უფრო მოქნილი სისტემის შემუშავება, გადაუდებელ შემთხვევებზე რეაგირებისთვის სპეციალური, გაცილებით მოქნილი ფონდის ჩათვლით, რომელიც ოპერატიულად მიაწვდის ოჯახს მისთვის საჭირო მომსახურებას და ამით საგრძნობლად გაზრდის მის მხარდაჭერაზე ორიენტირებული მუშაობის ეფექტიანობას.

3.8. მნიშვნელოვანია, ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, გამყვან პირად დარეგისტრირებული პირის ოჯახის ახალ წევრს მოეთხოვოს გარკვეული დოკუმენტაციის წარდგენა, როგორებიცაა ცნობა ნასამართლობის შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

3.9. მნიშვნელოვანია გადაუდებელ შემთხვევებზე რეაგირებისთვის საჭირო ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა (მაგალითად, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მყისიერად ტრანსპორტირება).

3.10. გეითქიფინგის პრინციპების ზედმიწევნით დასაცავად და 24-საათიანი ზრუნვიდან ბავშვების მაქსიმალურად სწრაფად ოჯახებში დასაბრუნებლად, მნიშვნელოვანია, ბავშვისა და ოჯახისთვის მრავალფეროვანი და კომპლექსური მხარდაჭერის მომსახურების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, საცხოვრისის, განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, მშობლობის უნარების ამაღლების, მშობელთა და ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობის, შეზღუდული შესაძლებლობის მშობელთათვის სპეციალიზებული მხარდაჭერის, თანადგომის ქსელის გაძლიერებისა და სხვა მიმართულებებით. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, „გეითქიფინგის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები“ არა სარეკომენდაციო, არამედ სავალდებულო ხასიათის იყოს.

3.11. ძალიან მწვავედ დგას სპეციალიზებული მინდობით აღმზრდელებისა და ასევე, სარეაბილიტაციო მომსახურების საჭიროება, განსაკუთრებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების, ქცევითი სირთულეების ან ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებისთვის. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, ამ მომსახურების რეგიონული დაფარვის გაუმჯობესება, რათა ბავშვებს არ მოუწიოთ სხვა რეგიონში გადასვლა.

3.12. საჭიროა გადაუდებელი და ნათესაური მინდობით აღზრდის შემთხვევების ზრდა.

3.13. მნიშვნელოვანია, მეტ შემთხვევაში გავრცელდეს მინდობით აღზრდაში ბავშვთან ერთად მშობლის ცხოვრების პრეცედენტი, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არასრულწლოვანი მშობლებისთვის და ეს ერთ-ერთ სისტემურ მიდგომად იქცეს, იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი გარემო ბავშვის განვითარებისთვის საუკეთესო წინაპირობას ქმნის.

3.14. ძალიან მნიშვნელოვანია, მოზარდი (დაახლოებით 14 წლიდან ზემოთ) ბავშვების შემთხვევაში, ზრუნვიდან გასვლისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებისთვის საჭირო მომსახურებათა გამრავალფეროვნება (საცხოვრისი, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, დასაქმება და ა.შ.).

3.15. როდესაც ბავშვს არ აქვს პირადი ნომერი, ძალიან მნიშვნელოვანია, იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი უწყებების მხრიდან უფრო ოპერატიული ღონისძიებების გატარება პირადი ნომრის მისანიჭებლად. ასევე, სხვა უწყებებთან, მაგალითად, სკოლასთან თანამშრომლობა, რათა ბავშვი თავისუფალი მსმენელის სტატუსით მაინც ჩაირიცხოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და არ გააცდინოს სასწავლო პროცესი.

3.16. აუცილებელია, დედათა და ბავშვთა თავშესაფრის მომსახურების რეგიონული დაფარვის გაუმჯობესება და საკმარისი ადგილების უზრუნველყოფა არსებული მოთხოვნის შესაბამისად.

3.17. მნიშვნელოვანია, დედათა და ბავშვთა თავშესაფარში მოხვედრილი დედებისა და ბავშვების მხარდასაჭერად, დაიხვეწოს მამებისთვის ალიმენტის დაწესებისა და მისი გადახდის აღსრულების სისტემა და პროცედურები.

3.18. სამეურვეო პირის ქონების გასხვისებასთან დაკავშირებული შემთხვევების განსაკუთრებული სენსიტიურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გაიზარდოს საბჭოს წევრების კომპეტენცია ამ კუთხით ან ეს საკითხი სასამართლოს გადაწყვეეტილების პრეროგატივა გახდეს.

3.19. მნიშვნელოვანია ზრდასრულებზე 24-საათიანი ზრუნვის მომსახურების ადეკვატური რაოდენობისა და რეგიონული დაფარვის უზრუნველყოფა.

3.20. საჭიროა ზრდასრულებზე დიდი ზომის 24-საათიანი ზრუნვის დაწესებულებათა ალტერნატიული მომსახურების დაარსება (მაგალითად, სათემო მომსახურება, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისთვის) და ასევე, პრევენციული მომსახურების გამრავალფეროვნება და რეგიონული დაფარვის გაუმჯობესება; დამატებით, შემდეგი ტიპის მხარდაჭერის ყოველგვარი პირობის შექმნა: ქონების საკითხებზე იურიდიული კონსულტაციის უზრუნველყოფა პირის ქონებრივი უფლებების დასაცავად, შვილებისთვის ხანდაზმული მშობლების რჩენის ვალდებულების დაწესების იურიდიული მექანიზმებისა და რეგულაციების დახვეწა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მზრუნველთა და მეურვეთა მხარდაჭერის სისტემის დაარსება, რათა მათ შეძლონ, წინასწარ დაგეგმონ სამეურვეო/სამზრუნველო პირის მომავალი, რომ მეურვის/მზრუნველის გარდაცვალების შემთხვევაში პირი სრულიად უმწეო მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპიური დებულება (2013 წლის 23 სექტემბერი):
http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Saagentos-Aqtebi/57-01.pdf

სოციალური მომსახურების სააგენტოს სამართლებრივი აქტები:
http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1103

სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი (საქართველო),
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, 2011:
http://www.gasw.org/docs/Soc%20Mushaobis%20Situaciuri%20Analizi%20-GASW.pdf

Standards for Child Protection Services, Department of Health, Social Services and Public Safety (UK), June, 2008:
https://www.dhsspsni.gov.uk/